# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 4 ოქტომბერი 1997 №121 (486) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7 ტური

მორკინალი 2:0 სიონი

დღეს:

მერანი - ტორპედო

ხვალ:

მეტალურგი - ლოკომოტივი
გურია - მაღაროელი
სამგურალი - თსუ
დინამო - კოლხეთი
დილა - ბათუმი
მარგვეთი - ოდიში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 7 | 5 | 2 | 0 | 13:6 | 17 |
| ოდიში | 6 | 5 | 1 | 0 | 13:1 | 16 |
| დინამო | 5 | 5 | 0 | 0 | 19:3 | 15 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 20:8 | 13 |
| მერანი | 7 | 4 | 1 | 2 | 14:8 | 13 |
| მორკინალი | 8 | 3 | 4 | 1 | 10:6 | 13 |
| ტორპედო | 7 | 2 | 4 | 1 | 12:11 | 10 |
| დილა | 7 | 3 | 1 | 3 | 6:10 | 10 |
| ბათუმი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 9 |
| მეტალურგი | 7 | 2 | 0 | 5 | 5:10 | 6 |
| მარგვეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:17 | 5 |
| სამგურალი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:20 | 5 |
| გურია | 7 | 0 | 4 | 3 | 5:13 | 4 |
| მაღაროელი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:19 | 3 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:13 | 2 |
| სიონი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:13 | 1 |



გუშინ „შევარდენზე“: „მორკინალი“ — „სიონი“. თბილისელი დავით პეტრიაშვილი მალხაზ შაკიაშვილს გაურბის

# კენჭი იყარა, ნუ დავეცემით!

## დინამო კვლავ პორტუგალიაში გაემგზავრება ამჯერად ბრაგასთან შესახვედრად

**თასების თასი. მერვედფინალური მატჩები**
**23 ოქტომბერი - 6 ნოემბერი**

Cup Winners' Cup

ტრომსო (ნორვეგია) — ჩელსი (ინგლისი)
ეკერენი (ბელგია) — შტუტგარტი (გერმანია)
ლოკომოტივი (რუსეთი) — ქოჯაელი (თურქეთი)
შახტიორი (უკრაინა) — ვიჩენცა (იტალია)
ბეტისი (ესპანეთი) — კოპენჰაგენი (დანია)
აეკ (საბერძნეთი) — შტურმი (ავსტრია)
ნიცა (საფრანგეთი) — სლავია (ჩეხეთი)
პრიმორიე (სლოვენია) — როდა (ჰოლანდია)

**უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალური მატჩები**
**21 ოქტომბერი - 4 ნოემბერი**

UEFA CUP

აიაქსი (ჰოლანდია) — უდინეზე (იტალია)
*ბრაგა (პორტუგალია) — დინამო (საქართველო)*
მეცი (საფრანგეთი) — კარლსრუე (გერმანია)
სტრასბური (საფრანგეთი) — ლივერპული (ინგლისი)
ინტერი (მილანი, იტალია) — ლიონი (საფრანგეთი)
რაპიდი (ვენა, ავსტრია) — მიუნხენ 1860 (გერმანია)
მტკ (უნგრეთი) — კროაცია (ზაგრები, ხორვატია)
სპარტაკი (რუსეთი) ან სიონი (შვეიცარია) — ვალიადოლიდი (ესპანეთი)
შალკე 04 (გერმანია) — ანდერლეხტი (ბელგია)
ორჰუსი (დანია) — ტვენტე (ჰოლანდია)
ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
ოსერი (საფრანგეთი) — ოფი (საბერძნეთი)
სტიაუა (რუმინეთი) — ბასტია (საფრანგეთი)
როტორი (რუსეთი) — ლაციო (იტალია)
ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) — პაოკი (საბერძნეთი)
ბოხუმი (გერმანია) — ბრიუგე (ბელგია)

... 30 სექტემბერი. მოსკოვი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის საპასუხო მატჩში „სპარტაკი“ შვეიცარიის „სიონის“ სამასპინძლოდ ემზადება. შეხვედრის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე სტუმართა გუნდის პრეზიდენტი, ყოფილი მეკარე კრისტიან კონსტანტინი ამჩნევს, რომ ორივე კარი აშკარად არ შეესაბამება სტანდარტულ ზომებს, რის შესახებაც იგი მატჩის მთავარ მსაჯს, ფრანვ კლოდ კოლომბის ეუბნება. მსაჯი კარებების შეცვლაზე უარს ამბობს, მაგრამ მათ შემოწმებაზე თანხმდება. აღმოჩნდა, რომ ნაცვლად დაწესებული 244 სანტიმეტრისა, ერთი კარის სიმაღლე 234 სმ-ია, ხოლო მეორესი — 237. კოლომბო თავისას არ იშლის, კარებების შეცვლაზე კატეგორიულ უარს ამბობს იმ მიზეზით, რომ შეხვედრის დაწყებამდე მცირე დროა დარჩენილი. მატჩი ფრედ — 2:2 დასრულდა და მასპინძლებიც შემდეგ წრეში გავიდნენ. თუმცა...

მეორე დღეს „სიონის“ პრეზიდენტი კრისტიან კონსტანტინი უეფაში საგანგებო წერილს აფრენს მომხდარის თაობაზე. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია მოსკოვში ექსპერტებს აგზავნის, რომელთა უკან დაბრუნებისთანავე საგანგებო სხდომას ნიშნავს. საბოლოოდ შვეიცარიელები იმარჯვებენ და მატჩის გადათამაშებასაც აღწევენ, მაგრამ ამით კონსტანტინი კმაყოფილი სულაც არაა. პირიქით, აცხადებს, წესით და რიგით მოსკოველებს 0:3 წაგება უნდა ჩათვლოდათო. ასეა თუ ისე, რე-მატჩი დაინიშნა, რომელიც, შეთანხმებისამებრ, 15 ოქტომბერს გაიმართება. „სპარტაკის“ თავკაცობამ უკვე იზრუნა გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად. გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა გენადი ზნაევსკიმ განაცხადა, დალახვროს ეშმაკმა, არც კი ვიცით, პატარა კარებები საიდან გაჩნდა. განმეორებით მატჩზე, გარწმუნებთ, ამდაგვარი გაუგებრობები აღარ მოხდება. კარებები უკვე გუშინ შევცვალეთო. გადაწყვეტილებით გახარებულნი სულაც არ ვართ. რა გაეწყობა, ხელახლა უნდა ვითამაშოთ. თუმცა, 0:3 წაგებას ახალი ცდა სჯობსო.

მოკლედ, „სპარტაკი“ და „სიონი“ 15 ოქტომბერს კვლავ ითამაშებენ. გამარჯვებული კი გუშინ გამართული კენჭისყრის შედეგად პირველ შეხვედრაში ესპანურ „ვალიადოლიდს“ უმასპინძლებს.

რაც შეეხება ჩვენს ჩემპიონს, მას პორტუგალიურ „ბრაგასთან“ მოუწევს. იმედს ვიტოვებთ, რომ „დინამო“ შეძლებს მეტოქის ძლევას და „ბოავიშტასთან“ შარშანდელი მარცხისთვის რევანშს აიღებს.

ისე, სრულიად შესაძლებელი იყო, „დინამოს“ „უდინეზე“, „მეცი“ ან „სტრასბური“ შეხვედროდა, რომლებიც „ბრაგასთან“ ერთად ჩვენებურთა ქვეჯგუფში იყვნენ. „დინამო“ „აიაქსთან“, „ლივერპულთან“ და „კარლსრუესთან“ ერთად იყო განთესილი პირობით A ჯგუფში.

„აიაქსს“, პირველი ეტაპისგან განსხვავებით, გაცილებით ძლიერ მეტოქესთან — „უდინეზესთან“ მოუწევს შეხვედრა. სავარაუდოდ, ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერებს ევროთასებზე მონაწილე იტალიელების გამოთიშვა არ უნდა გაუჭირდეთ. „უდინეზე“ სერია A-ში მეთერთმეტეა. ბოლო ტურში „პარმასთან“ სულაც 0:4 წააგო. ამავდროულად „აიაქსი“, რომ იტყვიან, დაფრინავს, თამაშს თამაშზე იგებს და შინაურ სარბიელზე კატასტროფული ანგარიშებით მოპოვებულ გამარჯვებებს აგერ „მარიბორთან“ არანაკლებ არასაფეხბურთო — 9:1 დაურთო. „აიაქსი“, ალბათ, „უდინეზესთანაც“ არ უღალატებს ჩვეულებას და ამაში თავის წვლილს შოთაც შეიტანს.

სერია A-ს ლიდერი „ინტერი“ უეფას თასზე მოასპარეზე ხუთი ფრანგული გუნდიდან ერთ-ერთს — „ლიონს“ ხვდება. ისე, საბერძნეთის „ოფისთან“ დაწყვილებული „ოსერის“ გარდა ყველას გაუჭირდება შემდეგ წრეში გასვლა. თუნდაც „სტრასბური“ ავიღოთ. ერთი ბრიტანელის, შოტლანდიის „რეინჯერსის“ გამგდები ახლა მეორე ბრიტანელ, ამჯერად „ლივერპულს“ ხვდება. ფრანგების მთავარმა მწვრთნელმა გორდონ ბერნარმა კენჭისყრის შემდეგ განაცხადა, მიხარია, ასეთ სახელოვან გუნდს რომ ვხვდებით. გლაზგოელებთან პაექრობისას მეორე წრეში თუ გავიდოდით, არ მჯეროდა, ახლა კი ძალები ვირწმუნეთ, იმედია, „ლივერპულს“ გავამწარებთო. კომენტარისგან არც ლივერპულელთა მხარემ შეიკავა თავი. გუნდის აღმასრულებელი დირექტორი პიტერ რობინსონი: „როი ევანსი („ლივერპულის“ მწვრთნელი) და „სტრასბურისგან“ გაგდებული „რეინჯერსის“ თავკაცი უოლტერ სმიტი დიდი ხნის მეგობრები არიან. იმედია, მოძმე შოტლანდიელები უამრავ ინფორმაციას მოგვაწვდიან მეტოქეზე, რაც ახლა ჩვენთვის ერთობ საჭიროა. ისე კი, იმედს ვიტოვებთ, რომ მათ მოვუგებთ.“

ვიდრე მეტოქეები პირველ მატჩებს გამართავენ, უამრავი პროგნოზი გამოითქმება. ზოგი გამართლდება, ზოგი — არა. ყველაფერს კი ის სჯობს, თამაშებს დავუცადოთ. გუნდების ძალთა შეფარდებაზე თავად მათ შორის გამართულ მატჩებზე უკეთესად არაფერი მეტყველებს.

**ლაშა გოდუაძე**

თბილისი
„შევარდენი“
3 ოქტომბერი

**მორკინალი 2:0 სიონი**

**მორკინალი:** გვარამაძე, ამბიძე, კველიშვილი, ი. ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, კაპანაძე (ლაპიაშვილი), პეტრიაშვილი, ცომაია, კ. გოგოლაძე, ქუმბურიძე (ქოიავა 80), ვ. გოჩაშვილი (დვალიშვილი 85)
**სიონი:** ჩლაიძე, გ. ჩომახიძე, ტარტარაშვილი, ყიფშიძე, მ. სამხარაძე, ტრაპაიძე, უკლება, შაკიაშვილი, მ. გოგოლაძე, ხოსროშვილი, ისიანი (ჭანკვეტაძე 70)
**გ** 1:0 პეტრიაშვილი (58) 2:0 ამბიძე (69)
**გაფრთხილება:** კაპანაძე, ხოსროშვილი
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

# სწავლა, სწავლა და სწავლა

**მამუკა კვანტალიანი**

გუშინ, ბოლნისელთათვის რომ გეკითხათ, თბილისში მოსაგებად იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ ის კი არ გახსენებიათ, სამი ქულის მოპოვებას თავგანწირული თამაში და ოფლისღვრა რომ სჭირდება: ჩვენი გუნდები კიდევ კარგა ხანს ვერ გაგვაკვირვებენ მრავალფეროვანი ტაქტიკური არსენალითა და ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციების დემონსტრირებით, მხოლოდ ესაა — ზოგიერთები ფიზიკურად მაინც არიან მომზადებულნი.

ნათელი იყო, „სიონი“ მასპინძლებს ფიზიკურად ვერ დაჩაგრავდა, ამიტომ სტუმრებს სხვა გზა უნდა ეძებნათ. ეს სხვა გზა კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეუპოვარი ბრძოლაა. თანაც ფინანსური საკითხი უნდა იყოს მოგვარებული. ბოლნისელებს რომ დაუჯერო, გუნდს კვირაში ერთი ძროხა არ ჰყოფნის, ხელფასებისა თუ პრემიების საკითხიც არ აწუხებთ. ფეხბურთელებს ვაესაუბრე: ხელმძღვანელების ხაუხარს ვაუმეორებ და გაკვირვებულები შემოგაცქერდებიან, შენ, ძმაო, ხომ არ დაგვცინიო. ჰოდა, რა გასაკვირია, თბილისში კიდევ ერთხელ რომ დამარცხდნენ. თანაც სტუმრებს ძირითადის ორი წამყვანი მოთამაშე — ტყავაძე და ყაველაშვილი აკლდათ. ბუბას ფეხი უტკენია, მურადი კი სტადიონზე დაიარებოდა. განტევების ვაცად სტუმრებმა მსაჯი მიიჩნიეს, თუმცა, ჩემი აზრით, კახიანს მასპინძლები უფრო უნდა დაემდურონ, როცა I ტაიმში მათ პენალტი არ დაუნიშნა.

მასპინძლებისგან უფრო ლაღ თამაშს ელოდნენ, მაგრამ რატომღაც „მორკინალი“ სტუმრად უფრო თამამად გამოიყურება, ვიდრე შინ. რომ არა პეტრიაშვილისა და ამბიძის ინდივიდუალური სოლო-რეიდები, თამაში, ალბათ, ფრედ დამთავრდებოდა.

პირველ ნახევარში მოწინააღმდეგებმა ერთმანეთს თითოჯერ დაურტყეს, ვერ იხეირეს და დასასვენებლად ისე გაეშურნენ, ვერაფერი შვილი თამაში ვიხილეთ.

მეორე ტაიმმა ხასიათი ცოტა გამოგვიკეთა. ტემპმაც იმატა და საგოლე მომენტებმაც, მაგრამ სანამ პეტრიაშვილმა და ამბიძემ არ გაიბრწყინეს, არაფერი გამოვიდა. არადა, ორივე მხარეს შეეძლო ..აწინაურება. მასპინძელთაგან გოგოლაძე ვერ ივარგა, როცა კარის წინ ეულად მყოფმა ზედმეტად ეფექტურობა მოინდომა. სტუმართაგან აქტიურმა ტ/ აპაიძემ ორჯერ თვითონვე შექმნა საგოლე მომენტი, კარისკენ დაარტყა, მაგრამ აცილა.

ამის შემყურე პეტრიაშვილს გული გაუწვრილდა. ბურთი ლამის მოედნის შუაგულში მოიგდო, მცველებს ჩაუდრიბლინგა და საჯარიმოს ხაზს მიახლოებულმა ლონივრად დაჰკრა. ჩლაიძე წამით დაყოვნდა და მაშინ გადახტა, როცა ბურთმა ბადეში დაიწყო ფართხალი. 15 წუთში იგივე ამბიძემ გაიმეორა. ოღონდ ლაშამ ბურთი ოდნავ მარჯვნიდან წამოიღო, გზად თანაგუნდელს მიბაძა და ჩლაიძეს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა. მომეჩვენა, მეკარე ამ მომენტშიც შეყოვნდა.

ამის მერე მასპინძელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია. საკითხავი და სადარდებელი კი ისღა დაგვრჩენია, რა უნდა ილონონ ჩვენმა ყოველმხრივ და ყველანაირად გაღარიბებულმა გუნდებმა. მეტი შრომა-გარჯა და სწავლა თუ გადაარჩენთ.

# რუსიკო ისევ ჩემპიონია

ერევანში დასრულდა 16 და 18 წლამდე მოჭადრაკე ვაჟთა და გოგონათა მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველოდან ამ ტურნირში 13 მოჭადრაკე ასპარეზობდა, მათ შორის 16 წლამდე გოგონათა მსოფლიოს ჩემპიონი რუსუდან გოლეთიანი, რომელმაც არც ახლა გაუმტყუნა იმედები თავის ქომაგებს და ამჯერად 18 წლამდე გოგონათა შორის გახდა მსოფლიოში უძლიერესი.

# ვიქტორ სანეევი სპორტს უბრუნდება

გუშინ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ვიქტორ სანეევს 51 წელი შეუსრულდა. ამჟამად სანეევი სიდნეიში მუშაობს და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა გადაწყვიტა, იგი სიდნეი 2000-ზე საქართველოს დელეგაციის ოლიმპიურ ატაშედ წარადგინოს, რის შესახებაც ბატონ ვიქტორს ფაქსით ეცნობა.

თუ სანეევი ამ წინადადებას დათანხმდება, იგი საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და სიდნეის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი იქნება.

# 15 წლით საფრანგეთში

საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა ჩოგბურთში მარგალიტა ჩახნაშვილმა 15-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ფრანგებთან, რომლის თანახმადაც იგი სახელგანთქმული „როლან გაროსის“ კლუბის წევრი გახდა. მაკა ისწავლის კლუბთან არსებულ „ადიდასის“ სპორტულ კოლეჯში. ფრანგული მხარე მას ყველაფრით უზრუნველჰყოფს. მაკა, რომელიც დეკემბერში 15 წლის გახდება, პარიზს 15 ოქტომბერს გაემგზავრება, მას შემდეგ, რაც თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებს.

## ტუხელ

**ფეხბურთი.** გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. მიუნხენი — კაიზერსლაუტერნი 1:3, ვერდერი — მიონხენგლადბახი 1:0; ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. მაასტრიხტი — ხპარტა 2:2

**SC BRAGA**

დაარსდა: 1921 წელს
პრეზიდენტი: ჟოაკიმ ნუნუ გუნია
მწვრთნელი: კასტრო სანტუში
სტადიონი: პრიმეირო დე მაიო (40 000)
თასის მფლობელი: 1966, 1982

# პენალტის მომგონის მლოცველნი

პორტუგალია. ჩვენთვის ლამის ყველაზე შორეული ევროპული ქვეყანა. შორეული და ამავე დროს ნაცნობ-ახლობელი. შარშან იყო, აქაურმა „ბოავიშტამ" ჩვენი „დინამო" 5:0 რომ გაანადგურა. წელს ისევ ესტუმრა პირინეებს ქართული გუნდი და იქიდან გამარჯვებით დაბრუნდა. ოღონდ ეს საქართველოს 17 წლამდე ნაკრები გახლდათ, რომელმაც ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე გაიმარჯვა. ამათი წარმატება პორტუგალიელ თანატოლთა ნაკრებთან (3:2) დიდად გასახარი კი იყო, მაგრამ მასზე სერიოზული და მაღალი რანგის ფეხბურთი უფრო ევროთასებზე რომაა, სადაო არც ესაა. ჰოდა აი, გუშინ უეფას თასის წილისყრამ თბილისის „დინამოს" მეტოქედ პორტუგალიური „ბრაგა" არგუნა.

„ბრაგა" პორტუგალიულ გრანდთა რიგში ერთ-ერთი ბოლოა. უფრო სწორად, ამ რიგში არცა დგას. პორტუგალიელთა ელიტა ტრიუმვირატისგან შედგება — „ბენფიკა", „პორტუ" და „სპორტინგი". ქვეყნის ჩემპიონიც ყველაზე ხშირად ამ სამეულიდან გამოვლინდება ხოლმე. ამიტომ, გასაკვირი სულაც არაა, ჩვენებურთა მეტოქეს მონაგარში ჩემპიონობა რომ არა აქვს. თუმცა, „ბრაგას" ტიტულები მაინც მოუპოვებია. კერძოდ კი, ქვეყნის თასი — ორჯერ. ბოლო დროს გუნდს ესეც სანატრელი გაუხდა და ევროთასებზე მონაწილეობაც. წელს კი მეოთხე ადგილზე გასული, თორმეტწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ევროტურნირებს.

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში „ბრაგას" მეტოქე ჰოლანდიური არნემის „ვიტესი" გახლდათ. პირველი მატჩი არნემში 2:1 მორჩა მასპინძელთა სასარგებლოდ. ჰოლანდიელებმა პეროვიჩის და ტრასტფულის გოლებით მოიგეს. პირველმა 33-ე წუთზე გახსნა ანგარიში, მეორემ კი მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე პენლტით გააორა. თუ ასეა, გაქვითვა როდისღა მოასწრესო, ალბათ, გაიკვირვებთ. 90-ე წუთზე სტუმრებსაც პენალტის ნიშნულიდან დაარტყმევინეს და გუნდის ბომბარდირმა ხორვატმა მლადენ კაროლაინმა საპასუხო მატჩისთვის შესაფერი შედეგი დაიბევა. ბრაგაში კი იქაური გუნდი 26-ე წუთზე უკვე 2:0-ს იგებდა. ორივე ბურთი მცველმა არტურ ჟორჟემ გაიტანა. როგორ მოახერხა ეს? ისევ თერთმეტმეტრიანის წესი შეეშველა პორტუგალიელებს. სიმართლე ვთქვათ, ასეთი რამ შემთხვევით იშვიათად ხდება. „ბრაგამ" მეთექვსმეტედფინალში გასასვლელად სამი გოლი, თანაც სამივე პენალტიდან გატანილი იკმარა. პორტუგალიელებს იმხელა წყალობა დააბერტყეს პირველივე ეტაპზე, მგონი, პენალტების ლიმიტი კიდეც ამოეწურათ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, სერიოზულად კი, ბრაგელებმა, ალბათ, გულით დალოცეს პენალტის მომგონი.

აქამდე „ბრაგას" ევროთასების ოთხ გათამაშებაში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ აქედან მხოლოდ ორჯერ გაუღწევია მეორე რაუნდში.

ბოლო წლებში „ბრაგა" ვერც შინაურ სარბიელზე ვარგოდა — 1992-93 წლების ჩემპიონატიდან მოყოლებული მერვე ადგილს არ ასცილებია. 93-94-ში კი ლამის გავარდა. მე-15 ადგილამდე გასულს ზედმეტმა ორმა ქულამ უშველა. სამაგიეროდ, შარშან დიდად მოინდომა: მხოლოდ ერთი, შინაური მატჩი წააგო და თავის სტადიონზე „პორტუ" თუ „სპორტინგი" ხომ დააშამათა, „ბენფიკასაც" ორჯერ დაუზავდა. წელს „ბრაგამ" შარშანდელი ჩემპიონისა და პოლონეთის ნაკრების მეკარე ანჯეი ვოზნიაკი შეიძინა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პორტუგალიელები მიღწეულის დათმობას კი არა, კიდევ უფრო გაძლიერებას აპირებენ.

„ბრაგას" ოპტიმალური შემადგენლობა: ვოზნიაკი — ჟოზე ნუნუ, არტურ ჟორჟე, სერჟიო, ლინუ — როდრიგაო, კარლიტუში, ბალთასარი, ფორმოსო — ტონი, კაროლაინი.

**ბრაგა ევროთასებზე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 66-67 | თთ | აეკ (ათენი, საბერძნეთი) | 3:2, 1:0 |
| | | ვაშაშ გიორ ეტო (უნგრეთი) | 2:0, 0:3 |
| 78-79 | უთ | ჰიბერნიანსი (მალტა) | 5:0, 2:3 |
| | | ვესტ ბრომვიჩ ალბიონი (ინგლისი) | 5:0, 2:3 |
| 82-83 | თთ | სუონსი სიტი (უელსი) | 1:0, 0:3 |
| 84-85 | უთ | ტოტენჰემ ჰოთსპური (ინგლისი) | 0:3, 0:6 |

UNDER-18 Championship

# კოპალეიშვილი მაინც იმედიანადაა



ევროპის ჩემიონატის შესარჩევი მატჩების გასამართად 19 სექტემბერს გამგზავრებული საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრები მხოლოდ გუშინ შუადღით დაბრუნდა თბილისში. როგორც ადრე ვწერდით, ჩვენებმა სამი შეხვედრიდან ერთში იმარჯვეს — მაკედონიაში, საბერძნეთსა და რუმინეთში კი დამარცხდნენ და ჯგუფიდან გასვლის შანსებიც შეუმცირდათ. ახლა თუ ქართველი ჭაბუკები დარჩენილ ორ საშინაო შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმს მოაგროვებენ, ხოლო დანარჩენები კი 12-ქულიან ზღვარს ვერ მიაღწევენ, შეიძლება, საქმეს ეშველოს, დამეთანხმებით, რთულია, მაგრამ ვახტანგ კოპალეიშვილი მაინც იმედიანადაა, სჯერა თავისი აღზრდილების. იმასაც ამბობს, მართალია, მაკედონიაც და საბერძნეთიც ძალიან კარგი გუნდებია, მაგრამ არა ისეთი, შინ ვერ მოვუგოთო. ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად მოუმზადებლები ყოფილან ყოველ მეოთხე დღეს თამაშისთვის. მწვრთნელის აზრით, ზედიზედ სამი მატჩის ჩატარება 18 წლამდელებს კი არა, გამოცდილ ფეხბურთელებსაც უჭირთ ხოლმე. ბიჭებს აშკარად დატყობიათ დაღლა. თანაც რუმინეთსა და მაკედონიაში მასპინძლები ერთობ ცუდად დახვედრიან. სხვა ბევრ რამესაც დაუწყვეტია გული ჩვენებურთათვის, მაგალითად, უსამართლო მსაჯობას.

— „თავის მართლებას არ ვცდილობ, — გაგვენდო ვახტანგ კოპალეიშვილი, — მაგრამ რატომღაც ისე მგონია, ობიექტური მსაჯობის შემთხვევაში არც ერთი თამაში არ უნდა წაგვეგო, ქულა მაინც უნდა გაგვეხერხებინა. სამწუხაროდ, ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ მოხდა. მაკედონიელებთან შეხვედრისას წერეთელი რატომ გაგვიგდო მსაჯმა, ახლაც არ ვიცი. ეტყობა, იმიტომ, რომ რუმინელებთან არ ეთამაშა. გარდა ამისა, რუმინელებთან შეხვედრისას რამდენიმე ნაღდ ჯარიმაზე დახუჭეს თვალი. ბაქრაძე ისე დაამტვრიეს, თამაშიც ვერ გააგრძელა და თითქმის უმცველოდ დავრჩით. მსაჯმა კი მეტოქეს გაფრთხილებაც არ მისცა. არადა, პირველ ტაიმში ისეთი უპირატესობა გვქონდა, წაგებას ვერც წარმოვიდგენდი. ბევრი მომენტი გაგვიცუდდა. ამას შენგელიას ავადმყოფობაც დაერთო. მოკლედ, ფეხბურთელებზე ცუდი არაფერი მეთქმის, კარგად მესმის მათი მდგომარეობა. იქნებ ცოტა ჩემი შეცდომების ბრალიცაა ორი მარცხი, მაგრამ ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი. უნდა დავივიწყოთ ყველაფერი და ნოემბრისთვის კარგად მოვემზადოთ. დარწმუნებული ვარ, საბერძნეთი, მაკედონია და რუმინეთი ერთმანეთში თამაშებისას აუცილებლად დაკარგავენ ქულებს. ჩვენ კი, თუ ევროპის ჩემპიონატზე თამაში გვსურს, დარჩენილი ორივე მატჩი უნდა მოვიგოთ. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. სხვათა შორის მეტოქეთაგან მაინც ჩვენ ვართ გამორჩეულნი, რადგანაც სამივე გუნდის მწვრთნელი ჯგუფის ფავორიტებად ქართველებს თვლის. მეც ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ თუ მოვინდომებთ, მათი ძლევა არ გაგვიჭირდება.

იქნებ პარადოქსულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ სამივე თამაშიდან ბერძნებთან წაგებულ შეხვედრას და რუმინელებთან ნათამაშევ პირველ ტაიმს გამოვყოფ. შედარებით უფერულად მაკედონელებთან ვირჯებოდით, თუმცა, მათთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ახლა კი სწორედ მაკედონელთა იმედი მაქვს, ისინი რუმინელებს მასპინძლობენ და სულ იოლი შესაძლებელია, მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდეს. ყოველ შემთხვევაში, რუმინეთში მე-80 წუთამდე წინ იყვნენ, მასპინძლებმა მხოლოდ შემდეგ მოახერხეს ოთხი გოლის შეგდება. აქედან გამომდინარე, ვაკეთებ დასკვნას, რომ უიმედოდ არ უნდა ვიყოთ. ვნახოთ, ნოემბერიც მალე მოვა. მანამდე კი დაველოდოთ მეტოქეთა შეხვედრებს".

ვფიქრობთ, სათქმელი აღარაფერია. როგორც იქნა, კი წააგო ჩვენმა 18 წლამდელთა ნაკრებმა ორი მატჩი, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ამ ბიჭებმა და მათმა მწვრთნელმა სიხარული განგვაცდევინეს. კოპალეიშვილის არ იყოს, იმედია, ჭაბუკები თავიანთ გამამწარებელ ბერძნებსაც და მაკედონელებსაც ღირსეულად გაუმასპინძლდებიან...

**III შესარჩევი ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| საქართველო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მაკედონია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

უახლოესი მატჩი: 8 ოქტომბერი, მაკედონია — საბერძნეთი.

ჩვენები კი 22 ნოემბერს მაკედონელებს უმასპინძლებენ, ხოლო 26 ნოემბერს ბერძენ თანატოლებს.

ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი
№6 GEORGIAN FOOTBALL YEARBOOK 1997-98



ყველაფერი ქართულ ფეხბურთზე და თითქმის ყველაფერი უცხოურზე. საქართველოს ჩემპიონატის ამომწურავი სტატისტიკა. მასში მონაწილე ყველა გუნდის შემადგენლობა, ფოტო, ემბლემა. საქართველოს ნაკრები გუნდების (ხუთ ასაკში) სრული სტატისტიკა. დღემდე გამართული საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა შესარჩევი მატჩი და ევროტურნირების შარშანდელი გათამაშების შედეგები — ამას მხოლოდ ერთ წიგნში ნახავთ.

## II ჯგუფი

მე-8 ტური. სამეგრელო — ფაზისი 2:3; იბერია — თორი 0:3; კოდაკო — კოლხეთი 0:5; იმერეთი — საპოვნელა 4:3; ჯუბა — აკადემია 1:0; ივერია — სქური 6:1; მეშახტე — ასკ 2:4; ცხინვალი — მერცხალი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 8 | 7 | 1 | 0 | 27:5 | 22 |
| აკადემია | 8 | 6 | 1 | 1 | 25:11 | 19 |
| კოლხეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 22:13 | 19 |
| ივერია | 8 | 6 | 0 | 2 | 28:9 | 18 |
| თორი | 8 | 5 | 1 | 2 | 18:9 | 16 |
| ჯუბა | 8 | 5 | 1 | 2 | 12:8 | 16 |
| მერცხალი | 8 | 5 | 1 | 2 | 16:13 | 16 |
| ცხინვალი | 8 | 5 | 0 | 3 | 23:12 | 15 |
| სქური | 8 | 5 | 0 | 3 | 18:16 | 15 |
| მეშახტე | 8 | 3 | 0 | 5 | 16:15 | 9 |
| ფაზისი | 8 | 2 | 0 | 6 | 13:21 | 6 |
| სამეგრელო | 8 | 1 | 1 | 6 | 9:22 | 4 |
| იმერეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 11:29 | 4 |
| საპოვნელა | 8 | 1 | 0 | 7 | 7:22 | 3 |
| კოდაკო | 8 | 1 | 0 | 7 | 5:28 | 3 |
| იბერია | 8 | 1 | 0 | 7 | 6:23 | -2 |

## III ჯგუფი

**დასავლეთი**

I ტურის მატჩი. ეგრისი — ოქროს საწმისი 1:0
მე-2 ტური. სულორი — ტორპედო 2 0:2; გაგრა — ოდიში 2 3:1; ენგური — სამგურალი 2 2:1; სალხინო — ეგრისი 2:0; ოქროს საწმისი — ბათუმი 2 (გადაიდო)
მე-3 ტური. სამგურალი 2 — ოქროს საწმისი 3:1; ოდიში 2 — განმუხური 0:2; ტორპედო 2 — გაგრა 0:0; შუქურა — სულორი 4:0; ბათუმი 2 — სალხინო 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განმუხური | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სამგურალი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| ეგრისი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ტორპედო 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ბათუმი 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| გაგრა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| შუქურა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 3 |
| ოდიში 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| სალხინო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ოქროს საწმისი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| სულორი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

**ცენტრალური**

მე-2 ტური. ვარძია — მრეტები 1:2; ლოკომოტივი 2 — ბაია ქასქი 2:0; 35 სტუ — მესხეთი 2:1; თსუ 2 — დინამო 2 და დილა 2 — ჟინერი (გადაიდო)
მე-3 ტური. მესხეთი — თსუ 2 4:1; ჟინერი — 35 სტუ 3:1; ბაია ქასქი — დილა 2 0:1; მრეტები — ლოკომოტივი 2 1:5; დინამო 2 — ვარძია (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟინერი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ლოკომოტივი | 2 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 6 |
| მესხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:6 | 6 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| დილა 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ბაია ქასქი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| 35 სტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | 3 |
| მრეტები | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| თსუ 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ვარძია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

**აღმოსავლეთი**

მე-2 ტური. ყვარელი — ალგეთი 2:0; ალაზანი — ჭაბუკიანი 2:0; სამგორი — იბერია 0:4; შირაქი — ხალიბი 1:0
მე-3 ტური. ალაზანი — თელეთი 5:0; სამგორი — ალგეთი 0:2; შირაქი — ჭაბუკიანი 3:0; ხალიბი — იბერია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| ალაზანი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:0 | 7 |
| ყვარელი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| შირაქი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ალგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სამგორი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:6 | 3 |
| ხალიბი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ჭაბუკიანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |
| თელეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

ზუგდიდი
ცენტრალური
29 სექტემბერი

**ოდიში 3:0 დილა**

ოდიში: სოლოლაშვილი (გაბელია 88), ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ტყემალაძე, ივეჩიანი (თოლორდავა 66), რევაზიშვილი, ენდელაძე, კაიდარაშვილი, წოტაიშვილი, კალანდაძე
დილა: ილურიძე, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, აკოფიანი, თარხნიშვილი, ნკრიალაშვილი, მარეხაშვილი (თაყაძე 59), ხ. გაგნიძე, შატაკიშვილი, ციცქიშვილი, მ. მინდიაშვილი (ჩალაძე 59)
1:0 ენდელაძე (53), 2:0, 3:0 კალანდაძე (83, 87)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

ფოთი
„ფაზისი"
29 სექტემბერი

**კოლხეთი 6:1 სამგურალი**

კოლხეთი: ქვაჩახია (ჩემია 71), მიქაბერიძე, კაკაჩია (ჯლამაძე 75), ქუტიძე, ამაშუკელი, ლალანიძე, ფანჩულიძე, ტორჩინავა (გიორგაძე 26), გვასალია, ნიჟნიკაძე, მ. ქობულაძე
სამგურალი: თევზაძე, ლ. ქობულაძე (ფეხტვენიძე 62), გ. ვაშაკიძე, კოლუაშვილი, გ. ჯანელიძე, მახვილაძე, დ. ჭელიძე (ფხაკაძე 37), სუხიაშვილი, ი. ხაჭაპურიძე (ძაგნიძე 21), თევდორაძე, კ. ჯანაშია
1:0, 2:0 ტორჩინავა (2, 16), 2:1 თევდორაძე (37), 3:1 ნიჟნიკაძე (53), 4:1 გვასალია (64), 5:1 მიქაბერიძე (69), 6:1 გვასალია (74)
გაფრთხილება: ჯანელიძე, სუხიაშვილი, კაკაჩია, ლ. ქობულაძე
მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

გიო ახვლედიანის




**[illegible]**

პრინციპში, მე ტურინში მივდიოდი, პარიზში კი აღმოვჩნდი.

ორი კვირის წინ, საღამოს ხუთ საათზე, „დელე ალპის" მინდორზე სერია A-ს მატჩი იყო დანიშნული „იუვენტუსა" და „ბრეშიას" შორის და შენგენის ვიზით შეჭურვილი დასავლეთში მოხეტიალე ქართველი აბა ამაზე უარს როგორ ვიტყოდი?

მე და ახალგაზრდა ქალაქელ ფანს, ზურა ბურდულს მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი ტურინის მატარებელზე შეხტომა. ზურას იტალიელმა ძმაბიჭებმა ისიც კი გვითხრეს, ბილეთის შოვნაზე არ იდარდოთ, თავის ისტორიაში „დელე ალპი" პირთამდე ავსებული ჯერ არავის უნახავსო.

მაგრამ ქართველი კაცის ამბავი ხომ მოგეხსენებათ — აღმოსავლეთით წასვლას დააპირებს და დასავლეთში აღმოჩნდება.

შებნელებულზე პარიზის ლიონის სადგურზე ვიყავით. რომს ორი დიდი გუნდი ჰყავს, მადრიდსაც ორი, მილანსაც ამდენივე, ლონდონში ეს ციფრი ხუთსაც მიუახლოვდება, პარიზში კი ასეთი კლუბი ერთადერთია — „პარი სენ ჟერმენი" — წმინდა გერმანეს უბნის სახელობაზე მეოთხედი საუკუნის წინ დაარსებული გუნდი, რომელიც „პარკ დე პრენსზე" აგორებს ბურთს.

ქომაგობა ამ გუნდს უმეძგრესი აქვს, მაგრამ ჩვენ იმ განთქმულ სადგურს მივუბრუნდეთ, რომლის ბაქანზეც გალეშილი შუახნის მამაკაცი იდგა და გამვლელებს „პარი სენ ჟერმენის" ერთგულებისკენ მოუწოდებდა. ამ ლოთ ქომაგს დაჭმუჭნული კოსტუმი ემოსა და მის გამორჩეულ ყურადღებას თავგადახოტრილი ახალგაზრდები იმსახურებდნენ. რა გასაკვირია და ძიამ ჩვენც მოგვიწოდა პსჟ-ს ერთგულებისკენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენში რუსულიდან გადმოსული სახელი „პესეჟე" დიდად არასწორი რამ არის. „პესეჟე" მიყვარსო, რომ თქვა, იქაური ქომაგი ვერ გაგიგებს, ისევე, როგორც ვერ გაგიგებს ბარსელონელი, როცა იტყვი, ნოუ კამპისკენ მივიჩქარიო. საზოგადოდ, კამპ ნოუ უნდა თქვა.

სწორი გამოთქმა „პეესჟეა" და არა „პესეჟე". თანაც ფრანგები ამ სიტყვას ისე წარმოთქვამენ, რომ ასო „ს" იკარგება და ფრანგულ ინტონაციასაც თუ გავითვალისწინებთ, საუცხოოდ ჟღერს „პე-ეჟე". ბიძა კი პსჟ-ს ქებიდან კონკურენტების გინებაზე გადავიდა. გამორჩევით „მონაკო" ეზიზღებოდა და აგინა კიდეც. კარგახანს იძახა — ანკიულე და მონაკოო, რაც მონაკოელთა უკანალის გინებას ნიშნავს. სულ „პუტენები" და „მედდები" უწოდა ტიგანას და მის ბიჭებს, რაც მეძავხა და უკაცრავად, განავალს ნიშნავს.

მოკლედ, პარიზში ფეხს რომ დადგამ, მონმარტრებზე და ასეთებზე ფიქრობ, ეგ ავი თვალი კი პიგალისკენ გქაჩავს და პირველ შემხვედრად ნამდვილი მუშტაიდელი ფანი გამომეცხადა.

რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ „პე-ეჟეს" ლურჯწითელი ქუდი ვიყიდე და საფრანგეთის ტერიტორიაზე ამ თავსარქმელით მიმოვდიოდი. ალალ ფანებს დიდად მოსწონდათ ეს საქმე, მავანთ კი უკვირდათ და აი, რატომ. იქაური ნასწავლი ხალხი თვლის, რომ პსჟ მეძვირე გუნდია და მისი მხარდაჭერა ინტელექტუალურ სფეროში დასაქმებული კაცისთვის არცთუ საშურია. ჩვენ ხალხის ბედზე, ბილეთის გაიაფებაზე ვფიქრობთ, ეგ ქუდი კი ამ კლუბის სიმბოლოა, სიმბოლოს ტარება კი მხარდაჭერას ნიშნავსო. ესეც შევიტყვე, პსჟ-ს მემარჯვენე ვინმეები უჭერენ მხარსო. მოკლედ ქუდის გამო ახსნა-განმარტებამაც კი მომიწია. პარიზი მაინც პარიზია, ის ლონდონივით ვერ ხუნთქავს ფეხბურთით.

თუმცა, თავხოტორა ფანობა აქაც გვარიანია. „სქინჰედებად" წოდებული ბიჭების ნამდვილი არმია, თავზეხელაღებულთა მრავალათასიანი გუნდი, ღიად დეკლარირებს „პე-ეჟეს" ერთგულებას. ყველაზე ცნობილ თავზეხელაღებულთა ერთობად ე.წ. „ბულონ ბოიზი" ითვლება. „ბულონელი ბიჭების" მომთოკავი ძალა კი იქაური „სპეცნაზი" CRS-ია. ამ „სპეცნაზის" ორმეტრიანი ჯეელები წესრიგის დამრღვევებს ისე ჭმუჭნიან, რომ თქვენი მოწონებული. „ბულონ ბოიზი" კი იბრძვის და მღერის:

„ოოოლე, პალი, სენ ჟელმენ! ოოოლე, პალი სენ ჟელმენ!"

მოკლედ, ტურინში მივდიოდი და პარიზში აღმოვჩნდი — „პე-ეჟეს" მოყვარულთა და არამოყვარულთა შორის.

ქუდი კი შემრჩა. საუცხოო ფანური ქუდია. სარჩულზე გარკვევით აწერია:

„არასოდეს მისდიო ბრბოს! წინ, პარი სენ ჟერმენ!"

არა, ფრანგებს საოცრად მოქნეული ფრაზები აქვთ.

სარეკლამო სააგენტო
**კოკი და კომპანია**
**რეკლამის დამზადება**
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
**კომპიუტერული მომსახურება**
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
**25% ფასდაკლებით!!!**
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

## ევროპა

### ირლანდია

ირლანდიის ნაკრები 11 ოქტომბერს ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერს — რუმინეთს მასპინძლობს. გუნდის მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ 22-კაციან გუნდში ცხრა ფეხბურთელი პირველად მიიწვია. მან გამოცდილი მცველები, დენის ირვინი და სტივ სტონტონი ამ თამაშზე აღარ შეაწუხა, რაც ასე ახსნა: ჩვენ, სავარაუდოდ, ფლეი-ოფში მოგვიწევს თამაში, ამათ კი გაფრთხილებები აქვთ, მეორეს მიღების შემთხვევაში გამოგვაკლდებიან, ეს კი ხელს არ გვაძლევსო. ირლანდიელები მართლაც ითამაშებენ ფლეი-ოფში, თუმცა, თუ მოხდა და მათ რუმინელებთან ქულაც ვერ აიღეს, თანაც ლიტვამ მაკედონიას 13 ბურთით (!) მოუგო, მაშინ ირლანდიელები მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების შანსს ბალტიისპირელებს გადაულოცავენ.

რაც შეეხება ნაკრების შემადგენლობას, იგი ასეთია: მეკარეები — შეი გივენი (ნიუკასლი), ალან კელი (შეფილდ იუნაიტედი); მცველები — გარი კელი, იონ ჰარტი (ლიდსი), ტერი ფილანი (ევერტონი), ფილ ბები (ლივერპული), გარი ბრინი (ქოვენთრი), კენ კანინგემი (უიმბლდონი), ჯეფ კენა (ბლექბერნი), კურტის ფლემინგი (მიდლსბრო), სტეფან კარი (ტოტენჰემი); ნახევარმცველები — ენდი თაუნსენდი (მიდლსბრო), რეი ჰავთონი (რედინგი), ალან მაკლაფლინი (პორტსმუთი), ჯეისონ მაკატირი (ლივერპული), ლი კერსლი (დერბი), გარეთ ფარელი (ევერტონი); თავდამსხმელები — დევიდ კონოლი (ფეიენოორდი), ტონი კასკარინო (ნანსი), მაიკლ ევანსი (საუთჰემპტონი), მარკ კენედი (ლივერპული), დევიდ კელი (ტრანმერი).

### შოტლანდია

11 ოქტომბერს ლატვიასთან შეხვედრაში. სქოთებს, შესაძლოა, ბლექბერნელი კოლინ ჰენდრი შეემატოთ, რომელმაც ბოლო შესარჩევი მატჩი მარცხენა ფეხის კუნთის დაჭიმულობის გამო გამოტოვა. მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობა ამათგან აირჩევა: მეკარეები — ენდი გორამი (რეინჯერსი), ჯიმ ლეიტონი (აბერდინი), ნილ სალივანი (უიმბლდონი); მცველები — ტომი ბოიდი (სელტიკი), კოლინ კალდერვუდი (ტოტენჰემი), კრისტიან დეილი (დერბი), კოლინ ჰენდრი (ბლექბერნი), ბრაიან მაკალისტერი (უიმბლდონი), ტოშ მაკკინლი, ჯეკი მაკნამარა (სელტიკი); ნახევარმცველები — დევიდ კირი (ჰართსი), სკოტ ჯემილი (ნოტინგემი), გარი მაკალისტერი (ქოვენთრი), პოლ ლამბერტი (დორტმუნდი), კრეიგ ბარლი, საიმონ დონელი (სელტიკი), ბილი მაკკინლი (ბლექბერნი), გორდონ დიური (რეინჯერსი); თავდამსხმელები — კევინ გალაჰერი (ბლექბერნი), ბილი დოდსი (აბერდინი), ალი მაკკოისტი (რეინჯერსი), დევიდ ჰოფკინი (ლიდსი).

### გერმანია

ბერტი ფოგტსის გუნდი ალბანელებს ჰანოვერში უმასპინძლებს. ფოგტსმა ბოლო შესარჩევი მატჩისთვის ნაკრებში ოთხი ახალი ფეხბურთელი მიიწვია: მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა დიტერ ჰამანმა ჩემპიონთა ლიგაში „გიოტებორგს" გოლი გაუტანა და ქვეყნის პირველ გუნდშიც დაუძახეს. პირველად მოხვდა რჩეულთა შორის ასევე მიუნხენელი, ოღონდ მეორე გუნდის, 1860-ის ნახევარმცველი იენს იერემისი. ფოგტსმა თბილისის „დინამოს" კარის დამლაშქვრელი, ლევერკუზენელი კარსტენ რამელოვიც არ დაივიწყა, მასთან ერთად კი უეფას თასის მფლობელი, „შალკე 04"-ის 27 წლის მცველი თომას ლინკეც გამოიძახა, რომელიც გერმანიის ნაკრებში სომხებთან მატჩის წინ კი იყო, მაგრამ იმ შეხვედრაში არ უთამაშია. სამი წლის შესვენების შემდეგ მწვრთნელმა ნაკრებში დააბრუნა ბუნდესლიგის ამჟამინდელ ლიდერ „კაიზერსლაუტერნის" 31 წლის თავდამსხმელი ოლაფ მარშალი, რომელმაც ამ სეზონში უკვე რვა გოლის შეგდება მოასწრო — ბოლოჯერ მან ნაკრებში 1994 წელს უნგრელებთან 0:0 დასრულებულ მატჩში ითამაშა. ნაკრებს დანაკლისებიც აქვს — გუნდი ახალი კაპიტნით ითამაშებს, რადგან კლინსმანს ტრავმა აწუხებს. ამავე მიზეზით გუნდში არ არის მარიო ბასლერი და იენს ნოვოტნი. 18-კაციანი გუნდის შემადგენლობა კი ასეთია: მეკარეები — ოლივერ კანი (ბაიერნი), ანდრეას კეპკე (მარსელი); მცველები — თომას ჰელმერი, მარკუს ბაბელი (ბაიერნი), იურგენ კოლერი, შტეფან როიტერი, მათიას ზამერი (დორტმუნდი), თომას ლინკე, ოლაფ ტონი (შალკე 04), კრისტიან ვიორნსი (ლევერკუზენი); ნახევარმცველები — მარკო ჰაბერი (შტუტგარტი), თომას ჰესლერი (კარლსრუე), დიტმარ ჰამანი, თომას შტრუნცი, მიხაელ ტარნატი (ბაიერნი), იორგ ჰაინრიხი, ანდრეას მიოლერი (დორტმუნდი), იენს იერემისი (მიუნხენ 1860), კარსტენ რამელოვ (ლევერკუზენი), დარიუშ ვოში (ბოხუმი), კრისტიან ციგე (მილანი); თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი), ლარს რიკენი (დორტმუნდი).

### ბოლივია

ბოლივიის ნაკრები 12 ოქტომბერს ეკვადორელებთან შესარჩევ მატჩში სათამაშოდ ასეთი შემადგენლობით ემზადება: მეკარეები — კარლოს ტრუკო (ატლეტიკო იდალგო), მაურიციო სორია (ხორხე ვილსტერმანი); მცველები — ხუან მანუელ პენია (ვალიადოლიდი), ედუარდო ჩიგუჩი, მიგელ ანხელ რიმბა, ლუის კრისტალდო (ბოლივარი), ივან კასტილიო (ხიმნასია), დორხიო ალვარესი (ბლუმინგი), სერხიო კასტილიო (სტრონგესტი); ნახევარმცველები — ვლადიმირ სორია, რამირო კასტილიო (ბოლივარი), მაურო ბლანკო (სტრონგესტი), რუბენ ტუფინო (ბლუმინგი), ფერნანდო ოჩაისპური (დეპორტივო უნივერსიტარიო); თავდამსხმელები — ლიმბერგ გუტიერესი, ხოსე ლუის ორტისი (ბლუმინგი), ხუან ბერტი სუარესი (სტრონგესტი), მილტონ კოიმბრა (ორიენტე პეტროლერო), მარკო ეჩევერი (DC იუნაიტედი).

### დანია

11 ოქტომბერს ათენი მეტად პრინციპულ მატჩს უმასპინძლებს. ელადის დედაქალაქს ევროპის 1992 წლის ჩემპიონები, დანიელები სტუმრობენ და ფრეც აწყობთ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად, ბერძნებს კი მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. სტუმრებს სავარაუდოდ ძმები ლაუდრუპები უნდა შეუერთდნენ, რომლებიც ტრავმირებულნი არიან: შოთას თანაგუნდელ მიქაელს ბარძაყი აწუხებს, უმცროს ძმას, ბრიანს კი ფეხის მყესები სტკივა. ჯერჯერობით დანიელთა შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — პიტერ შმაიხელი (მანჩესტერი), მოგენს კროგი (ბრონდბიუ); მცველები — ოლე ტობიასენი (აიაქსი), მიქაელ შონბერგი (კაიზერსლაუტერნი), მარკ რიპერი (სელტიკი), იაკობ ლაურსენი (დერბი), იენს ჰოგი (ფენერბაჰჩე), სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ); ნახევარმცველები — იან ჰაინცე (ლევერკუზენი), ტომას ჰელვეგი (უდინეზე), ალან ნილსენი (ტოტენჰემი), ბიარნე გოლდბეკი (კოპენჰაგენი), იონ დალ ტომასონი (ნიუკასლი), მორტენ ვიგჰორსტი (სელტიკი); თავდამსხმელები — მიკლოშ მოლნარი (სევილია), პიტერ მიოლერი (ეინდჰოვენი), ბრიან ლაუდრუპი (გლაზგო რეინჯერსი), მიქაელ ლაუდრუპი (აიაქსი).

### რუმინეთი

საფრანგეთის საგზურს შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე დაპატრონებული რუმინეთის ნაკრები ირლანდიას სტუმრობს. ბალკანელებმა აქამდე ნათამაშევი ცხრავე მატჩი მოიგეს, ბურთების შეფარდებაც ბრწყინვალე აქვთ, მაგრამ მთავარი მწვრთნელის, ანგელ იორდანესკუს თქმით, გუნდი ამაზე გაჩერებას არ აპირებს: „მიუხედავად იმისა, რომ დუბლინის მატჩის არაფერს წყვეტს, ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ძლიერ სასიხარულო იქნება, თუ შესარჩევ ციკლს მარცხის გარეშე დავასრულებთ. უფრო გამიხარდება, ირლანდიელებსაც თუ მოვუგებთ. 10 მატჩიდან ყველას მოგებით ჩვენ ისტორიაში შევალთ." მწვრთნელმა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ გენერლობა მიანიჭეს, ნაკრებში ორი ახალი ფეხბურთელი მიიწვია — ბუქარესტის „რაპიდის" მეკარე ბოგდან ლობონტი და ამავე კლუბის მცველი მიხაი ადრიან იენჩი. მთლიანად გუნდის შემადგენლობა კი ასეთია: მეკარეები — ბოგდან სტელეა (ვალიადოლიდი), დიმიტრუ სტინგაჩუ (ქოჯაელი), ბოგდან ლობონტი (რაპიდი ბ); მცველები — დან პეტრესკუ (ჩელსი), ანტონ დობოში (აეკ), ლივიუ ჩებოტარუ (ნაციონალი), ტიბორ სელიმეში (ანდერლეხტი), იულიან ფილიპესკუ, გეორგ პოპესკუ (გალათასარაი), კრისტიან დულჩა, მიხაი ადრიან იენჩი (რაპიდი ბ), ადრიან მატეი (სტიაუა); ნახევარმცველები — გეორგ ჰაჯი (გალათასარაი), კონსტანტინ გილჩა (ესპანიოლი), დორინელ მუნტეანუ (კიოლნი), დენის სერბანი (სტიაუა), ილიე დუმიტრესკუ (ატლანტე მეხიკო), დან პეტრესკუ (სერვეტი), გაბრიელ პოპესკუ (უნივერსიტატია); თავდამსხმელები — ვიორელ მოლდოვანი (გრასჰოპერი), ადრიან ილიე (გალათასარაი), გეორგ კრაიოვეანუ (სოსიედადი), მარიუს ლაკატუში (სტიაუა).

### ავსტრია

მინსკში ძლეულმა ბელარუსებმა ვენაში მასპინძელთ დიდი პრობლემები არ უნდა შეუქმნან, თუმცა, ყველაფერი მოსალოდნელია. ავსტრიელთა ნაკრებს თითომატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მეკარე მიხაელ კონსელი და მცველი ანტონ პფეფერი დაუბრუნდნენ. ორივე 6 სექტემბერს შვედებთან მოგებული მატჩიდან გააძევეს, რის გამოც გამოტოვეს კიდეც ბელარუსებთან პირველი შეხვედრა. მინსკში ნათამაშევი გუნდიდან 11 ოქტომბერს შინ სამი ვერ ითამაშებს — წარმოშობით ხორვატი ივიცა ვასტიჩი დისკვალიფიცირებულია, ედი ჰუტერი და დიტმარ კუხბაუერი კი ტრავმირებულნი არიან. ნაკრების მწვრთნელმა ჰერბერტ პროხაზკამ ვასტიჩის ნაცვლად გუნდში „გრაცის" თავდამსხმელი ჰერფრიდ საბიტცერი მიიწვია, რომელიც ნაკრებში ბოლოს 18 მარტს, სლოვენებთან ამხანაგურ მატჩში მონაწილეობდა. საბიტცერზე გაცილებით ადრე ითამაშა ბოლო მატჩი ნაკრებში ჰანს რინმაიერმა, რომელიც მწვრთნელმა ჰუტერის შემცვლელად მიიწვია. იგი ავსტრიის ღირსებას ბოლოს 1993 წელს იცავდა. რაც შეეხება მთავარი მწვრთნელის აზრს ბელარუსებთან მატჩის თაობაზე, იგი ერთმნიშვნელოვანია — აუცილებლად უნდა მოვიგოთო. 18-კაციანი ავსტრიის ნაკრები კი ასეთია: მეკარეები — მიხაელ კონსელი (რომა), ფრანც ვოლფარტი (შტუტგარტი); მცველები — ვოლფგანგ ფაიერზინგერი (დორტმუნდი), მიხაელ ჰაცი (ლეჩე), მარტინ ჰიდენი (რაპიდი), ვალტერ კოგლერი (ზალცბურგი), ანტონ პფეფერი (აუსტრია); ნახევარმცველები — ანდრეას ჰერცოგი, ჰაიმო პფაიფენბერგერი (ვერდერი), გოლბერტ პრაისლინგი, რომან მელიხი, ჰანს რინმაიერი (შტურმი), მარკუს შოპი (ჰამბურგი), პიტერ შტიოგერი (რაპიდი); თავდამსხმელები — ანტონ პოლსტერი (კიოლნი), ჰერფრიდ საბიტცერი, ჰარალდ ჩერნი (მიუნხენ 1860), დიტერ რამუში (გრაცი).

### ფინეთი

ფინეთის ნაკრებმა თუ უნგრელების დამარცხება შეძლო, ფლეი-ოფში მონაწილეობის შემდეგ იქნებ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურსაც გამოჰკრას ხელი. ერთი წლის წინ, შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში უნგრელებმა ფინელებს 1:0 სძლიეს, ახლა კი მასპინძელთა დანიელმა მწვრთნელმა, დანიელმა რიქარდ მიოლერ-ნილსენმა დაიქადნა, შეხვედრას აუცილებლად მოვიგებთ და საფრანგეთის საგზურისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთო. მან გუნდში ორი ახალი მეკარე მიიწვია — იუსი იუსკალაინენი და ტიევო მოილანენი, რომელთა მხრებზეც მხოლოდ ერთი სანაკრებო მატჩია. მოილანენმა წინა შესარჩევ შეხვედრაში ნორვეგიელებთან 4 გოლი გაუშვა. ნაკრების შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ტიევო მოილანენი (პრესტონი), იუსი იუსკალაინენი (ვაასა); მცველები — სამი ჰიპია, იუკა კოსკინენი (ტილბურგი), ტონი კივესტო (მიუპა), იუჰა რეინი (ვაასა), კარი რისანენი (ფინპა), მარკო ტუომელა (იარო), ჰარი იოლენენი (ჰაკა); ნახევარმცველები — ჯონათან იოჰანსონი (გლაზგო რეინჯერსი), იონას კოლკა (ტილბურგი), სამი მელიო (მიუპა), კაი ნიუსონენი (მოლენბეკი), იარი ვანალა (ფინპა), სიმო ვალაკარი (მოზერველი); თავდამსხმელები — იარი ლიტმანენი (აიაქსი), ანტი სუმიალა (ტვენტე), მიკა მატი პაატელაინენი (ვულვერჰემპტონი).

## აზია

A ჯგუფი

**ირანი 3:0 ყატარი**

1:0 ალ დაეი (34), 2:0, 3:0 ბაჲერი (45, 58)

**ჩინეთი 1:0 საუდეთი**

1:0 შან უნხუა (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| ქუვეითი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| საუდეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ყატარი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

ქირავდება
ერთოთახიანი,
იზოლირებული,
ტელეფონიანი ბინა
30 75 81

## ფეხბურთის რუბრიკასთან



**შვეიცარიის** „გრასჰოპერის" განადგურებამ ხორვატ გულშემატკივრებს ჭკუა დაუკარგვინა. სამშაბათ ღამით, თამაშის დასრულებისთანავე, დაახლოებით რვა ათასმა ფანმა ციურიხში ნამდვილი რბევა მოაწყო, ქალაქის მცხოვრებნი დააწიოკა, არც მანქანები და მაღაზიის ვიტრინები დაინდო. თავხედი სტუმრების დაკავება შვეიცარიელმა პოლიციელებმა ვერ შეძლეს, რადგან ხორვატები ძალზე ბევრნი იყვნენ. პოლიციელთა განცხადებით, მათ ჩარევას შეიძლება სისხლისღვრა მოჰყოლოდა, რაც სასურველი არ იყო. სამართალდამცავებმა მხოლოდ ორი ხორვატი ჭაბუკი და მათი 18 წლის თვისტომი გოგონა დააკავეს.

**ავსტრალიის ნაკრებმა, რომელსაც ვენეიბლზი ხელმძღვანელობს, ამხანაგურად ითამაშა ტუნისთან და სასტიკად დაამარცხა მასპინძლები. იმის მიუხედავად, რომ მწვანე კონტინენტის გუნდს მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელები აკლდა, მან აშკარად დაჩაგრა აფრიკელები. სტუმრებმა უკვე პირველ წუთზე გახსნეს ანგარიში აურელიო ვიდმარის თავურის წყალობით. მეორე და მესამე გოლები მარკ ვიდუკამ და რობი სლეიტერმა გაიტანეს. ისე, რაც ავსტრალიელებს ვენეიბლზი თავკაცობს, მათ ჯერ მატჩი არ წაუგიათ.**

**ესპანეთის** 1995 წლის ჩემპიონ მადრიდს „ატლეტიკოსთან" დამარცხება „ლესტერის" მწვრთნელმა მარტინ ონილმა მთლიანად მსაჯს ფრანგ რემი არელს გადააბრალა. ონილმა მისი მოქმედება თავხედურად მიიჩნია და თან ეჭვიც გამოთქვა, შესაძლოა, იგი ესპანელებმა სულაც მოისყიდესო. მწვრთნელის თქმით, არელმა „ლესტერის" სასარგებლოდ ნაღდი პენალტი არ დანიშნა, ხოლო მარკ პარკერი ტყუილად გააძევა. ინგლისელთა გუნდის ხელმძღვანელობამ განაცხადა, უეფაში საჩივარს შევიტანთ მსაჯის თაობაზეო. თავად უეფამ კი, ამ საქმის სერიოზული გარჩევა გვმართებსო.

**ინგლისის „ლივერპულის" 17 წლის ფორვარდი მაიკლ ოუენი სკოლის დამთავრებიდან სულ რაღაც 14 თვეში მილიონერი გახდა. კლუბმა თავდამსხმელს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა 2 მილიონ 700 ათას გირვანქად, კვირაში კი მას 10 ათას გირვანქას გადაუხდის. კონტრაქტში ისიც წერია, რომ თუ ფეხბურთელი ხუთ წელიწადში ინგლისის ნაკრების მაისურს მოირგებს, ჯამაგირი გაუორმაგდება.**

**ინგლისის** ლიგის თასის მეორე წრის განმეორებითი მატჩები, ოთხშაბათს რომ გაიმართა, ასე დასრულდა: ქოვენთრი — ბლექპული 3:1 (ორი მატჩის ჯამში 3:2), დერბი — საუთენდი 5:0 (6:0), ევერტონი — სკანთორპი 5:0 (6:0), მილუოლი — უიმბლდონი 1:4 (2:9), შეფილდ უენსდეი — გრიმსბი 3:2 (3:4). მესამე წრეში, 13 ოქტომბერს რომ უნდა გაიმართოს, ერთმანეთს შეხვდებიან: ბარნსლი — საუთჰემპტონი, ვესტ ჰემი — ასტონ ვილა, რედინგი — ვულვერჰემპტონი, ოქსფორდი — ტრანმერი, ვესტ ბრომვიჩი — ლივერპული, მიდლსბრო — სანდერლენდი, იფსვიჩი — ლიდსი, არსენალი — ბირმინგემი, ნიუკასლი — ჰალი, ტოტენჰემი — დერბი, ქოვენთრი — ევერტონი, უოლსოლი — შეფილდი იუნაიტედი.

**კოლუმბიის ნაკრები 8 ოქტომბერს ნორვეგიას ეთამაშება. მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე მოხვედრილი გუნდის თავკაცებმა ამხანაგური შეხვედრისთვის რენე იგუიტაც გამოიძახეს, რომელსაც გუნდში თითქმის ორი წელია არ უთამაშია. სკანდინაველებთან მატჩში სამშობლოს ღირსების დაცვის შანსი შემდეგ მოთამაშეებს ეძლევა: მეკარეები — რენე იგუიტა, მიგელ კალერო; მცველები — ვილმერ კაბრერა, კარლოს ფერნანდო ასპრილია, ევერ პალაციოსი, ივან რამირო კორდობა, ვილსონ პერესი, ხაირო ამპუდია; ნახევარმცველები — ხაროლდ ლოზანო, მაურისიო სერნა, ჯონ ვილმერ პერესი, ერმან გავირია, ჯონ მარიო რამირესი, თავდამსხმელები — ხამილტონ რიკარდი, რიკარდო პერესი.**

**ინგლისის** ნაკრებისა და „ტოტენჰემის" ფორვარდი დარენ ანდერტონი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და ვარჯიშს შეუდგა. ბოლო 14 თვის მანძილზე მან მხოლოდ 4-ჯერ ითამაშა. ამის მიზეზი საზარდულის ოპერაცია და კოჭის ტრავმები იყო. ლონდონელთა მწვრთნელის ჯერი ფრენსისის განცხადებით, დარენის მინდორზე ხილვა ყველას მონატრა და მას, სავარაუდოდ, კლუბის სათადარიგოებში მომავალ კვირას ათამაშებს.

**ესპანეთში ორი ახალი მწვრთნელი დაინიშნა — ანტონიო მასედა ამიერიდან ხიხონის „სპორტინგს" უთავკაცებს, სერხიო კრესიჩი კი რიგის „სკონტოს" მძლეველ „ვალიადოლიდს" გაწვრთნის. ორივე გუნდი ოთხი ტურის მერე კვლავ უქულოდაა და სწორედ ამან განაპირობა ცვლილებები. რაც შეეხება ახალ მწვრთნელებს, მასედა ხიხონელთა დუბლებს ავარჯიშებდა, კრესიჩი კი „მერიდას" და „ბეტისს" თავკაცობდა.**

**ირლანდიელი** როი კინი, „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი, დარჩენილი სეზონის განმავლობაში ვეღარ ითამაშებს. „ლიდსთან" მიღებული მუხლის ტრავმა თავიდან მსუბუქი ეგონათ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საქმე სახუმაროდ არ ყოფილა. ორშაბათს იგი სასწრაფო ოპერაციისთვის მოემზადა. დასკვნით რეაბილიტაციის პერიოდს მინიმუმ რვა თვე დასჭირდება. იმავე ტრავმის გამო პოლ გესკოინმა 16 თვე ვერ ითამაშა.

**ნორვეგიელი პიტერ რუდი, რომელიც შარშან თბილისში უეფას თასზე ნათამაშევი „მოლდეს" კაპიტანი იყო, 800 ათას გირვანქად პრემიერლიგის „შეფილდ უენსდეიში" გადაბარგდა. 23 წლის რუდიმ ინგლისელებთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. დებიუტი სავარაუდოდ 19 ოქტომბერს ექნება „ტოტენჰემის" წინააღმდეგ.**

**ინგლისის** პირველი დივიზიონის შარშანდელმა გამარჯვებულმა „ბოლტონმა" „უიმბლდონისგან" დინ ჰოლდსუორსი შეიძინა და თან კლუბის სარეკორდო თანხა — 3 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადა. 28 წლის ჰოლდსუორსი ბოლო ოთხი სეზონის მანძილზე „უიმბლდონის" საუკეთესო თავდამსხმელი იყო, მაგრამ ამ სეზონში ძირითადში ადგილი დაიკავა.

**კოლუმბიელი ფაუსტინიო ასპრილია, „ნიუკასლში" თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი, დაახლოებით ერთი თვე ვეღარ ითამაშებს. ამ სეზონში შესანიშნავად მოთამაშე ასპრილიამ ჩემპიონთა ლიგის მატჩში, კიევში, საზარდულის ტრავმა მიიღო, რის გამოც 25-ე წუთზე შეცვალეს კიდეც ექიმების რჩევით, მას დროებით შესვენება მოუწევს.**

**ბრაზილიელი** მარსიუ სანტუში, რომელიც 1995 წელს „აიაქსში" ოთხი წლით გადავიდა, ჰოლანდიელებმა ერთი წლით „სან პაულუში" გაანათხოვრეს. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონს ამსტერდამულ გუნდში ფეხის მოკიდება ძლიერ გაუჭირდა და წინა სეზონის დარად, როცა დროებით „ატლეტიკო მინეიროში" თამაშობდა, კვლავ მშობლიური ქვეყნის გუნდში ითამაშებს, თუმცა, მხოლოდ 1998 წლის 1 იანვრამდე.

**ბრაზილიის ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩები, ოთხშაბათს, რომ გაიმართა, ასე დასრულდა: ვასკუ და გამა — პალმეირასი 2:1, ჟუვენტუდე — ფლამენგო 0:1, სანტოსი — უნიაო სან ჟოაო 3:1, კორინტიანსი — ბრაგანტინო 2:0, გუარანი — სან პაულუ 0:0, ატლეტიკო პარანაენსე — პორტუგეზა 2:0, გრემიო — კრუზეირო 0:0, კრისიუმა — ინტერნასიონალი 0:1, ბაია — გოიასი 3:1, ბოტაფოგო — სპორტ რესიფე 1:0, ვიტორია — ამერიკა ნატალი 1:1. ჩემპიონატს 38 ქულით „ინტერნასიონალი" ლიდერობს; ქულით და თამაშით ნაკლები აქვს „პორტუგეზას", ხოლო მესამე ადგილზე მყოფი „ვასკუ და გამა" 35 ქულით და ორი გამოტოვებული მატჩით პოტენციური ლიდერია.**

**საფრანგეთის** კლუბები მალე, შესაძლოა, სააქციო საზოგადოებებად იქცნენ. ამის შესახებ ქვეყნის სპორტის მინისტრმა ჟან მარი ბუფემ განაცხადა. საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელ ბაზა კლერეფონტენში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ბუფეს გარდა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები და საფრანგეთის ეროვნული ლიგის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ამ და სხვა საკითხებზე იმსჯელეს, თუმცა, გუნდების სააქციო საზოგადოებებად გადასაქცევად აჩქარებას მოცდა ამჯობინეს. ცვლილება, საერთოდ, მომავალ წელს მოხდება.

# ზღაპარი ახალ იუვენტუსზე

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა თასის მეორე ტურის მიმოხილვა

A ჯგუფი

### დორტმუნდი 4:1 სპარტა

„ვესტფალენ შტადიონზე" 46 500 გერმანელი ხარობდა. შაპუიზას ორმა და ჰერლიხისა და ჰაინრიხის თითო გოლმა ჩეხი ზიგლის გვიანი პასუხი დაჩრდილა და „ბორუსიამ" შთამბეჭდავი გამარჯვება მიითვალა.

— მოწინააღმდეგე დაცვაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში აგრესიულად თამაშობდა — თქვა მატჩის შემდეგ „სპარტას" მწვრთნელმა იოზეფ ხოვანეცმა — ჩვენ ბევრს ვერაფერს ვილონებდით. „დორტმუნდი" ჩვენი საკბილო გუნდი უბრალოდ არ იყო.

— მეტისმეტად გვჭირდებოდა შთამბეჭდავი გამარჯვება — უთხრა ჟურნალისტებს ულამაზესი თაურით ანგარიშის გამხსნელმა ჰაიკო ჰერლიხმა — ის, რაც ამ საღამოს მოხდა, ზუსტად ის გახლდათ, ჩვენ რომ გვჭირდებოდა. ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ.



AP დორტმუნდიდან

დორტმუნდი — სპარტა. მასპინძლებმა მართლაც იფრინეს...

დორტმუნდელთა პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმა იტალიელ მწვრთნელს, ნევიო სკალას ამაგი დაუფასა:

— მწვრთნელმა უდიდესი სამუშაო გასწია და ეს დაუფასდა. ყველაფერი დიდებულად ჩატარდა, გუნდმა საუცხოოდ ითამაშა და ქომაგებიც კმაყოფილნი დარჩნენ. მე არაფერი გამკვირვებია, ამას ველოდი.

საკუთრივ სკალა კი, როდესაც ჰკითხეს, ასე მოკლე დროში გუნდი კარგად როგორ აათამაშეო, ცოტა დაიბნა:

— ეს ჩემთვისაც საიდუმლოა. ბოლო ოთხ შეხვედრაში ცუდად ვთამაშობდით, დღეს კი მოულოდნელად ფანტასტიკურად გავისარჯეთ. იმედი ვიქონიოთ, რომ ასევე გაგრძელდება.

### პარმა 2:0 გალათასარაი

არგენტინელების — ნესტორ სენსინისა და ერნან კრესპოს გოლებმა იტალიურ გუნდს თურქული დაამარცხებინეს და ახლა იგი დორტმუნდთან თამაშში შეეცდება პირველ ადგილზე გადანაცვლებას.

— მომავალი თამაში ფრიად მაღელვებს — თქვა პრესკონფერენციაზე „პარმას" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ, რომელიც ფეხბურთელობისას, „მილანის" შემადგენლობაში, 1989 წელს ფლობდა ჩემპიონთა თასს — მეოთხედფინალში გასვლისათვის მას საბედისწერო მნიშვნელობა ექნება. იმედი მაქვს, რომ ენრიკო კიეზას, რომელმაც დღეს ორჯერ გაარტყა ბურთი ძელს, იმ შეხვედრაში უფრო გაუმართლებს. რაც შეეხება დაცვას, შემიძლია განვაცხადო, რომ ვინც გინდა იყოს მოწინააღმდეგე, ჩვენს საჯარიმოში შესასვლელად ჯოჯოხეთური გზა ექნება გასავლელი.

მართლაც, „პარმა" ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე 24 უძლიერესს შორის რჩება ერთადერთ გუნდად, რომელსაც ჯერ გოლი არ გაუშვია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პარმა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| სპარტა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| გალათასარაი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 22 ოქტომბერი: პარმა — დორტმუნდი, სპარტა — გალათასარაი*

B ჯგუფი

### ფეიენოორდი 2:0 კოშიცე

როტერდამელებმა, როგორც ჩანს, შინაპრობლემები დაძლიეს და ეს ჩემპიონთა ლიგას სამი ქულით დაატყეს. პირველ ტურში „იუვენტუსთან" 1:5 წაგების შემდეგ გამარჯვება მათთვის ფსიქოლოგიურად იყო სასარგებლო. გოლები ჟან პოლ ვან გასტელის პენალტისა და ხულიო კრუსის თაურს მოჰყვა. სლოვაკებს თამაშის დასაწყისში ჰქონდათ ორი შესაძლებლობა, მაგრამ ვლადიმირ იანოჩკოსაც და იოზეფ კოზლეისაც „ფეიენოორდის" მეკარე იურეკ დუდეკმა გადაუღობა გზა. მეორე ტაიმში მახვილი კუთხიდან კოზლეიმ ხარიხას გაარტყა, თუმცა მანამდე მასპინძელ ვან ბრონკჰორსტს ორივე ძელისთვის ჰქონდა ბურთი მორტყმული.

— ჰოლანდიის ჩემპიონატში ჩატარებული ბოლო შეხვედრის ფონზე დღეს კარგად ვითამაშეთ, „კოშიცემ" კი მოლოდინს გადააჭარბა — ასე შეაფასა თამაში როტერდამის გუნდის მწვრთნელმა არი ჰაანმა.

### მანჩესტერი 3:2 იუვენტუსი

— ვერც კი აღგიწერთ, როგორ კმაყოფილი ვარ. ეს იყო თამაში, რომელშიც ყველა ფეხბურთელმა სული და გული ჩააქსოვა. პერიოდულად ბრწყინვალე ფეხბურთს ვთამაშობდით და გამარჯვებას ვიმსახურებდით. ჩემი მოთამაშეები დიდი ბრძოლისთვის იყვნენ მზად. მათთვის დღევანდელი დღე უდიდესი სტიმულისა გახლდათ. ჩვენ მრავალჯერ გვინახავს „ოლდ ტრეფორდზე" გულის დუღილი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია — ხარობდა „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ალექს ფერგიუსონი.

რაც შეეხება ტურინელთა მწვრთნელს მარჩელო ლიპის, ის ცხვირჩამოშვებული სულაც არ გახლდათ:

— დღევანდელ წაგებას არაფერი გადაუწყვეტია. „იუნაიტედთან" საპასუხო მატჩამდე სამი სხვა თამაში გველის.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ბოლო 20 წელიწადში პირველად დაამარცხა იტალიური გუნდი.

იტალიური პრესა „ოლდ ტრეფორდის" მოვლენებს ასე გამოეხმაურა. „გაძეტა დელო სპორტი": „დიახ, ჩვენ გვჭირდებოდა შეხსენება, თუ როგორი თამაში იქნება იტალია — ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედმა" თვალი უნდა აგვიხილოს და გონება გაგვიხსნას... მართალია, სტუმრად თამაშისას ინგლისელები სიმხნევესა და თამაშის რიტმს კარგავენ, მაგრამ მანჩესტერული მატჩის ხასიათი მრავლის მანიშნებელია".

„ტუტოსპორტი": იტალია — ინგლისის მატჩის წინ ფარდა ახსნილია და შუქი შერინგემსა და სქოულზს, ინგლისის ნაკრების ორ ფეხბურთელს დაეცა. „იუვენტუსის" კარში ორი გოლი სწორედ მათ გაიტანეს. „იუვენტუსმა" კი „მანჩესტერის" მეკარე მხოლოდ ორჯერ შეაწუხა, პირველ და 91-ე წუთებზე. გუნდისგან, რომელმაც ყველგან გამარჯვებას შეგვაჩვია, ეს ძალიან ცოტა იყო."

განსაკუთრებული კრიტიკა კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის მიმართ გამოითქვა: „იყო და არა იყო რა, იყო „იუვენტუსი", რომელსაც დიდი კუნთები ჰქონდა, ჰქონდა გული და ჰყავდა ზეცასთან მოთამაშე ფეხბურთელები, მაგრამ მან ისინი გაყიდა. ახლა „იუვენტუსს" გაცილებით მეტი ფული აქვს, მაგრამ რა გამოვიდა? ახლა „იუვენტუსს" ჰყავს ჯუჯები, რომლებიც აქეთ-იქით იმის მიხედვით დარბიან, მზეა თუ ღრუბელი. „იუვენტუსი" ახლა „ლეჩესა" და „ბრეშელოს" დასამარცხებლად თავგამოდებით იბრძვის. დაანებეთ „მანჩესტერ იუნაიტედს" თავი — წერდა „ლა რეპუბლიკა".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:4 | 3 |
| ფეიენოორდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| კოშიცე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 22 ოქტომბერი: მანჩესტერი — ფეიენოორდი, კოშიცე — იუვენტუსი*

C ჯგუფი

### დინამო 2:2 ნიუკასლი

უკრაინის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე შეკრებილი „დინამოს" 100 ათასი მხარდამჭერი საკუთარი თვალებით ხედავდა, თუ როგორ უშვებდა ხელიდან მათი საყვარელი გუნდი უეჭველ მოგებას. მცველ ჯონ ბერესფორდის ბოლო 12 წუთში გატანილმა ორმა გოლმა „ნიუკასლი" კიევში წაგებას გადაარჩინა. ამ სეზონში, ყოველ შემთხვევაში მის დასაწყისში, ბრიტანელთა მშველელი ბერესფორდი მშვენივრად თამაშობს — ჯერ იყო და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „კროაციას" შინ ორჯერ გაუტანა, მერე პრემიერლიგაშიც შეაგდო, ახლა კი თითქოს უიმედო მდგომარეობაში მყოფი გუნდი კვლავ იხსნა. არადა, კიეველთა უპირატესობა აშკარა იყო — გაჭედილი სტადიონის მხარდამჭერით წახალისებულმა „დინამომ მე-4 წუთზევე გახსნა ანგარიში — გოლი რებროვმა შეაგდო. 28-ე წუთზე კი შევჩენკომ 2:0 გახადა. მერე მოხდა ის, რაც არც ისე ხშირია ფეხბურთში — 78-ე წუთზე ბერესფორდის გასროლილი შეკოვსკის ფეხებში გაუძვრა, მალე კი მისივე მთელი უკრაინის დამლახვრელი დარტყმა და... ბურთი ერთ-ერთ მცველს ხვდება და ზუსტად ეშვება ბადეში.

— კარგად ვითამაშეთ და მოგებას ვიმსახურებდით. „ნიუკასლს" გაუმართლა, თამაში ფრედ რომ დამთავრდა. დღეს ჩვენი მთავარი პრობლემა მეტოქე კი არა, თავად ჩვენი ფეხბურთელები იყვნენ. სამწუხაროა, როცა მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, მაინც ფრეს თამაშობ. ორი შეცდომა ამდენივე გოლად და ორ დაკარგულ ქულად დაგვიჯდა. ძალზედ დასანანია — განაცხადა პრესკონფერენციაზე კიეველთა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ. მანვე მოგვიანებით დასძინა, ქვეყნის ნაკრების ბირთვს სწორედ ჩემი ფეხბურთელები შეადგენენ, რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა კი ყველას არ ძალუძსო.

— ჩემმა ფეხბურთელებმა ნებისყოფა გამოავლინეს. ყოველი მათგანი გმირია. კარგად ვიბრძოდით და დავიმსახურეთ ის, რასაც მივაღწიეთ. მეტოქე გვჯობდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც თანაბარნი აღმოვჩნდით. აქ თამაში მართლაც რთული ყოფილა. მოხარული ვარ, შინ ქულით რომ მივდივარ. „ბარსელონას" კიევში ძლიერ გაუჭირდება — განაცხადა დალგლიშმა და ბოლოს დასძინა, შედეგმა ძლიერ გამახარა, თუმცა, ასპრილიას ტრავმა მეწყინაო. კოლუმბიელმა 25-ე წუთზე ჯარიმა რომ დაარტყა, წამსვე მუცლის არეში ტკივილი იგრძნო და შეცვალეს კიდეც. მოგვიანებით დაადგინეს, რომ საზარდულის ტრავმა მიუღია.

### ბარსელონა 2:2 ეინდჰოვენი

გვიანმა, რიკოშეტით გატანილმა გოლმა, რომლის ავტორიც პეტერ მიოლერი გახლდათ, უმცირესობაში მოთამაშე „ეინდჰოვენს" კატალონიის დედაქალაქში დამსახურებული ფრე მოაპოვებინა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, სადაც სტუმრებმა ორჯერ ძელს გაარტყეს და კიდევ სამი აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, ჰოლანდიელებმა ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში. 80 ათასიანი „კამპ ნოუს" გულდასაწყვეტად ეს ჯერ კოკუმ შეძლო, შემდეგ კი, როგორც გითხარით, მიოლერმა. 34-ე წუთიდან უმრავლესობაში მყოფმა „ბარსელონადან" კი ორივეჯერ ლუის ენრიკემ იყოჩაღა. 2:1-ზე გოლის გატანის შანსი ჰქონდათ რივალდოსა და პიცისაც, მაგრამ ხელიდან გაუშვეს. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს პირველ შეხვედრაში მარცხი ჰქონდა ნაწვნევი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ნიუკასლი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ბარსელონა | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ეინდჰოვენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

*უახლოესი მატჩები. 22 ოქტომბერი: დინამო — ბარსელონა, ეინდჰოვენი — ნიუკასლი*

D ჯგუფი

### რუსენბორგი 5:1 ოლიმპიაკოსი

ნორვეგიის ჩემპიონმა ბერძენ სტუმრებს აშკარად და ყოველმხრივ აჯობა. წვიმიან ტრონჰეიმში „ოლიმპიაკოსმა" ვერ გამოიყენა ის გარემოება, რომ მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო არ ჰყავდათ ცენტრალური მცველი ბიორნ ოტო ბრაგსტადი, მისი შემცვლელი ერლანდ იონსენი კი ტრავმირებული იყო. პირველი ტაიმი „რუსენბორგმა" 3:0 მოიგო და მეორეშიც განაგრძო გოლების ფეიერვერკი. ბერძენთა ერთადერთი გოლი 17 წლის განელმა პიტერ ოფორიკუაემ გაიტანა.

— ჩვენ პირველივე წუთიდან შევუტიეთ მოწინააღმდეგეს. არ გამიკვირდებოდა, პირველი ნახევრის ანგარიში 6:0 რომ ყოფილიყო. დღეს მართლაც ძლიერები ვიყავით — განაცხადა „რუსენბორგის" მწვრთნელმა ნილს არნე ეგენმა, რომელმაც დასძინა, რომ მისი გუნდი ნებისმიერ მეტოქეს შეუქმნის პრობლემებს.

### პორტუ 0:2 რეალი

ესპანეთის ჩემპიონმა თავმოყვარეობა დაიკმაყოფილა და უკვე ორი ტურის შემდეგ ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. საამისოდ ესპანური ფეხბურთის ვეტერანი ფერნანდო იერო მე-13 წუთზევე გაისარჯა, როდესაც თაური დარტყმით დალაშქრა მასპინძელთა კარი. „სამეფო გუნდის" მეორე გოლი 78-ე წუთზე რაულმა გაიტანა. რაულს ხელ-ფეხი მეორე ტაიმში გაეხსნა, როდესაც შესვენების მერე მოედანზე გაბრუნებულს ახალ დავალებად ნახევარდაცვის მიტოვება და მხოლოდ შეტევაზე ზრუნვა გაჰყვა. ასისტენტობა ესპანელ თავდამსხმელს ბრაზილიელმა თანაგუნდელმა რობერტო კარლოსმა გაუწია. აღსანიშნავია, რომ კარლოსს თავადაც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე თავისი ცნობილი დარტყმით ხარიხა შეაზანზარა.

— „რეალმა" ჭეშმარიტად თანამედროვე ფეხბურთის გაკვეთილი ჩაატარა. ჩემი ფეხბურთელები მთელი შეხვედრის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას. იმაზე უკეთ თამაში, ჩვენ პირველ ტაიმში რომ შევძელით, მართლაც ძალიან ძნელია — ვერ მალავდა აღფრთოვანებას მადრიდელთა გერმანელი ხელმძღვანელი იუპ ჰაინკესი. მან დასძინა — შესაძლოა, გატანილ და გაშვებულ გოლთა სხვაობა უკეთესიც გვქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან.

„რეალის" მეკარეს სანტიაგო კანისარესს ძირითადად საქმე არ ჰქონია, თუმცა მეორე ტაიმში ზლატკო ზაჰოვიჩის მარცხენა ფეხით დარტყმულის მოსაგერიებლად ოსტატობის გამოვლენა მოუხდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 22 ოქტომბერი: რუსენბორგი — პორტუ, რეალი — ოლიმპიაკოსი*

E ჯგუფი

### ბეშიქთაში 3:1 პსჟ

თურქებმა ყველა გააკვირვეს, საკუთარი თავის ჩათვლით. დაუსტვენა თუ არა არბიტრმა თამაშის დაწყების საუწყებლად, ისინი მეტოქის კარს ეკვეთნენ და 90 წუთი შეტევაში გაატარეს. უკვე მე-4 წუთზე ოქთაიმ მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული პასით გახსნა ანგარიში, შესვენებამდე კი მეორე გოლის გატანაც მოასწრო. მეორე ტაიმში პარიზელთა იტალიელმა [illegible] ნემ 66-ე წუთზე მოახერხა [illegible] შემცვლელი [illegible] მაგრამ თურქთა [illegible] ერთგულრულს ასისტენტობა გაუწია და 3:1 გახადა.

თურქეთის ეროვნული ნაკრების წევრმა ოქთაიმ თავისი გოლები ვაჟიშვილს უძღვნა: — ეს ჯერ დასაწყისია. დასაწყისია ჩემთვის, ჩემი შვილისა და მთელი თურქეთისთვის.

### გიოტებორგი 1:3 ბაიერნი

შვედებმა სამხრეთელ სტუმრებს ვერ გაუძლეს, „ბაიერნმა" მე-2 წუთზევე გახსნა ანგარიში — გოლი იანკერმა გაიტანა. 35-ზე ჰამანმა 2:0 გახადა, 90-ზე კი ელბერმა 3:1. გერმანელთა მეორე და მესამე გოლებს შორის მასპინძელთაგან ლუკიჩმა მოახერხა პრესტიჟის გოლის შეგდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პსჟ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბეშიქთაში | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გიოტებორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 22 ოქტომბერი: ბეშიქთაში — გიოტებორგი, ბაიერნი — პარი სენ ჟერმენი*

F ჯგუფი

### ლიერსი 1:1 სპორტინგი

შეხვედრა სანახაობრივი თვალსაზრისით დიდი ვერაფერი გამოდგა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მსაჯმა აქეთ-იქით 56-ჯერ დანიშნა ჯარიმა და ექვსჯერ აღმართა ყვითელი ბარათი, თუმცა ბელგიელები სასტიკად აღშფოთდნენ, როცა „სპორტინგის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ლეანდრომ „ლიერსის" კაპიტანს პასკალ ბოერის სახეში იდაყვი მიარტყა, არბიტრმა კი ლეანდრო არ დასაჯა, ხოლო ბრაზილიელმა გოლიც რომ გაუტანათ, მათ განრისხების საზღვარი აღარ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მათი გოლი ჰოლანდიელმა პეტერ ჰუისტრამ გაიტანა.

### მონაკო 4:0 ლევერკუზენი

— კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის დღევანდელი თამაშით. ჩვენ კვლავ მებრძოლთა შორის ვართ და დღეს ყველაზე მთავარი ეს არის — თქვა მატჩის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონის მწვრთნელმა ჟან ტიგანამ. ლევერკუზენელთა მცველი რობერტ კოვაჩი თამაშის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე მოედნიდან რომც არ გაეძევებინათ, ჩვენ მაინც მოვიგებდით, მხოლოდ ანგარიში იქნებოდა ნაკლები. დღევანდელსა და პირველ ტურში ლისაბონში წაგებულ შეხვედრას შორის განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ დღეს დაგვიბრუნდნენ დისკვალიფიკაციამოხდილი წამყვანი მოთამაშეები — იაფეტ ნდორამი და სხვები. დღეს „ლევერკუზენი" იყო იმ მდგომარეობაში, ორი კვირის წინ ჩვენ რომ ვიყავით.

— მონაკო ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო — შეაფასა თამაში გერმანიის ვიცე-ჩემპიონის მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა — ისინი გამარჯვებას იმსახურებდნენ, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ უძლიერესი შემადგენლობით არ გვითამაშია. ჩვენი ღირსების აღდგენას სხვა მეტოქეებთან შევეცდებით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| ლიერსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

*უახლოესი მატჩები. 22 ოქტომბერი: მონაკო — ლიერსი, სპორტინგი — ლევერკუზენი*

**პაპუნა ძიძია**



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ეინდჰოვენი. რივალდო სტამთან ვერას გახდა

# ქუჩუნა წვიმა მოვიდა...

UEFA Cup Winners' Cup

## თასების თასის 1/16 ფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

თასების თასის გათამაშება სამი ევროპული საკლუბო ტურნირიდან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მუდამ უსუსტესად მიიჩნეოდა, თუმცა წლევანდელ სეზონში ამ თასისთვის საბრძოლველად ისეთმა გუნდებმა მოიყარეს თავი, ლამის ინტერტოტოს დონემდე დავიდა. შესარჩევ წრეში მონაწილეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მეთექვსმეტედფინალში გასულ ოცდათორმეტ გუნდშიც მრავლად არიან ისეთი კლუბები, რომელთაც აქამდე თავი არაფრით გამოუჩენიათ, ზოგი-



სლოვანი — ჩელსი. სტუმართა რუმინელი დან პეტრესკუ წამით ასწრებს სლოვაკ პეტერ გუნდას

ერთის სახელი კი ბევრმა, შესაძლოა, არც იცოდეს. მოკლედ, თასების თასის თამაშებმა გარკვეულწილად ინტერესი დაკარგა, თუმცა რამდენიმე მონაწილის წყალობით პრესტიჟი მაინც შეინარჩუნა. „ჩელსი“, „შტუტგარტი“ და „ბეტისი“ — აი, ის სამეული, რომლებიც ამ ჯილდოს მოპოვების უმთავრეს კანდიდატებად მიიჩნევიან. თუ წილისყრამ ინება და ისინი ერთმანეთს ფინალამდე არ შეახვედრა, გადამწყვეტ მატჩში, სავარაუდოდ, ამ სამიდან რომელიმე ორმა უნდა იასპარეზოს.

მეთექვსმეტედფინალი ზემოთნახსენებმა ფავორიტებმა უპრობლემოდ გაიარეს. სხვა, მეტ-ნაკლებად ძლიერი გუნდებიდან, ერთადერთი „ცრვენა ზვეზდას“ ნაადრევი მარცხი იყო მოულოდნელი, თუმცა, ჯერ ფავორიტებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

„ჩელსი“, რომელიც უდაოდ აღორძინების გზას ადგას, სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში ორბურთიანი მარაგით ჩავიდა. ქარსა და ავდარში გამართულ საპასუხო მატჩშიც იმარჯვეს ლონდონელებმა და შემდეგ წრეში გავიდნენ. გულიტმა „სლოვანს“ სახეშეცვლილი „ჩელსი“ დაუპირისპირა — ორი კვირის წინანდელი შემადგენლობიდან ექვსი ფეხბურთელიღა იყო, თავდასხმის ხაზი — ვიალი-ფლო — კი სრულიად ახალი. სწორედ ფორვარდებზე განაცხადა გულიტმა, კლუბში რამდენიმე სრულფასოვანი თავდამსხმელი მყავს, ამიტომ ზოგიერთს „ლივერპულთან“ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის წინ დავასვენებო. ჰოლანდიელს არც ამათ უმტყუნეს და ძირითადად მათი ძალისხმევით იყო, „ჩელსიმ“ რომ მოიგო. სხვათაშორის, ვიალი ერთ-ერთი იმ ოთხთაგანია, რომელსაც სამივე ევროთასი მოუგია. მას ევროტურნირებზე უამრავი გოლიც შეუგდია, თუმცა, სლოვაკებს რომ გაუტანა, მისი მსგავსი, საეჭვოა, აქამდე შეეგდოს. არადა, ამ შემთხვევაში ვიალი საგოლედ დიდად არც გარჯილა, უბრალოდ, უნებურად მოექცა მოვლენების ცენტრში — მეტოქის მორიგი შეტევის მოგერიება სლოვაკთა მცველმა სცადა, უძლიერესადაც დაარტყა, ვიალი ახტა, ბურთმა კი ლამის ზურგი შეუნგრია, შემდეგ ხარიხას მოხვდა და მიწაზე დავარდნის მერე მეკარის ხელებში აღმოჩნდა, თუმცა, მსაჯმა გოლი მაინც ჩათვალა და სამართლიანადაც. მეორე ნახევარში მოვლენები ძველებურად ვითარდებოდა — სტუმრები უტევდნენ, „სლოვანი“ კი კონტრშეტევებით იჩხვლიტებოდა. გულიტმა შესვენების მერე კიდევ ერთი ცვლილება მოახდინა — ზაფხულში შეძენილ ნიგერიელ ოლიმპიურ ჩემპიონს, სელესტინ ბაბაიაროს პირველად მოარგო „ჩელსის“ მაისური. ამის გამოსვლა და ჰორნაკის ავტოგოლი ლამის ერთი იყო. დი მატეოს გოლამდე მასპინძლები ვიალისაც გადაურჩნენ — მისი დარტყმული და ძელიდან ასხლეტილი ის-ის იყო, კარში უნდა შესულიყო, „სლოვანის“ კაპიტანმა რობერტ ტომაშეკმა რომ ივაჟკაცა. საფრთხე კი მალე გოლად იქცა — დი მატეომ შინ შეგდებულს სტუმრად გატანილიც მიაყოლა, რითაც 1 300 ლონდონელი ფანი აღაფრთოვანა. საინტერესოა, რომ მასპინძლებმა „ჩელსის“ მხარდასაჭერად სლოვაკეთში ჩასულ ბრიტანეთის სპორტის მინისტრ ტონი ბენქსს პატივი სცეს და ათასი ინგლისელი სტადიონზე უბილეთოდ შეუშვეს.

„თვალსასეირო მატჩი სულაც არ ყოფილა. მინდორი უხარისხო იყო, თამაში ჭირდა, ამას ცუდი ამინდიც დაერთო... თამაში პროფესიონალიზმის წყალობით მოვიგეთ. ვგონებ, მოგებას ვიმსახურებდით“ — დაასკვნა გულიტმა. მისმა კოლეგამ კი განაცხადა, ჩვენსა და მეტოქეს შორის სხვაობა ძალზედ დიდი იყოო. ინგლისელთა შემადგენლობა ასეთი იყო: დე გოი, პეტრესკუ (ნიკოლსი 73), ლებეფი, ლემბორდი, ლე სო (გრენვილი 65), სინკლერი, პოიეტი (ბაბაიარო 46), უაიზი, დი მატეო, ფლო, ვიალი.

ასევე ფავორიტად შერაცხულ „შტუტგარტს“ ისლანდიელების ძლევა რომ გაუჭირდა, ანგარიშიდანაც ჩანს. ცხადია, სტუმრად 3:1 მოგებული მატჩის შემდეგ გერმანელების შემდეგ წრეში გასვლა არავის ეეჭვებოდა, ისევე როგორც შინ დიდი ანგარიშით მოგება, მაგრამ მეტოქე კერკეტი კაკალი გამოდგა — ტაიმი მშვენივრად გაძლო და „შტუტგარტისთვის“ გულშემატკივრებს ხურდები დააშენინა. გაწბილებულმა მაყურებლებმა გოლების წვიმის ნაცვლად თავიანთი გუნდის უნიათო თამაში იხილეს და თავადაც საკადრისი პასუხი დაუბრუნეს ფეხბურთელებს, რომლებმაც მეორე ტაიმის ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს. მანამდე კი: „საზიზღრად ვითამაშეთ. კვირას „ჰამბურგთან“ უკეთესად გამოვიყურებოდით. ყველაფერი აგვერ-დაგვერია. გუნდს ველარ ვცნობდი. რას ვაკეთებდით, წარმოდგენა არ გვქონდა. ეს, ალბათ, უცუდესი მატჩია მათ შორის, „შტუტგარტს“ ჩემი ხელმძღვანელობით რომ უთამაშია“ — განაცხადა მწვრთნელმა იოახიმ ლევმა. მას კვერი არნათამაშევმა ბერთოლდმაც დაუკრა: „ასეთი ამაზრზენი სანახაობა კარგა ხანია, არ მინახავს. მერწმუნეთ, მეორედ-ასეთი რამ არ განმეორდება“. „შტუტგარტის“ შემადგენლობა ამ მატჩში ასეთი იყო: ვოლფარტი, ჰაბერი, ვერლაატი, ენდრი, ჰაგნერი, სოლდო, პოშნერი, ჯორჯევიჩი (ბეკერი 61), ბალაკოვი (ლიშტესი 82), ბობიჩი, რადუჩოუ (აკპობორი 46).

მესამე ფავორიტი „ბეტისი“ ბუდაპეშტს სტუმრობდა. ესპანელებმა მასპინძლებს თამაშის სურვილი დასაწყისშივე ჩაუკლეს ალექსისის შორეული დარტყმის მერე — უნგრელთა მეკარე იანოშ კოშტა ესპანელთა ერთ შეტევას კი დაუხვდა, მაგრამ ფორვარდის დაახლოებით 25 მეტრიდან დარტყმულთან ვერაფერს გახდა. კარამდე მანძილი არც მეორე გოლის დროს შემცირებულა — ორი კვირის წინ სევილიაში დუბლის შემსრულებელმა ალფონსომ იმავე მანძილიდან გაისროლა, ბურთი ჩაბა ლასლომ აისხლიტა და მეკარე უმწეო გახდა.

საპასუხო მატჩებში მოხდა ისეთიც, „ბათუმის“ დისკვალიფიკაციის შემდეგ თასების თასზე გულაცრუებული ქართველობა რომ გაგვახარა. საუბარია მიხეილ ფოცხვერიაზე, რომლის გოლმაც დონეცკის „შახტიორს“ „ბოავიშტას“ ბარიერი დააძლევინა. ამით მან „დინამოს“ შარშანდელი მარცხისთვის თავისებური რევანში აიღო. გოლი კი ლამაზი გამოდგა — პორტუგალიელთა საჯარიმოში შეჭრილი მიშა ერთ მცველს გასცდა, მეკარე რიკარდო პერეირასაც და მასთან ერთად მთელ „ბოავიშტას“ ცივი წყალი გადაასხა — დარტყმა უზუსტესად იყო შესრულებული. მართალია სტუმრებმა გაათანაბრეს, მაგრამ საქმეს მაინც ვერ უშველეს.

და ბოლოს, რაც შეეხება „ცრვენა ზვეზდას“ მოულოდნელ გავარდნას. ძირითადის ხუთი კაცის ამარა დარჩენილმა ბელგრადელებმა მეტოქეს მეტად გაახალგაზრდავებული გუნდი დაუპირისპირეს და ორი მატჩის ჯამში დამარცხდნენ კიდეც. 48 ათასი გულშემატკივრის მხარდაჭერით აღტკინებული დრულიჩი ორ მცველს გასცდა და ანგარიში გახსნა, თუმცა ასაკმა და გამოცდილებამ აქაც თავისი გაიტანა და კანადაში დაბადებულმა ტომაშ რაძინსკიმ გაათანაბრა. მასპინძლები წინაც გავიდოდნენ, სტანკოვიჩის ჯარიმა ხარიხას რომ არ მოხვედროდა, მაგრამ ფორტუნამ გოლი არ ინება. განერვიულებულმა მასპინძლებმა ბელგიელი ვერსტრეტენის უხეშობაზე თავი ველარ შეიკავეს და დრულიჩიც მოისაკლისეს. ბუნებამ კი თავისებურად დაიტირა ერთ დროს მრისხანე „ცრვენა ზვეზდა“ — ქუჩუნა წვიმა წამითაც არ შეწყვეტილა.

**ლაშა გოდუაძე**

### თასების თასის მეთექვსმეტედფინალი

საპასუხო მატჩები. 2 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

*შტუტგარტი (გერმანია)* — ვესტმანაეიარი (ისლანდია) 2:1 (3:1)
1:0, 2:0 აკპობორი (73, 76), 2:1 ლარუსონი (80)

ნაციონალი (ბუქარესტი, რუმინეთი) — *ქოჯაელისფორი (თურქეთი)* 0:1 (0:2)
0:1 ჩოლაქოღლუ

*ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)* — ბელშინა (ბობრუისკი, ბელარუსი) 3:0 (2:1)
1:0 მამინოვი (23), 2:0 ხარლაჩოვი (41), 3:0 ლოსკოვი (74)

*პრიმორიე (აიდოვშინა, სლოვენია)* — აიკ (სტოკჰოლმი, შვედეთი) 1:1 დ.დ. (1:0)
0:1 ნოვაკოვიჩი (77), 1:1 რუდონია (110)

არარატი (ერევანი, სომხეთი) — *კოპენჰაგენი (დანია)* 0:2 (0:3)
0:1 ნილსენი (87), 0:2 სესტა (89)

*როდა (კერკრადე, ჰოლანდია)* — ჰაპოელი (ბერ შევა, ისრაელი) 10:0 (4:1)
1:0, 2:0 ვან პუდტი (19, 32), 3:0 ლავალი (41), 4:0 ოაიერი (49), 5:0 ფრედე (53), 6:0 ლავალი (63), 7:0 ვან პუდტი (70), 8:0 ტორმა (72), 9:0 ოაიერი (85 პ), 10:0 ტორმა (90)

ლუცერნი (შვეიცარია) — *სლავია (პრაღა, ჩეხეთი)* 0:2 (2:4)
0:1 კოილოვი (55 ს.პ.), 0:2 ვაგნერი (74)

დინაბურგი (ლატვია) — *აეკ (ათენი, საბერძნეთი)* 2:4 (0:5)
1:0 ფედოტოვი (34), 1:1 ნიკოლაიდისი (35), 1:2 ვლახოსი (50), 2:2 ისაევი (62), 2:3 კოსტისი (72), 2:4 ნიკოლაიდისი (80)

ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) — *ეკერენი (ბელგია)* 1:1 (2:3)
1:0 დრულიჩი (18), 1:1 რაძინსკი (66)

*შახტიორი (დონეცკი, უკრაინა)* — ბოავიშტა (პორტუგალია) 1:1 (3:2)
1:0 ფოცხვერია (78), 1:1 კოუტუ (87)

*შტურმი (გრაცი, ავსტრია)* — აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) 3:0 (1:0)
1:0 რაინმაიერი (3), 2:0 ვასტიჩი (29), 3:0 ჰაასი (42)

ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — *ვიჩენცა (იტალია)* 1:1 (0:2)
1:0 კასპრჟაკი (56), 1:1 ძაული (87)

ვაშუტაში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — *ბეტისი (სევილია, ესპანეთი)* 0:2 (0:2)
0:1 ალექსისი (8), 0:2 ალფონსო (48)

კილმარნოკი (შოტლანდია) — *ნიცა (საფრანგეთი)* 1:1 (1:3)
1:0 რილი (31), 1:1 მილინკოვიჩი (76)

*ტრომსო (ნორვეგია)* — ზაგრები (ხორვატია) 4:2 დ.დ. (2:3)

სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — *ჩელსი (ინგლისი)* 0:2 (0:2)
0:1 ვიალი (28), 0:2 დი მატეო (60)

# ის არ მომკვდარა!

„მილანი“ დასნეულდა და თანაც ისეთი სენით, რომლის წამლობა ჯერჯერობით ვერც კლუბის მამობილმა ფაბიო კაპელომ შეძლო. ბოლო ათწლეულის ევროპის ყველაზე ტიტულიანი გუნდი, რომელიც ევროტურნირებში ნახევარფინალზე ადრე როგორც წესი, არ ვარდებოდა, ორიოდე წლის წინ ქვას ქვაზე არ ტოვებდა. თითქმის ყოველთვის გამარჯვებული იყო. მათ კარში ხომ გოლი ძალიან იშვიათად გადიოდა. ეს ორი წლის წინ, მათთვის დიდებულ, ქებულ დროს იყო, ახლა კი... ახლა, ძველი „მილანისგან“ ბევრი არაფერი დარჩენილა. შარშანდელი კრახი ბერლუსკონის ჯერაც ვერ მოუნელებია. ათეულობით მილიონი დოლარი დახარჯა, წლეულსაც იგივე რომ არ განმეორებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არაფერი გამოდის, გასულ სეზონში კაპელოსგან მიტოვებულმა „მილანმა“ ვერც ტაბარესს გაუგო ვერაფერი და ვერც დროზე ამაღორძინებელ საკის და იქ ჩაეშვა, სადაც მისნაირებს არაფერი ესაქმებათ. ბერლუსკონი მიხვდა შეცდომას და „რკინის ფაბიოდ“ წოდებული კაპელო უკანვე დააბრუნა, მაგრამ რად გინდა. ახალი სეზონის წინ კლუბი სკუდეტოს ერთადერთ რეალურ ფავორიტად მიიჩნეოდა, მხოლოდ მის შემდეგ ასახელებდნენ „იუვენტუსს“, „ინტერს“ და კიდევ სხვებს. საბაბი კი ნამდვილად იყო. კაპელომ ვინც ისურვა, ყველა უყიდეს, გუნდში უამრავმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი. ეგ კი არა, იტალიელები უცხოელებზე ნაკლებნი აღმოჩნდნენ. თავად განსაჯეთ, ჰოლანდიელები, გერმანელი, ხორვატები, იუგოსლაველი ფრანგები, ლიბერიელი, შვედი, ბრაზილიელი. „მილანი“ აჭრელდა და შესაძლოა ესეცაა მარცხიანი სტარტის მთავარი მიზეზი. ამასწინათ ბობანმაც აღნიშნა, კლუბში ცოტა არ იყოს მდგომარეობა დაიძაბა, არვინ იცის, ძირითადში ადგილი როდემდე ექნება, შეიძლება უძლიერესი იყო, მაგრამ მაინც სხვა თამაშობდესო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, აირია მონასტერი. მეოთხე ტურის შემდეგ კი, „მილანმა“ შინ „ვიჩენცასთან“ რომ წააგო, გაუგებრობას პრეზიდენტის რისხვაც თან დაერთო. მიდგა იტალიის ექსპრემიერ-მინისტრი და ლეგიონერები, განსაკუთრებით კი უშედეგო თავდამსხმელები, ძლიერ დატუქსა. ვეას, ბას და კლუივერტს გარჯა დაუწუნა. მათი გაკიცხვით რომ გული იჯერა, მრავლისმეტყველად დასძინა, ვხედები მარცხის მიზეზი უცხოელთა ჭარბი რაოდენობააო. რაც შეეხებათ საჯაროდ გაკიცხულ უცხო ქვეყნის შვილებს, მათი სახელით ლამის გალაქტიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა ჟორჟ ვეამ ისაუბრა — ბერლუსკონის [illegible] გული [illegible] რაც ენაზე მოადგება კარგ[illegible] ყველაფერს კი არ უნდა ამბობდეს. პრეზიდენტს მზაკვრული შეკითხვა დაუსვა, თუ ამდენი უცხოელი არ გჭირდებოდა, რად ირჯებოდი და მილიონებს რატომ ყრიდიო? ვეამ საუბრის ბოლოს ისიც დასძინა, „მილანის“ წარუმატებლობის მიზეზად ჩვენი დასახელება მთლად კაი საქმე ვერაა, თუ ლეგიონერებთან გაქვს რამე სათქმელი, ამას ჩვენ ტელევიზიით კი არ უნდა ვიგებდეთ, არამედ შენგანო.

მოკლედ, „მილანში“, რომ იტყვიან, „არასტაბილური ვითარება“ შეიქმნა. ცხადია, ასეთ მომენტში პასუხი უფროსობას მოეთხოვება. კაპელომაც ახალი „მილანის“ მშენებლობა დაიწყო. მანამდე კი, განაცხადა, გუნდს ჩვენს გარდა ვერავინ უშველის, ჰოდა, დავიკაპიწოთ ხელები და მუხლჩაუხრელად ვიმუშაოთ. ჯობს საქმე ჩუმად ვაკეთოთ, ბევრი ლაქლაქით შორს ვერ წავალთო.

ცხადია, მწვრთნელის ამგვარი საუბარი რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებების მოახლოებას მოასწავებდა და აი, ოთხშაბათს „მილანმა“ ოფიციალურად განაცხადა, რობერტო დონადონის დაბრუნება გვინდაო. კლუბის ზეობის წლებში, დონადონი მუდამ გუნდში იყო. თუმცა, საფეხბურთო სიბერის მოახლოება რომ იგრძნო, ამერიკაში წავიდა გასართობად საბურთაოდ. მაგრამ, როგორც ეტყობა, „მილანი“ ვეტერანებს იოლად ვერ ელევა და მისი დაბრუნებაც მოიწადინა. განა რამდენიმე წლის წინ არ იყო, ბარეზი რომ დაიბრუნეს? დონადონის გარდა კაპელომ „სამპდორიის“ თავდამსხმელის, პირველ ოთხ ტურში სამი გოლის გამტანი ვინჩენცო მონტელას ხელში ჩაგდებაც მოიწადინა, სთხოვა კიდეც გენუელებს, ეგ ბიჭი დაგვითმეთო. მწვრთნელმა ისინიც ამხილა, რომელთა გუნდში დარჩენაც უაზრობად მიაჩნია. ამგვართა შორის ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი და შვედი ფორვარდი ანდრეას ანდერსონი ფიგურირებენ — მათ კაპელო თურმე „სამპდორიაში“ უპირებს განათხოვრებას მონტელის სანაცვლოდ. დავიდსს, სავარაუდოდ, თანამემამულე ბოგარდიც მიჰყვება, რომლის გუნდში დატოვება კაპელოს არ უნდა, მაგრამ „ჩელსის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი გულიტისთვის კი ფრიად სასურველია. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, ხორვატი მცველი დარიო სმოჯი სერია A-ს რომელიმე სხვა გუნდში გადავა, ფრანგი თეთრთმიანი ზანგი იბრაჰიმ ბა და გერმანელი კრისტიან ციგე კი ძირითადს კარგა ხანი ვერ ეღირსებიან.

ასე რომ, „მილანში“ დიდი ძვრებია მოსალოდნელი...

**ლაშა გოდუაძე**

# ფაბრიციო: მე მოვალ!

„მიდლსბრო“ პრემიერლიგიდან გავარდა თუ არა, რავანელიმ იქაურობა აიკლო, გინდა თუ არა, გამიშვით, ჩემნაირ ფორვარდს პირველ დივიზიონში თამაში არ შეშვენისო. აქეთ მიდგა რავანელი, იქით, მაგრამ საშველი რომ ვერ ნახა, კლუბის მიერ გაზრდილ ხელფასს დათანხმდა და სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე განაცხადა, წელს ჩემი მიზანი „მიდლსბროს“ პრემიერლიგაში დაბრუნებააო. პირველსავე მატჩში შეგდებული გოლით ჭაღარა თავდამსხმელი თითქოს სიტყვის შესრულებას ეცადა, მაგრამ საქმე სულ ასე არ ყოფილა — დაახლოებით ერთი თვის შემდეგ რავანელიმ „მიდლსბრო“ დატოვა, თუმცა, ინგლისელებს მისთვის კალთები არ დაუხევიათ, ჩვენთან დარჩიო. „მიდლსბროს“ გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტმა სიმონ ბოლტონმა ისიც კი თქვა, ძლივს არ მოვიშორეთ, გაუთავებელი ამპარტავნობით ყველას თავი მოგვაბეზრაო.

მოკლედ, რავანელიმ ინგლისის პროვინციული გუნდი დატოვა და ფრანგული ფეხბურთის ლიგაში შემავალ „მარსელში“ გადაბარგდა. 1993 წელს თითქმის ყველასგან ყველანაირად დასჯილი „მარსელი“ დღეს უმაღლესში თამაშობს, მაგრამ კლუბი ისე ველარ გამოიყურება, როგორც 90-იანი წლების დასაწყისში. დღესდღეობით გუნდის შეტევის ხაზი ქვეყნის ჩემპიონატში უსუსტესია — მის ანგარიშზე ცხრა მატჩში მხოლოდ 10 გოლია. რავანელის შეძენის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო. ბოლო ტურში „მარსელი“ „ბორდოსთან“ 0:2 დამარცხდა. მეორე გოლი ყოფილ თანაგუნდელებს ჟან-პიერ პაპენმა გაუტანა. სწორედ „მარსელში“ ყოფნისას შეაგდო პაპენმა საფრანგეთის ჩემპიონატში გატანილი 153 გოლიდან უმეტესი. რაც შეეხება რავანელის, პაპენმა განაცხადა, ვფიქრობ, კლუბის მესვეურები მიხვდნენ, ვინც სჭირდებოდათ, აწი, მგონი, თავდასხმაში არ უნდა გაუჭირდეთო. მართლაც, მარსელელთა თავდასხმა გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებდა — იუგოსლაველ მილადინ ბეკანოვიჩს და განელ არტურ მოუზირს გოლების რაოდენობით მცველი ლორან ბლანი სჯობს. თავდამსხმელთა უნიათობას იუგოსლაველის ტრავმაც დაემატა და დღეს „ტულუზის“ წინააღმდეგ განელს, ალბათ, რავანელი შეეწყვილება. თავდამსხმელმა კი თქვა, ისეთ გუნდში გადავედი, როგორშიც მინდოდაო, მაგრამ მარსელელთა მწვრთნელმა როლანდ კურბისმა განაცხადა, მას „ტულუზთან“ მთელი მატჩი ვერ ვათამაშებ, მისი ფიზიკური კონდიციები არ მაკმაყოფილებსო. მწვრთნელისგან განსხვავებით, იტალიელს ფეხბურთელები უფრო თბილად შეხვდნენ. ბლანმა ფაბრიციო ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელად მიიჩნია, გრავლენმა კი — ახლა, ვფიქრობ, უფრო საინტერესო გუნდი გავხდებითო.

თავად რავანელიმ გუშინ სიტყვები არ დაინანა — მარტო ჩემი წარმატება რას მიქვია, მთავარი გუნდის გამარჯვებაა, პირადი ზეობა მხოლოდ ამის მერე გამივაო. „ჩემგან გოლებს ელიან, მეც ყველანაირად ვეცდები, იმედები გავამართლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგიძლიათ გამიშვათ“ — დაძინა რავანელიმ.

**ონისე შინჯიქაშვილი**

### ინტერი

დაარსდა 1908 წელს. დაარსების მიზეზი, „მილანის“ დირექტორატში განხეთქილება გახლდათ.

იტალიის ჩემპიონობა — 1910, 1920, 1930, 1938, 1940, 1953, 1954, 1963, 1965, 1966, 1971, 1980, 1989

იტალიის თასი — 1939, 1978, 1982

ისტორიაში ყველაზე მეტი თამაში — ჯანჩინტო ფაკეტი (446)

ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი — ჯუზეპე მეაცა (197)

### ლაციო

დაარსდა 1900 9 იანვარს, რომში, მთავარ მეტოქეზე „რომაზე“ 27 წლით ადრე. კლუბის ფერები აღებულია საბერძნეთის დროშიდან, ოლიმპიური სულისკვეთების გამოსახატავად.

იტალიის ჩემპიონობა — 1974

იტალიის თასი — 1958

ისტორიაში ყველაზე მეტი თამაში — ალდო პუჩინელი (339)

ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი — სილვიო პიოლა (143)

**„ინტერი“ და „ლაციო“ ხულ 108-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 47 გამარჯვება მოიპოვა „ინტერმა“, 22 ლაციომ.**

**მილანში გამართულ შეხვედრებში 32 „ინტერმა“ მოიგო, 6 „ლაციომ“, 16 ფრედ დამთავრდა. მილანში გატანილი გოლების ანგარიშია 110:41 „ინტერის“ სასარგებლოდ. პირველი მატჩი 1930 წლის 23 მარტს შედგა და „ინტერმა“ 4:2 მოიგო.**

**ყველაზე დიდი ანგარიში — 1931 წლის 18 მარტი: „ინტერი“ — „ლაციო“ 8:1 და 1995, 14 მაისი: „ლაციო“ — „ინტერი“ 4:1.**

# ინტერი — ლაციო

სპორტში რომი და მილანი ისეთივე მოშუღლეები არიან, როგორც ინგლისი და შოტლანდია, მადრიდი და ბარსელონა, გერმანია და ჰოლანდია. ხვალ მილანი და რომი ფეხბურთში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, „სან სიროზე“ „ინტერი“ „ლაციოს“ მასპინძლობს.

რომი იტალიის პოლიტიკური ცენტრი გახლავთ, მილანი — ფინანსური. „ინტერი“ იტალიის ცამეტგზის ჩემპიონია, „ლაციო“ კი სკუდეტოს ერთადერთხელ ფლობდა.

მილანის პოლიცია შეგუებულია, რომ „სან სიროზე“ 80 ათასი გულშემატკივარი მივა.

— ხვალ არ იქნება ის ტიპიური პლაკატები რომაელთა და მილანელთა მატჩებზე გულშემატკივრები რომ გამოფენენ ხოლმე. ასეთებია „ბინძური რომაელები“ ან, ვთქვათ „მექრთამე მილანელები“ — ამბობს „სან სიროს“ სტადიონის საფეხბურთო მუზეუმის პროკურატორი ინორატორ რიზი — „ინტერმა“ და „ლაციომ“ მრავალწლიანი ლანძღვა-გინების დიდი ისტორია გაიარეს.

„ინტერის“ და „ლაციოს“ მტრობა წლების განმავლობაში მათივე თანაქალაქელების „მილანის“ და „რომას“ შუღლის ჩრდილში იყო მოქცეული, თუმცა პრეზიდენტების მასიმო მორატისა და სერჯო კრანიოტის მონდომებამ ბოლო დროს „ინტერი“ და „ლაციოც“ ისე დააწინაურა, რომ მათი დაპირისპირებაც დიდი აჟიოტაჟის საგნად იქცა. მორატი და კრანიოტი დიდი, უძლეველი გუნდების შესაქმნელად იღწვიან, თუმცა ჯერჯერობით მაინც კოშმარები ესიზმრებათ.

კრანიოტის კოშმარი გასულ სეზონში, უეფას თასის გათამაშებაში „ტენერიფესთან“ წაგებული 0:3 გახლავთ, მორატისა კი იმავე გათამაშების ფინალი, სადაც „ინტერი“ გელზენკირხენის „შალკესთან“ პენალტებში დამარცხდა. სხვათაშორის მილანელები იტალიის თასის ნახევარფინალშიც დამარცხდნენ. „ნაპოლისთანაც“ პენალტები ვერ დაარტყეს მეტოქეზე უკეთ.

მოკლედ ხვალ დიდი მატჩია და ხვალვე გამოჩნდება მართლა წარსულს ჩაბარდა თუ არა მეტოქეთა ქომაგების შუღლი.

„ინტერი“ მოგეხსენებათ ოთხი ტურის შემდეგ მოპოვებული ოთხი გამარჯვებით სერია A-ს ცხრილის ლიდერია. „ლაციოს“ „ემპოლისთან“ გასაკვირი მარცხის და სხვა შეფერხების გამო ხუთი ქულით ნაკლები აქვს. სამაგიეროდ რომაელებს სათავეში იტალიური ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მწვრთნელი, შვედი სვენ-გორან ერიქსონი უდგათ, რომლის განკარგულებაშიც არიან მაღალი კლასის მოთამაშეები რობერტო მანჩინი, ჯუზეპე სინიორი, ალენ ბოკშიჩი, პიერლუიჯი კაზირაგი... „ინტერის“ ვარსკვლავებზე აღარას ვიტყვით, რონალდო, ჯორკაეფი, სამორანო...

„ლაციოს“ როგორც მოგახსენეთ სკუდეტო ერთადერთხელ აქვს მოპოვებული. ერთხელ მოიგეს რომაელებმა იტალიის თასიც, ეს 1958 წელს იყო.

„ინტერი“ კი... „ინტერი“ „იუვენტუსი“ არ არის, მაგრამ როგორც წესი ათწლეულის დასაწყისში მას ახალი, ძლიერი და წარმატებული გუნდი ჰყავდა — 1910, 1920, 1930, 1940, 1971, 1980.

და მაინც. „ინტერის“ ისტორიაში უდიდესი გუნდი მასიმო მორატის მამის ანჯელო მორატის პრეზიდენტობის ხანაში, 1960-იან წლებში იყო. „ილ რანდე ინტერის“ ჩამოყალიბება 1960 წლის ერთ წვიმიან ესპანურ საღამოს დაიწყო, როდესაც „ინტერმა“ „ბარსელონასთან“ 0:4 წააგო. მაშინ კატალონელებს დიდი არგენტინელი მწვრთნელი ელინიო ერერა ედგა სათავეში. შემდეგ წელიწადს ერერა უკვე „ინტერის“ მწვრთნელი იყო და იტალიურ ფეხბურთში ახალ იდეებს ნერგავდა. მან მსოფლიოს „კატენაჩო“, უმტკიცესი დაცვა და უსწრაფესი კონტრშეტევები გააცნო. მაშინდელმა „ინტერმა“ სამი სკუდეტო და ორი ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

მას მერე, იმ, 60-იანი წლების „ინტერის“ აჩრდილი „სან სიროზე“ დაიარება და გულშემატკივრებს მოსვენებას არ აძლევს. აჩრდილი არც მორატების სახლს მოშორებია, ანჯელო მორატის ვაჟს მასიმოს უჩიჩინებს დღენიადაგ, მას კვლავ ხორცშესხმა სწყურია.

1989 წელს „ინტერის“ მწვრთნელად დანიშნულ ჯოვანი ტრაპატონის ჩემპიონის ტიტული მოაქვს. მას მერე მასიმო მორატი აჩრდილის გასაცოცხლებლად ყველა ღონეს ხმარობს და აჩრდილიც თითქმის დაბრუნდა.

დიახ, „ინტერისა“ და „ლაციოს“ ისტორიათა შედარება არ შეიძლება. „ლაციომ“ ხომ თავისი ერთადერთი ტიტული 1974 წელს მოიგო. მაშინ მის თავდასხმაში ჯორჯო კინალია ბრწყინავდა, გუნდის მწვრთნელი კი გახლდათ ტომაზო მაესტრელი. „ლაციოს“ ტიფოზებს ეგონათ ეგ არის და ელიტაში დავმკვიდრდითო, მაგრამ მოხდა ის, რაც ხშირად ხდება რომაულ ფეხბურთში, გუნდი გაუფერულდა და პოზიციები დათმო. 1972 წელს, უეფას თასის მატჩში ინგლისური „იფსვიჩის“ წინააღმდეგ მომხდარი, სახალხო აყალმაყალის გამო „ლაციო“ ევროშეჯიბრებებიდან მოკვეთეს, ორი წლის შემდეგ კი მისი აღზევების სულისჩამდგმელს, მაესტრელის მძიმე სენმა დარია ხელი. მაესტრელი გარდაიცვალა.

1980 წელს „ლაციო“ მექრთამეობის სკანდალშია გახვეული. იგი სერია B-ში გადაჰყავთ. იქიდან გუნდი 1987 წელს კინაღამ სერია C-ში გავარდა. გადასარჩენად მას „კამპობასოსთან“ გადათამაშება დასჭირდა. და მხოლოდ 1990-იან წლებში უბრუნდება „ლაციო“ ძლიერთა კამპანიას. ეს მას მერე ხდება, რაც პრეზიდენტად ფინანსისტ სერჯო კრანიოტის ნიშნავენ. კრანიოტი ძლიერ მოთამაშეებს ყიდულობს, მაგალითად ინგლისელ ვარსკვლავ პოლ გესქოინს, მწვრთნელად კი დიდი იტალიელი მეკარე დინო ძოფი მიჰყავს.

შემდეგ გუნდს სათავეში ჩეხ ზდენეკ ზემანს უყენებენ და „ლაციო“ შემტევი ხდება. 1995-96 წლების სეზონში კი იგი ამყარებს სერია A-ს რეკორდს — მეტოქეთა კარს 66-ჯერ ლაშქრავს. ბოლო ხუთ სეზონში „ლაციო“ მუდმივად უძლიერეს ხუთეულში ხვდება, მაგრამ შედარებით სუსტი დაცვა ჩემპიონობაში უშლის ხელს, რისთვისაც ზემანს თანამდებობიდან ხსნიან. ახლა ასპარეზი ერიქსონს დაეთმო.

# ახალგაზრდა რონალდოს ვნებანი

ბელუ ორიზონტე თავისი ოთხი მილიონი მაცხოვრებლით სან პაულუს, რიო დე ჟანეიროსა და სალვადორ დე ბაიას შემდეგ ბრაზილიის მეოთხე ქალაქია. იგი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონის — მინას ჟერაისის დედაქალაქია, რეგიონისა, რომელიც სავსეა სხვადასხვა მინერალური წიაღისეულით და ძვირფასი ქვებით. ბელუ ორიზონტე უცხოელთათვისაც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალაქია თავისი ფეხბურთის კლუბების — „ატლეტიკო მინეიროსა“ და „კრუზეიროს“ მეშვეობით, რომლებიც ლიბერტადორესის თასისა და სამხრეთ ამერიკის სუპერთასის ორგზის გამარჯვებულები არიან. სწორედ ბელუ ორიზონტეში, „კრუზეიროს“ სპორტულ კლუბში დაიწყო რონალდო ლუის ნაზარიო დე ლიმას პროფესიონალური კარიერა.

ყველაზე მეტი რონალდოს დიდ ფეხბურთში მოსვლის შესახებ, ალბათ, სეზარ მასკის შეუძლია თქვას, რომელიც მაშინ კლუბის პრეზიდენტი იყო: „პირველად რონალდინიოს შესახებ 1992 წლის ოქტომბერსა თუ ნოემბერში გავიგე იმპრესართი ლეო რაბოლოსთან ტელეფონით საუბრისას რომელმაც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი აღმოგვაჩენინა. ორი თვის შემდეგ კი რონალდოს მენეჯერებსაც — ალექსანდრე მარტინსა და რეინალდო პიტასაც დავუკავშირდით. ორჯერ ვისაუბრეთ და ყველაფერზე შევთანხმდით. თავად იგი კი რამდენიმე კვირის შემდეგ 1993 წლის იანვარში მოვიდა პირველად“.

მაშინ რონალდომ პირველად დატოვა თავისი მშობლიური ქალაქი ნიტეროი, რომელიც რიო დე ჟანეიროს მახლობლად მდებარეობს, მიატოვა მამა, ნელიო ნაზარიო ლიმა — პოლიგრაფისტი, დედა, სონია ბარატა, რომელიც სატელეფონო კომპანიაში მუშაობდა, ძმები იონესი და ნელიო ჟუნიორი, ზედმეტსახელი დადადო და სწავლა სანტა მონიკას კოლეჯში. უკან დარჩა პირველი ნაბიჯები ფეხბურთში — „სოსიალ რამოს კლუბში“, სადაც რონალდო 1989 წელს მოვიდა და 1992 წლამდე 166 გოლის გატანა მოასწრო ფერნანდო ჟორდის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელმაც, აღმოაჩინა მსოფლიოს მომავალი საუკეთესო ფეხბურთელი. მაშინ რონალდოს მეკარეობა უფრო იტაცებდა და თავის კერპად ზიკო მიაჩნდა. დიდ ფეხბურთში მისი დებიუტი „სან კრისტოვაოში“ შედგა, სადაც 73 მატჩში 43 გოლის გატანა მოახერხა. მაშინ მისი თამაში ჟაირზინიომ შეამჩნია და თავის მეგობრებს — მარტინსა და პიტას ურჩია, ყურადღება მიექციათ ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის. მათაც 7 500 დოლარი არ დაინანეს რონალდოს შესაძენად. ჟაირზინიომვე გაუწია რეკომენდაცია იმედისმომცემ ახალგაზრდას 17 წლამდე ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად, რომლის რიგებშიც 1992 წლის სამხრეთ-ამერიკის ჩემპიონატში კოლუმბიაში რონალდომ 9 გოლი გაიტანა. მერე მისი აყვანა სან პაულუსაც შესთავაზეს, რომელმაც უარი თქვა, ისედაც ბევრი დიდი იმედის მიმცემი ფეხბურთელი მყავსო. მაშინ რონალდინიო „კრუზეიროსაც“ შესთავაზეს.

„მე იგი ჩემს კაბინეტში მივიღე“, — იხსენებს მასკი, — ორი საათი ვისაუბრეთ. იგი ძალზე მორცხვი, საკუთარ თავში ჩაკეტილი, ელეგანტური და განათლებული ჩანდა. ჩვენ 25 ათასი დოლარი გადავიხადეთ, რათა მასზე უფლებების 45 პროცენტი შეგვეძინა. არც ისე ცუდი თანხა იყო 16 წლის ფეხბურთელისთვის, რომლის თამაშიც არ გვქონდა ნანახი, მაგრამ ბევრი გაგვეგონა. იმედი, რაღა თქმა უნდა, არ გამცრუებია. პირველივე ვარჯიშზე დავრწმუნდი, რომ იგი სხვანაირი ფეხბურთელი იყო“.

რონალდოს „კრუზეიროში“ მოსვლისთანავე კარგა ხნით გამგზავრება მოუწია ბრაზილიის ჭაბუკთა ნაკრებში სათამაშოდ და როდესაც უკან დაბრუნდა, ხან უფროსთა გუნდში გამოდიოდა, ხანაც ახალგაზრდულში. ამ დროის შესახებ „კრუზეიროს“ მოყვარულთა დირექტორი ლუსიო სოუზა იხსენებს: „რონალდო ძალზე დამჯერი იყო და ბევრი ჭამა უყვარდა — ყოველთვის ტკბილეულს შეექცეოდა, ან გაზიანი წყლით იჭყიპებოდა. თანაც ყველა მატჩში თამაში უნდოდა. ერთხელ მეზობელი პატარა ქალაქის — ოლივეირას გუნდს ვეთამაშებოდით, მას უკვე ოთხი გოლი ჰქონდა გატანილი. წვიმდა და თან იმათიანებმა იმდენჯერ ჩაარტყეს ფეხში, გუნდის მწვრთნელს ბაიანოს ვთხოვე, გამოეყვანა მოედნიდან. რონალდინიო საშინლად გამინაწყენდა, მაგრამ როდესაც ავტობუსით უკან ვბრუნდებოდით, ავუხსენი, რომ რისკზე წასვლა საჭირო არ იყო, მას მომავალზე უნდა ეფიქრა. მაშინვე გამიგო და საუკეთესო მეგობრები გავხდით. ერთხელაც იუნიორთა შორის ბელუ ორიზონტეს თასის გათამაშებაში „გრემიოს“ ვხვდებოდით. პირველი ტაიმის მერე 2:0-ს ვაგებდით. გასახდელში მისი გაღიზიანება მოვახერხე, ამ თამაშის წაგება არ შეიძლება, როგორ არ გრცხვენია-მეთქი. მეორე ტაიმში მატჩის ბედი მარტომ შემოატრიალა — 3 გოლი შეაგდო, ერთი შორიდან დარტყმით, ერთი მთელი დაცვის მოტყუების მერე და ერთიც თავით. მართლაც სასწაულების მოხდენა შეეძლო. კიდევ ერთი, რითაც ძალზე გამოირჩეოდა, მისი კორექტულობა იყო. როგორც მოყვარულს, ერთი გაფრთხილებაც კი არ მიუღია. პირველი ყვითელი ბარათი უკვე პროფესიონალად გახდომის მერე უჩვენეს „ბაიასთან“ თამაშის დროს — უკვე ხუთი გოლი ჰქონდა გატანილი და მსაჯთან პროტესტი გამოთქვა, მეექვსე რომ არ ჩაუთვალეს“.

მალე რონალდინიომ კლუბის საერთო საცხოვრებელი დატოვა და ქალაქის ცენტრში გადაბარგდა, „კრუზეიროს“ რეზიდენციიდან ორი ფეხის ნაბიჯზე არაგუარის 525 ნომერში, მეთოთხმეტე სართულზე. „რონალდინიო პირველი და ერთადერთი მოყვარულია გუნდის ისტორიაში, რომელსაც ცალკე საცხოვრებელი გამოვუყავით. ეს ძალიან ადვილი იყო, რაგან ერთი ჩემოდანისა და მაგნიტოფონის მეტი არაფერი გააჩნდა“.

„კრუზეიროს“ გულშემატკივარი და რონალდოს მაშინდელი მეგობარი ანდრე ანდრეატა იხსენებს: „თავის ბინაში ახალი გადასული იყო, რესტორანში ვიყავით და თქვა, რომ შინ არაფერი ჰქონდა, თეფშებიც კი. მიმტანმა გაიგონა ჩვენი საუბარი და რესტორნის მფლობელის სახელით თეფშები და სხვა ნივთები მოუტანა საჩუქრად. რონალდინიო განცვიფრებული იყო, მთელი საღამო მადლობებს იხდიდა“. ახალგაზრდებში გამოსვლა რონალდოს დიდხანს არ მოუწია. იქ მისი გამჩერებელი არავინ იყო და 1993 წლის ზაფხულში პროფესიონალი გახდა. აგვისტოში „პენიაროლთან“ მატჩში არაჩვეულებრივი გოლი გაიტანა. ბურთი საკუთარ ნახევარზე მიიღო, ხუთი-ექვსი მოთამაშე მოატყუა და მეკარეს თავზე გადაუგდო. მაყურებელი ფეხზე მდგომი უკრავდა ტაშს. როდესაც უკან დავბრუნდით, შევთავაზე მისი პირველი პროფესიონალური კონტრაქტი დადო. როგორც მოყვარული, 500 დოლარს იღებდა, ასე კი 4 000-დან 5 000-მდე ექნებოდა თვეში“.

რონალდინიო ქალაქში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. ბავშვები, რომლებსაც ავტოგრაფის ხელმოწერაზე არასდროს ეუბნებოდა უარს, მას აღმერთებდნენ, ისევე, როგორც ახალგაზრდა გოგონები. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა მალე შეუძლებელი შეიქმნა. მისთვის მანქანის ყიდვა იყო საჭირო. „მე მას უბრალო მანქანა შევთავაზე — ამბობს მასკი „ფოლკსვაგენ გოლფი, — რომელიც 10 000 დოლარიც კი არა ღირს. ჩვენი პრობლემა ის იყო, რომ 18 წელი ჯერაც არ შესრულებოდა და მანქანის მართვის უფლება არ ჰქონდა. ერთხელ პოლიციელებმა დაიჭირეს. ეტყობა, თავის გამოჩენა უნდოდათ, თუმცა იფიცებოდნენ, რომ არც იცოდნენ, რონალდინიო ვინ იყო. პოლიციის განყოფილებაში საძებნელად მე წაველი, იმ პირობით გამოუშვეს, რომ მართვის უფლების მიღებამდე მანქანაზე აღარ დაჯდებოდა და ჩვენც მძღოლი ვუქირავეთ, ორმოციოდე წლის აილტონი.“

ამიერიდან რონალდო სრულიად დამოუკიდებელი გახდა და სარგებლობდა კიდეც ამით თავის საუკეთესო მეგობრებთან — თავდამსხმელ კატესა და ახალგაზრდა მეკარე დიდასთან ერთად. ეს უკანასკნელი იხსენებს: „ჩვენ სამნი სულ ერთად ვიყავით. რონალდოს ნამცხვრები, ნაყინი და შოკოლადი უყვარდა ძალიან. ერთხელ მან წინა კბილები გაისწორა. რამდენიმე დღის შემდეგ ბიჭუნამ ქუჩაში არ დაუჯერა, რონალდინიო არა ხარ, იმას კბილები ერთმანეთისგან დაშორებული აქვსო. ძალზე [illegible] ეს ძალიან [illegible] [illegible] რად დავდიოდი, თუმცა, დიდი მოცეკვავე არასდროს ყოფილა. მუსიკის მოსმენა უფრო უყვარდა“.

რონალდინიოს ცხოვრებაში გაჩნდნენ გოგოებიც. თავიდან 16 წლის შავგვრემანი ლუსიანა, მერე ნადია ფრანსა, ქერა მანეკენი, რომელიც ფეხბურთელს ჰოლანდიაშიც ახლდა თან გარკვეული დროის მანძილზე, მერე კი ბრაზილიურ „პლეიბოიშიც“ გამოიჭიმა.

ამასობაში რონალდოს „საქმენი საგმირონი“ ფეხბურთის მოედანზე გრძელდებოდა, ოღონდ უკვე პროფესიონალთა შორის. ჩილეს „კოლო კოლოსთან“ სუპერთასზე შეხვედრაში მან სამი ბურთი გაიტანა (6:1), საპასუხო მატჩში კი ორი (3:3). „ფლამენგოსთან“ ამხანაგურ შეხვედრაში ოთხივე გატანილი ბურთი რონალდოს ანგარიშზე იყო (4:0). მისი თამაშით აღფრთოვანებულმა სეზარ მასკიმ მოიწადინა, სრულიად დაესაკუთრებინა, მაგრამ ეს ადვილი არ აღმოჩნდა: „მისმა იმპრესარიოებმა 100 ათასი დოლარი მომთხოვეს. მაშინვე არ მიმიღია ეს წინადადება და როცა დავთანხმდი, ფასი უკვე 800 ათასი გახდა. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე მასში უკვე 500 ათასი დოლარი უნდოდათ და მაშინვე დავეთანხმე. ამიერიდან, რონალდინიო მთლიანად კლუბს ეკუთვნოდა და მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებდით, მით უმეტეს, რომ იგი უკვე ნაკრებში მიიწვიეს, 1993 წლის ნოემბერში. პირველი ჰალსტუხიც მე ვუყიდე. ჩასაცმელიც კი არ ჰქონდა, რომ მიწვევაზე წასულიყო“. 1994 წლის მაისში კარლოს ალბერტო პარეირამ აშშ-ში წამსვლელთა 22-კაციან სიაში რონალდინიოც შეიყვანა, თუმცა 17 წლის ფეხბურთელს იქ არ უთამაშია. იგი ხშირად ჩიოდა, რომ რომარიო და ბებეტო მას ყურადღებას არ აქცევდნენ, სამაგიეროდ რონალდოს ყურადღება ევროპელებმა მიაქციეს და სეზარ მასკისაც თავის სატკივარი გაუჩნდა: „არ გვინდოდა, რომ გაგვეშვა, ამსტერდამის „აიაქსს“ ექვს მილიონ დოლარზეც კი ვუთხარით უარი. მაშინ კლუბში წესად გვქონდა, რომ პირველ პროფესიულ კონტრაქტს მხოლოდ ერთი წლით ვდებდით. ასე რომ, როცა ამერიკიდან ჩამოვიდა და მისმა იმპრესარიოებმა გვითხრეს, რომ ეინდჰოვენთან უკვე ხელი მოაწერაო, არაფრის გაკეთება აღარ შეგვეძლო, რონალდინიო უკვე თავისუფალი იყო. ჩვენ გვეგონა, რომ ბრაზილიური კანონი გვიცავდა, რომლითაც მოთამაშეც თავის კლუბში 3 წელი მაინც უნდა გაატაროს, მაგრამ ეს წესი ფიფასა და ევროპულ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა. ხანგრძლივი კონტრაქტისთვის რომ მოგვეწერა ხელი, სატრანსფერო თანხა გაცილებით დიდი იქნებოდა. ასე კი 6 მილიონი დოლარით დავკმაყოფილდით, რომელიც პსვ-მ შემოგვთავაზა. ამ შეცდომის შემდეგ, ალბათ მიხვდით, კლუბის საკონტრაქტო პოლიტიკა შეიცვალა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მწარე გაკვეთილისთვის პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“.

„მსოფლიოს ჩემპიონატის მერე რონალდოს ერთადერთი გამოსამშვიდობებელ თამაშში უნდა მიეღო მონაწილეობა „ბოტაფოგოს“ წინააღმდეგ. ამხანაგური მატჩი იყო და მანაც, რაღა თქმა უნდა, გოლი გაიტანა. უკანასკნელ ვარჯიშზე უამრავი ქომაგი მოვიდა. ახალგაზრდა გულშემატკივრები ტიროდნენ და თხოვდნენ მას, რომ არ წასულიყო. ნამდვილი სიგიჟე იყო. რონალდინიო ჩემს მანქანაში ჩამალული წავიდა“ — ყვება დიდა.

„კრუზეიროში“ ყოფნის ოცი თვის განმავლობაში რონალდინიომ გუნდის გოლების 57% გაიტანა, საშუალოდ, 0,94 ბურთი მატჩში, კლუბს მინას-ჟერაისის ჩემპიონატი მოაგებინა და 1993 წლის სუპერთასის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 8 გატანილი გოლით. სრულიად უცნობიდან იგი ყველასთვის საყვარელ ფეხბურთელად იქცა, ღარიბი ბიჭიდან — მილიონერად. სეზარ მასკის კი ფეხბურთის ვუნდერკინდის გაშვება ძვირად დაუჯდა. 1994 წელს იგი მინას ჟერაისის შტატის დეპუტატობის პრეტენდენტი იყო და გასამარჯვებლად 23 ათასი ხმა ჰყოფნიდა, წინასწარი გამოკითხვით კი 60 ათასი კაცი უჭერდა მხარს. მას შემდეგ კი, რაც რონალდოს წასვლა დაბრალდა, ხალხი ქუჩაშიც კი აყენებდა შეურაცხყოფას, წლების განმავლობაში გაწეული შრომა აღარავის გახსენებია და არჩევნებში სულ 20 ათასი ხმა მიიღო. ამით ის მილიონნახევარი დოლარიც დაკარგა, რომელსაც არჩევის შემთხვევაში ხელფასის სახით მიიღებდა.

ბრაზილიაში ფეხბურთი პოლიტიკაზეც კი ახდენს დიდ ზეგავლენას.

**FRANCE FOOTBALL**




რონალდო — მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელი?

ევროთასების ისტორიიდან 2

# როცა შინ მარცხი მარგებელია


1994 წლის 6 დეკემბერი. რეალი — ოდენსე 0:2. ბუტრაგენიო ამაოდ გაირჯა

საარი ერთ-ერთი გერმანული მიწაა. ის საბოლოოდ 1957 წლის 1 იანვარს შეუერთდა გფრ-ს. მეორე მსოფლიო ომის მერე ის ჯერ ფრანგთა საოკუპაციო ზონას წარმოადგენდა, 1954 წლიდან კი დასავლეთ ევროპის კავშირი აკონტროლებდა. რა ომი და პოლიტიკა აუტყდათო, გაიკვირვებს მკითხველი, ამიტომ აქვე მოგახსენებთ, რომ საარი, უფრო სწორად, მისი მთავარი ქალაქის გუნდი ჩვენი დღევანდელი სერიალის პირველ გმირს წარმოადგენს — „საარბრიუკენი“ პირველი გუნდია ევროთასების ისტორიაში, ვინც ჯერ სტუმრად მოიგო, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში მაინც წაგებული აღმოჩნდა.

ეს ჩემპიონთა თასის სულ პირველი, 1955-56 წლების გათამაშების პირველივე ეტაპზე მოხდა. მაშინ „საარბრიუკენი“ სწორედ „დამოუკიდებელ“ საარს წარმოადგენდა და არა გერმანიას. მერვედფინალში (სულ 16 გუნდი მონაწილეობდა) მისი მეტოქე „მილანი“ იყო. 1955 წლის 1 ნოემბერს „სან სიროზე“ შეკრებილი 18 ათასი კაცი ევროთასებზე „მილანის“ მარცხიანი დებიუტის მოწმე გახდა — „საარბრიუკენმა“ 4:3 მოიგო. ანგარიშიდან გამომდინარე ცხადია, რომ მატჩი დაძაბული იყო. თავად წარმოიდგინეთ: სტუმრები მეხუთე წუთზევე დაწინაურდნენ, 37-ეზე უკვე მასპინძლები იგებდნენ 3:1, 69-ე წუთზე კი გერმანელები ანუ საარელები ლიდერობდნენ და ეს ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნეს. საინტერესოა, რომ მაშინდელ „მილანში“ თამაშობდნენ იტალიის ნაკრების ახლანდელი თავკაცი ჩეზარე მალდინი და „პარმას“ ამჟამინდელი მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის მამა, ასევე მეკარე ლორენცო. ამათ ურუგვაელი სკიაფინო და შვედები — ლიდჰოლმი და ნორდალი დავუმატოთ და მივხვდებით, რომ ასეთი ანგარიში მაშინდელმა ევროპამ სენსაციად აღიქვა. ყველაფერი 23 ნოემბერს, საარბრიუკენის „კისელჰუმეშ შტადიონზე“ დალაგდა. იტალიელთა ურუგვაელმა მწვრთნელმა ექტორ პურიჩელიმ ორი ახალი ფეხბურთელი ათამაშა და საწადელსაც მიაღწია, თუმცა 75-ე წუთამდე ანგარიში 1:1 იყო. სწორედ აქ მასპინძელთა მცველმა თეოდორ პუფმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ამას სტუმრებმა 9 წუთში კიდევ ორი დაამატეს და მეოთხედფინალშიც გავიდნენ.

როგორც ნახეთ, პირველი შემთხვევა, როცა გუნდმა შინ წაგების მერე მაინც მოახერხა საბოლოო გამარჯვება, პირველივე გათამაშების პირველივე ეტაპზე მოხდა, თუმცა აქ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ასეთი რამ მართლაც ერთობ იშვიათი რამაა — დღევანდლამდე „მილანის“ გმირობა სულ 33-ჯერღა გაიმეორეს ევროთასებში მონაწილე გუნდებმა. ბოლო ასეთი შემთხვევა ამ კვირაში, სამშაბათს მოხდა, როცა ჰოლანდიურმა „ტვენტემ“ შინ 0:1-ის წაგების მერე ნორვეგიული „ლილესტრიომი“ სტუმრად 2:1 დაამარცხა, თუმცა ახლა ამას თავი ვანებოთ და სხვა, უფრო გახმაურებულ ამბებს მოვყვეთ.

ვინც ამ რუბრიკის წინა წერილი წაიკითხა, ალბათ ახსოვს, რომ შინ 1:1 ნათამაშევის მერე შემდეგ წრეში გასვლის ერთ-ერთი ოსტატი და პირიქითაც ესპანური „ბარსელონა“ გახლავთ. ახლა დღევანდელ ცხრილს ჩავხედოთ: ეს გუნდი აქაც „მოწინავე“ პოზიციებზეა — ორჯერ თავად შეატრიალა ბედის ბორბალი (ერთხელ უეფას თასის ფინალშიც კი), თუმცა ორჯერვე თავად ვერ შეინარჩუნა სტუმრად გამარჯვება. პირველად ეს „ბარსას“ 1980-81 სეზონის უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში „კიოლნთან“ შეემთხვა.

მაშინ „ბარსელონას“ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელობიდან ახალი დათხოვნილი ლადისლაო კუბალა წვრთნიდა. გუნდმა ცუდად დაიწყო ესპანეთის ჩემპიონატი და ზედიზედ სამი მარცხი იწვნია. კლუბის თავკაცებმა კუბალას სიტუაციის გამოსასწორებლად ორი კვირა მისცეს და თითქოს... პირველი შეხვედრა კიოლნში კატალონიელებმა 1:0 მოიგეს — 45-ე წუთზე ბურთი კინიმ შეაგდო. მატჩის მერე კიოლნელთა მაშინდელი თავკაცი, სახელგანთქმული რინუს მიხელსი ამბობდა — ვერ წარმოვიდგენდი, რომ პირველ ტაიმში გატანილი კინკილა გოლი გადაწყვეტდა მატჩის ბედს, წინ ხომ კიდევ 45 წუთი იყოო. მიხელსი კი ნაღვლობდა, მაგრამ ისაც კარგად უწყოდა, რომ წინ კიდევ 90 წუთი იყო, ოღონდ უკვე „კამპ ნოუზე“. და აი, საპასუხო მატჩი — „ბარსა“ შინ 0:4 (!) მარცხდება და ვითომ შეწყალებული კუბალა, ცხადია, პოსტს ტოვებს.

კარგით ბატონო, ის „კიოლნი“ იყო, თან მიხელსი წვრთნიდა და სანაქებო ფეხბურთელებიც ჰყავდა — თუნდაც რაინერ ბონჰოფი და ტონი ვუდკოკი გავიხსენოთ. მაგრამ გადის ოთხი წელი და „ბარსელონა“ კვლავ იგივეს იმეორებს. ვისთან? ო ეს უკვე მეტისმეტია — ფრანგულ „მეცთან“!

პირველ შეხვედრაში, სტუმრად, „ბარსამ“, როგორც მოსალოდნელი იყო, გაინავარდა და 4:2 მოიგო. საპასუხოც, „კამპ ნოუზე“, რიგიანად დაიწყო — 33-ე წუთზე კარასკო ჯამურ 5:2-ს აღწევს. ამ მომენტში აზრად არავის მოსვლია, რომ მატჩის ბოლომდე გოლებს მხოლოდ ერთი კაცი — ფრანგი კურბისი გაიტანს. თუმცა არა: კარის ბადე ბარსელონელმა ალესანკომაც შეარხია, ოღონდ საკუთარისა. ამას კურბისმა „ჰეთ-თრიქი“ დაამატა (ბოლო გოლი 85-ე წუთზე) და „ბარსა“ კვლავ თამაშგარეში აღმოჩნდა.

გიჟმაჟ კატალონიელთა დარად, კიდევ სამ გუნდს ამოუქაჩავს შინ წაგებული ორჯერ — მიუნხენის „ბაიერნს“, „კიოლნს“ და ამსტერდამის „აიაქსს“. ჰოლანდიელთა ბოლო ასეთი წარმატება ყველას ახსოვს: შარშანწინ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „პანათინაიკოსთან“ შინაური 0:1 მარცხი არად ჩააგდო და მეტოქე პირეოსში გაანადგურა. იმავე წელს იყო, „ბაიერნმაც“ რომ დააჩოქა მოულოდნელი წარმატებით თავბრუდახვეული მოსკოველი რკინიგზელები და ბავარიის დედაქალაქში დაკარგული რუსეთის დედაქალაქში ხუთმაგად აინაზღაურა.

აი, მიუნხენელთა პირველი ასეთი მიღწევა კი უფრო წვრილად აღწერის ღირსია. ეს 1988-89 სეზონის უეფას თასის მერვედფინალში მოხდა, როცა „ბაიერნმა“ შინ ბერტისა და სერენას გოლებით მილანის „ინტერთან“ 0:2 წააგო. იმ თამაშის მერე იტალიელთა რიგებში მოთამაშე მათეუსმა და ბრემემ საქმე მოთავებულად ჩათვალეს და პრესაში ხშირად ხუმრობდნენ კიდეც, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ვინც იცინის ბოლოს? „სან სიროზე“ საპასუხო შეხვედრის წინ „ბაიერნის“ მაშინდელი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი იმედს არ კარგავდა: „მიუნხენის შოკის მერე ყველას მკვდრები ვგონივართ, მაგრამ ჯერ ბრძოლა არ დამთავრებულა. დასაკარგი ხომ არაფერი გვაქვს“. უიმედოდ არც გერმანელთა კაპიტანი ოლაფ ტონი იყო: „მჯერა, რომ ჩვენ შეუძლებლის შესაძლებლად ქცევა გვძალუძს“. ასეც მოხდა. თან ყველაფერი 9 წუთში გაირკვა, 35-დან 44-მდე: ვოლფარტმა, აუგენტალერმა და ვეგმანმა სამჯერ აიღეს ვალტერ ძენგას კარი, სერენას კინკილა პასუხი კი „ინტერს“ არ ეყო.

ამ განხრით თვით ცნობილ „ამომქაჩველ“ მადრიდის „რეალსაც“ საყაიმო ანგარიში აქვს — ერთხელ, 1970 წელს, ავსტრიულ „ვაკერთან“ (ახლანდელი „ტიროლი“) თავად იმარჯვა, 1994 წლის ზამთარში კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ საპასუხო მატჩის ბოლო წუთზე გაუშვა მეორე გოლი დანიური „ოდენსესგან“ და სტუმრად მოგებული 3:2 ქარს გაატანა.

მოკლედ, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, როცა სტუმრად მოგება საბოლოო გამარჯვებისთვის სამყოფი ვერ გამოდგებახოლმე. განსაკუთრებით, 90-იან წლებში — მთელს ისტორიაში მომხდარი 34 ასეთი შემთხვევიდან 17 ანუ ნახევარი, სწორედ საუკუნის ბოლო ათწლეულზე მოდის.

და ბოლოს. ამ „გაუგებრობაში“ ჩვენც რომ არ გავრეულიყავით, რა მოგვასვენებდა — ზესტაფონის „მარგვეთის“ მალტელებთან შარშანდელი გამაოგნებელი მარცხი გვაქვს მხედველობაში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 55-56 | ჩთ | 1/8 | მილანი (იტალია) — საარბრიუკენი (საარი) | 3:4, 4:1 |
| 64-65 | უთ | 1/32 | ბარსელონა (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია) | 0:1, 2:0 |
| 65-66 | უთ | ფ | ბარსელონა (ესპანეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) | 0:1, 4:2 |
| 68-69 | ჩთ | 1/4 | აიაქსი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:3, 3:1, 3:0 |
| 69-70 | უთ | 1/2 | ანდერლეხტი (ბელგია) — ინტერი (იტალია) | 0:1, 2:0 |
| 70-71 | თთ | 1/8 | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ვაკერი (ავსტრია) | 0:1, 2:0 |
| 71-72 | უთ | 1/32 | ლიერსი (ბელგია) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | 0:2, 4:0 |
| 71-72 | უთ | 1/4 | ფერენცვაროში (უნგრეთი) — ჟელეზნიჩარი (იუგოსლავია) | 1:2, 2:1 (პ 5:4) |
| 79-80 | ჩთ | 1/4 | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — დინამო (ბერლინი, გდრ) | 0:1, 3:1 |
| 80-81 | უთ | 1/16 | კიოლნი (გფრ) — ბარსელონა (ესპანეთი) | 0:1, 4:0 |
| 81-82 | უთ | 1/32 | ჰამბურგი (გფრ) — უტრეხტი (ჰოლანდია) | 0:1, 6:3 |
| 84-85 | თთ | 1/16 | მეცი (საფრანგეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2:4, 4:1 |
| 87-88 | უთ | 1/32 | ტმს (ტურკუ, ფინეთი) — ადმირა ვაკერი (ავსტრია) | 0:1, 2:0 |
| 87-88 | უთ | 1/16 | ინტერი (იტალია) — ტმს (ტურკუ, ფინეთი) | 0:1, 2:0 |
| 88-89 | უთ | 1/32 | რომა (იტალია) — ნიურნბერგი (გფრ) | 1:2, 3:1 |
| 88-89 | უთ | 1/8 | ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) — ინტერი (იტალია) | 0:2, 3:1 |
| 89-90 | უთ | მ | ოსერი (საფრანგეთი) — დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) | 0:1, 3:1 |
| 90-91 | უთ | 1/16 | კიოლნი (გფრ) — ინტერი (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) | 0:1, 2:0 |
| 91-92 | უთ | 1/32 | გენტი (ბელგია) — ლოზანა (შვეიცარია) | 0:1, 1:0 (პ 4:1) |
| 91-92 | თთ | 1/8 | გალატასარაი (თურქეთი) — ბანიკი (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) | 0:1, 2:1 |
| 92-93 | უთ | 1/32 | გრასჰოპერი (შვეიცარია) — სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) | 1:2, 3:1 |
| 92-93 | თთ | 1/16 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) | 0:1, 3:0 |
| 93-94 | ჩთ | მ | სკონტო (რიგა, ლატვია) — ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) | 0:1, 1:0 (პ 11:10) |
| 93-94 | ჩთ | 1/16 | სტიაუა (რუმინეთი) — კროაცია (ზაგრები, ხორვატია) | 1:2, 3:2 |
| 94-95 | უთ | მ | კოპენჰაგენი (დანია) — ჯაზი (პორი, ფინეთი) | 0:1, 4:0 |
| 94-95 | უთ | 1/8 | ოდენსე (დანია) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 2:3, 2:0 |
| 94-95 | თთ | 1/4 | სამპდორია (იტალია) — პორტუ (პორტუგალია) | 0:1, 1:0 (პ 5:3) |
| 95-96 | ჩთ | 1/2 | აიაქსი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 0:1, 3:0 |
| 95-96 | უთ | 1/32 | სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) — სილკებორგი (დანია) | 0:1, 2:1 |
| 95-96 | უთ | 1/32 | ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) — ლოკომოტივი (რუსეთი) | 0:1, 5:0 |
| 96-97 | უთ | წ | სლიემა უონდერერზი (მალტა) — მარგვეთი (ზესტაფონი) | 1:3, 3:0 |
| 96-97 | უთ | 1/8 | ბრონდბიუ (დანია) — კარლსრუე (გერმანია) | 1:3, 5:0 |
| 96-97 | უთ | 1/4 | ტენერიფე (ესპანეთი) — ბრონდბიუ (დანია) | 0:1, 2:0 |
| 97-98 | უთ | 1/32 | ტვენტე (ენსხედე, ჰოლანდია) — ლილესტრიომი (ნორვეგია) | 0:1, 2:1 |

მონაცემები მოყვანილია წიგნიდან The Guiness Book of World Soccer

# ასე იწერება აიაქსის ისტორია

არა, მთავარი მაინც გაგებაა. კარგია, როცა მკითხველმა გაგვიგო და ჩვენეული მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, სექტემბრის დასაწყისში რომ გაახლეთ, ნამეტანი სერიოზული განსჯის საგნად არ აქცია. ამიტომაც გავთამამდით და გასული თვის ნაკრებიც შევადგინეთ.

### მეკარე

**ლუიჯი ტურჩი („უდინეზე“ და იტალია)**
ამ თვეში რაც ვნახეთ, ლუიჯი ტურჩი რომ „მილანთან“ მოგებულ მატჩში გაისარჯა, ამგვარს კარგა ხანია, არ შევსწრებივართ. მეკარემ მოიპოვა სამი ქულაო, ამაზე იყო ნათქვამი.

### მცველები

**ნესტორ სენსინი („პარმა“ და არგენტინა)**
დაცვაში ხომ ჩინებულია, ლამის მატჩი არ გავა, გოლი არ გაიტანოს. მცველი უძახეთ და, მარტო ამ თვეში ხუთი გოლი გაუტანა მეტოქეთა მეკარეებს. საკუთარს კი თვალისჩინივით უფრთხილდება, რისი დასტურიც ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგაში „პარმას“ ჯერ გოლი არ გაუშვია.

**ტრიფონ ივანოვი („აუსტრია“ და ბულგარეთი)**
10 სექტემბერს რუსეთის ნაკრების კარში გატანილი გოლით თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოუპოვა, თავად კი „სარბიელის“ ნაკრებში ადგილი დაიმსახურა.

**ნაიჯელ უინთერბერნი („არსენალი“ და ინგლისი)**
ამ ინგლისელებმა ისეთი რეკლამა იციან, იმათ დერბებმა ლამის ჩვენც ცეებ-ცხელება შეგვყაროს. ჰოდა, ჩავუჯექით „ჩელსი“ — „არსენალს“ და ბოლო წუთზე ნაიჯელმა ისეთი დაჰკრა, იმწამს ამ ნაკრებში მოხვდა.

### ნახევარმცველები

**დენის ბერხკამპი („არსენალი“ და ჰოლანდია)**
სექტემბერში თამაში არ ჩაუგდია, ულამაზესი გოლი არ შეეგდოს, თუ არადა, ფეხის დახვედრებაღა რომ სჭირდება, ისეთი პასი არ გაეკეთებინოს. ერთი სალონიკის მატჩი გამოტოვა ფრენის შიშის გამო, მაგრამ ჩვენ მფრინავთა ნაკრებს არ ვადგენთ, მიწაზე კი ბერხკამპი შეუდარებელი იყო.

**ლუის ენრიკე („ბარსელონა“ და ესპანეთი)**
„ბარსელონა“ ჩემპიონატის ლიდერია, ლუის ენრიკე კი, დღესდღეობით, მისი საუკეთესო მოთამაშე. წყვილ-წყვილი გოლებიც გააქვს. ლიგაში კი ვერ იგებენ, მაგრამ ამ კაცს მეკარეობასაც ხომ ვერ მოთხოვ?

**სტივ მაკმანამანი („ლივერპული“ და ინგლისი)**
თუ ამ ბიჭს თქვენი კარიდან ზუსტად 60 მეტრში დალანდავთ, გირჩობთ იქვე რამე მოუხერხოთ, თორემ თუ სისწრაფე აკრიფა, თქვენს მტერს. „სელტიკმა“ და „ასტონ ვილამ“ ეს გაფრთხილება არად ჩააგდეს და ინანეს კიდეც.

**ტიჯანი ბაბანგიდა („აიაქსი“ და ნიგერია)**
საინტერესოა, რას ფიქრობენ ჰოლანდიური კლუბების მარცხენა მცველები, როცა „აიაქსს“ ხვდებიან და ამსტერდამელთა მარჯვენა ნახევარმცველად ბაბანგიდაა? ისე, ალბათ ბევრ ფიქრსაც ვერ ასწრებენ — ჩაუქროლებს და დამთავრდა ამათი ამბავი.

### თავდამსხმელები

**ერნან კრესპო („პარმა“ და არგენტინა)**
სექტემბერში ხუთი გოლი გაიტანა, მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის გასვლაშიც დიდი წვლილი შეიტანა და საერთოდ — სენსინისთან ერთად ახალ, ნამეტანი ძლიერ დუეტად იქცა.

**შოთა არველაძე („აიაქსი“ და საქართველო)**
რა მსოფლიოს ნაკრებია ქართველის გარეშე. ბოლო-ბოლო, რაც კარგები ვართ. შვიდი გოლი ჩემპიონატში, სამი უეფას თასზე და უსწრაფესით გოლით „აიაქსის“ ისტორიაში შესვლა. ისე, „აიაქსის“ ისტორია პარტისტორია ხომ არ გგონიათ?

**გაბრიელ ბატისტუტა („ფიორენტინა“ და არგენტინა)**
ვგონებთ, კიდევ არაერთხელ მოგვიწევს ჩვენს ნაკრებში მისთვის ადგილის გამონახვაო, ვწერდით წინა ჯერზე. ჯერჯერობით, ჩვენც და გაბრიელიც სიტყვას ვასრულებთ, ამ ნომრის ერთ ეგზემპლარს კი, ალბათ, დანიელ პასარელასაც გავუგზავნით.


გაბრიელ ბატისტუტა მრავალთაგან ერთ-ერთი გოლის გატანას ზეიმობს

ბავშვთა კვება
Gerber
ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

ჭიდაო

# აღარც ჩვენია, არც სხვისი

## რამაზ ფალიანის ძნელი არჩევანი

ბოლოხანს მრავალმა ქართველმა მიატოვა საქართველო, მათ შორის, სპორტსმენებმაც. სხვათაგან განსხვავებით, ჩვენებური სპორტსმენების უპირატესობა ისაა, რომ მათ უცხოეთის ქვეყნების შესაბამისი სამსახურების თავკაცებისთვის ხვეწნა-მუდარა არ სჭირდებათ, დროებითი თავშესაფარი მოგვეცით და თქვენს ქვეყანაში ცხოვრების ნება დაგვრთეთო. პირიქით, ჩვენს სპორტსმენებს, რასაკვირველია, წარსულის მიღწევებისა და სამომავლო პერსპექტივის — მათი სახვალიო შესაძლო გამარჯვებების კვალობაზე, აქეთ ეხვეწებიან მავანნი სხვადასხვა ქვეყნებიდან, უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეობასაც ჰპირდებიან და ხელის გულზე ტარებასაც. ბევრმა, სამართლიანადაც, ვერ გაუძლო ცდუნებას. ღვთისგან ერთხელ ბოძებული ნიჭის გაფლანგვასა და საქართველოს პირობებში ვერ გამოყენებას უცხოეთის ქვეყნების სახელით დიდი სპორტისკენ მიმავალ გზა-შარას მიყოლა ამჯობინეს. ბევრს გაუმართლა, ბევრი უკან დაბრუნდა, ზოგი კვლავაც ჯიუტად უცდის თავის წილ გამარჯვებებს. ძნელია, ვინმეს გამტყუნება — მტყუანსა და მართალს ხვალინდელი დღე გაარკვევს, მაგრამ ფაქტია — ეს გოგო-ბიჭები, დღეს რომ უცხო ქვეყნების დიდების მოსაპოვებლად ირჯებიან, გუშინ საჩვენო მედლებს იგებდნენ, თავიანთი გამარჯვებებით გვახარებდნენ. რა დასამალია და, გულის გულში მათი წარმატებები ისევ გვიხარია. მით უმეტეს, იმედი არ კვდება იმისა, რომ ჩვენში მალე გამოსწორდება ყოფა, და ჩვენგან დროებით მოკვეთილი გოგო-ბიჭებიც გედის სიმღერას საქართველოსთვის იმღერებენ.

რამაზ ფალიანი ერთ-ერთი ყველაზე საჩინო სპორტსმენია, ვინც არეულობისას დატოვა საქართველო. წასვლამდეც არ აკლდა რამაზს ტიტულები და სახელი, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ დღემდე თავისი კარიერის ყველაზე დიდი გამარჯვება რამაზ ფალიანმა რუსეთის სახელით მოიპოვა — ევროპის ჩემპიონობა. არადა, დავით კვაჭაძისა და გიორგი კანდელაკის შემდეგ რამაზი მესამე ქართველი მოკრივეა, რომელიც ესოდენ დიდ ტიტულს შესწვდა, ოღონდ, ეგაა — ის ორი ოქროს მედალი ევროპის ჩემპიონისა, კვაჭაძისა და კანდელაკის მოგებული, ქართული კრივის დიდებას შეემატა, მესამე კი, რამაზ ფალიანის ნაყოჩალარი - რუსულისას.

რამაზ ფალიანი 1993 წლის მიწურულს წავიდა რუსეთში პაატა გვასალიასთან ერთად. დღემდე რუსეთის ნაკრების წევრად ითვლება, თუმცა, პაატასგან განსხვავებით, ერთი წელია, საქართველოშია. რა დასამალია, თბილისამდე არაერთგვაროვანმა და არასახარბიელო ხმებმა მოაღწია რუსეთის ნაკრების ქართველ მოკრივეებზე და მათ მოსკოვურ ცხოვრებაზე. საუბრის დასაწყისშიც ეს შევახსენე რამაზ ფალიანს.

**— რამაზ, საქართველოში ჩამოაღწია ხმებმა, თითქოს რუსეთში მყოფ ქართველ სპორტსმენებს, კერძოდ, მოკრივეებს, გარკვეული პრობლემები გქონდათ იქაური სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან. კერძოდ, რუსული პრესა წერდა, ერთხელ, სასტუმროს ვესტიბიულში პაატა გვასალიას არც რუსეთის მოკრივეთა ნაკრების წევრობის მოწმობამ და არც რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინთან გადაღებულმა სურათმა უშველა, ავტომატებით კედელთან მიაყენეს და მოსკოვის პოლიციაში ამოაყოფინეს თავიო. რას იტყვი ამის შესახებ, მართლა ასე უჭირთ რუსეთში აქედან წასულ სპორტსმენებს?**



— ამ ფაქტის შესახებ მე არაფერი მსმენია, არც ის გაზეთი მინახავს, სადაც ეს დაიწერა და, მით უმეტეს, პაატასაც არაფერი უთქვამს ჩემთვის ამ ინციდენტზე, თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდა. რაღაც პრობლემები, როგორც არარუსებს, მეც და პაატასაც, ერთად თუ ცალ-ცალკე გვქონია, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი. ჩეჩნეთის ომის დროს, როგორც კავკასიელებს, ხშირად გვაჩერებდნენ ქუჩებში, ზოგიერთი რუსეთის მოკრივეთა ნაკრების წევრის მოწმობის გაცნობას სჯერდებოდა და თავაზიანად გვიბრუნებდა უკან, ზოგს ამ მოწმობის სინამდვილეში ეპარებოდა ეჭვი. პოლიციის უახლეს განყოფილებაშიც წავუყვანივართ და მერე, როცა მოწმობის უტყუარობაში დარწმუნებულან, ბოდიშის მოხდით გამოვუცილებივართ. ჩემი ქართველობით მოსკოვში განსაკუთრებული პრობლემა არ მქონია.

**— ერთად ცხოვრობდით შენ და პაატა?**

— თავიდან, როცა რუსეთში წავედით, ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ შემდეგ პაატას მშობლები ჩავიდნენ მოსკოვში და სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. მე კი საერთო საცხოვრებელში დავრჩი, ბოლომდე იქ ვცხოვრობდი.

**— ბევრი იმასაც ამბობს, რამაზ ფალიანს რასაც შეპირდნენ რუსები, იმის ნახევარიც არ გაუკეთეს, იმიტომაც არის, რამაზმა გული აიყარა რუსეთზე და სხვა ქვეყანაში განუზრახავს წასვლაო. მართალია?**

— მე რუსეთის სახელით კეთილი ნების თამაშები და ევროპის ჩემპიონატი მოვიგე, სამჯერ რუსეთის ჩემპიონი გავხდი, მრავალ საერთაშორისო ტურნირზეც პირველი ვიყავი — მეტს არც შევპირებივარ, ჩემს რუსეთში წამყვანებსა და ჩემს მოიმედეებს. რა დასამალია, რასაც შემპირდნენ ბოლომდე არ შემისრულეს, ეს ეხება როგორც მატერიალურ, ისე მორალურ თანადგომას. მჩაგრავდნენ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ რაღაც აშკარად მაკლდა, იმავე ნაკრების წევრ რუსებისგან განსხვავებით.

**— რუსებს თქვენზე მეტი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ჰქონდათ?**

— მატერიალური ანაზღაურება რუსეთში იქაურ სპორტსმენს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი აქვს. რუსებს უამრავი სპონსორი ჰყავთ, თავისიანებს რუსი ბიზნესმენები, ვისაც სპორტი, კერძოდ, კრივი უყვარს, ათამამებენ. აი, მორალური მხარდაჭერა კი, ვფიქრობ, მე და პაატას სხვაზე ნაკლები არ გვქონია არც ქომაგთა და არც ნაკრების თავკაცთა მხრიდან. რაც მთავარია, რუსთა შინაურ ჩემპიონატებზე და ტურნირებზე მე და გვასალიას მსაჯთა მხრიდან დაჩაგვრა არ გვიგრძვნია ჩვენი ქართველობის გამო.

**— რუსეთის ნაკრების თავკაცებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ შენ და პაატა გვასალიას?**

— ნორმალური. ნაკრების უფროსი მწვრთნელი ნიკოლოზ ხრომოვი გვაფასებდა ორივეს და პატივისცემას არ გვაკლებდა. მწვრთნელადაც კარგი მწვრთნელია და კარგად იცის თავისი საქმე.

**— რა ხანია, საქართველოში ხარ, არ შეგხმიანებიან რუსები, დაბრუნდი, მანდ რას უზიხარო?**

— კი, ხშირად მირეკავენ. ხრომოვმა რამდენიმე დღის წინაც დამირეკა — შენი ადგილი, ხომ იცი, არის ნაკრებში, ჩამოდი და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადეო. მის გარდა სხვებიც მირეკავენ.

**— მერე, რას აპირებ?**

— არ ვიცი, ჯერჯერობით ისევ რუსეთის ნაკრების წევრად ვითვლები, წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია, კაცმა არ იცის, იქნებ დავბრუნდე კიდეც. თუმცა, მეეჭვება, თანაც საბერძნეთიდან მაქვს მეტად რეალური და რუსეთისაზე უკეთესი წინადადება — მივიღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა და ვიასპარეზო საბერძნეთის სახელით.

**— რამდენად რეალური და წრფელია ბერძენთა სურვილი?**

— ამასწინათ ვიყავი კიდეც საბერძნეთში, დავრწმუნდი, რომ მართლა სურთ ჩემი გადაბირება, დიდი პატივისცემით დამხვდნენ. ჩემს წონაში — 57 კილოში ჩემი ბადალი მოკრივე არ ჰყავთ და, ფაქტიურად, ნაკრებში უპრობლემოდ დავიკავებ ადგილს. სხვათა შორის, ბერძნებს ჩემთან ერთად ჩემი უმცროსი ძმის შალვას წაყვანაც სურთ, იგი 21 წლისაა, 63 კილოში ჩხუბობს და ათენში ყოფნისას საკლუბო ტურნირში იასპარეზა — თავისი წონის ყველა უძლიერესი ბერძენი მოკრივე სცემა. არც მას გაუჭირდება საბერძნეთის ნაკრებში მოხვედრა, თუკი მოინდომა.

**— საბერძნეთში არაერთი ქართველი სპორტსმენი ცხოვრობს. ვინმეს ხომ არ გადაყრიხარ?**

— გაბერძნებულ ქართველ სპორტსმენთაგან ყველაზე დიდი — კახი კახიაშვილი შემხვდა. შემთხვევით გადავეყარეთ ერთმანეთს — მე რომ ვცხოვრობდი, იმ სასტუმროში შემხვდა.

**— ამბობენ, კახი კახიაშვილი მეტად პოპულარულია საბერძნეთშიო...**

— კი, პოპულარობა არ აკლია, უყვარს ხალხს, პრესითა და ტელევიზიით ხოტბა-დიდებას ასხამენ — დაიმსახურა და იქაური სპორტის თაყვანისცემლებიც სიკეთეს სიკეთით უხდიან. რა მოსატანია და, ჩემი ჩასვლისთანავე არაერთმა გაზეთმა დაწერა ჩემზე, რა თქმა უნდა, კარგი და ჩემთვის სასარგებლო.

**— მოკლედ, როგორ დავასრულოთ ამჯერად ბერძნული თემა — მიდიხარ თუ არა იქ?**

— არ ვიცი, ბევრი რამ გაურკვეველია და გადაჭრით არაფრის თქმა არ შემიძლია, მით უმეტეს, ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული.

**— ცოტა ხნით რუსეთს დავუბრუნდეთ: ხრომოვის გარდა, ვიცი, ერთი აქაური მწვრთნელიც გყავდა...**

— ჩემი ბავშვობის მწვრთნელი ალიოშა ჯაფარიძე ხომ ამჟამად მოსკოვშია და ის მავარჯიშებდა. იგი ადრეც ცხოვრობდა მოსკოვში, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და ბევრი ცნობილი მოკრივეც გაზარდა, მათ შორის, მე და ჩემი ძმა ზურაც. ახლახანს კვლავ რუსეთს მიაშურა და, აბა, რა გასაკვირია, იქ ჩასულმა მეც პირველს ჩემი ბავშვობისდროინდელ ოსტატს მივაკითხე.

**— პაატა გვასალია რას აპირებს, ადრე მისმა ძმამ კახამ მითხრა, პაატას უნდა საქართველოში დაბრუნება და საამისოდ უკვე ნიადაგს ვსინჯავთო...**

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვი, ამაზე ჯობს, პაატას დაეკითხო. ერთი ნაღდად ვიცი — პაატა რუსეთის სახელით ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება და უნგრეთში იჩხუბებს. ვატყობ, წელსაც იქ დარჩება.

**— შენი რუსეთზე გულის აყრა შენს წონაში ძლიერი კონკურენტის გამოჩენას ხომ არ უკავშირდება? შენი შემცვლელი ხომ არ დაიგულეს რუსებმა? პაატას ამბავიც საინტერესოა — რამდენად საიმედოდ აქვს დაჯავშნული ნაკრებში ადგილი?**

— ჩავედი თუ არა მოსკოვში, 57 კილოში იმხანად რუსეთის ნაკრების პირველი ნომერი ვიაჩესლავ ვლასოვი ამოვაგდე გუნდიდან — საკონტროლო შეხვედრებზეც ვაჯობე და რომელ ტურნირზეც გადავეყარე, ყველგან დიდი უპირატესობით დავჯაბნე. მის გარდა სხვა ყველა კონკურენტიც ჩამოვიცილე. ვლასოვი ცაცია და ნიჭიერი მოკრივეა, მართლაც საშიში კონკურენტი და თუ მისი გუნდიდან ამოგდება არ გამჭირვებია, სხვებს რა უნდა დაეკლოთ ჩემთვის. ასევეა პაატას საქმეც — ჩასვლისთანავე პაატამაც ყველა თავის კონკურენტს კუთვნილი ადგილი მიუჩინა და დღემდე პირველი მოკრივეა თავის წონაში — 60 კილოში.

**— რამაზ, მაინც საქართველოში შენს დაბრუნებაზე — არდაბრუნებაზეც ვთქვათ. ან რუსეთი ან საბერძნეთი — შენი სადღეისო პერსპექტივა ასეთია, მაგრამ სამომავლოდ მაინც არ აპირებ აქეთ წამოსვლას?**

— ჩემი ყველაზე დიდი ოცნება ხომ ეგ არის — საქართველოში ვიცხოვრო, ნორმალურად ვივარჯიშო და საქართველოს სახელით ვიასპარეზო. რა ვქნა, სადღეისოდ ეს არ ხერხდება. გგონია, მე არ დავიღალე უცხოეთში ცხოვრებით? მაგრამ, რა ვქნა, 24 წლის ვარ. დღემდე ყველაზე მეტად კრივი მეხერხება და მინდა ამ საქმეში ჩემი საკეთებელი მოვილიო, თუნდაც უცხო ქვეყნის სახელით. საქართველოში უცხო ქვეყნების, ვთქვათ, რუსეთის მოკრივეთა ნაკრების პირობების ნახევარი რომ იყოს, წამით არ დავფიქრდებოდი და აქ დავრჩებოდი, მაგრამ, ესეც არ არის და რომ დავბრუნდე, ვიცი, ამით ჩემი საკრივო კარიერაც დამთავრდება. მითხარი, ამით თუ მოიგებს ვინმე, თუნდაც ქართული კრივი, დავრჩები და არსად წავალ. რომ არ წავსულიყავი საქართველოდან, ვერც ევროპის ჩემპიონი გავხდებოდი, სპორტის ჭეშმარიტი ქომაგი გამიგებს, სპორტს... გაუცხოებული კი — ვერასოდეს.

**— შენი ძმა ზურაბ ფალიანი საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტია. ამასწინათ გახარებული დამხვდა ფედერაციაში — კახა ბარავი დაბრუნდა რუსეთიდან და საქართველოს სახელით სურს ასპარეზობაო. ამ დროს საკუთარი ძმა არ აპირებს დაბრუნებას. რა დასამალია, ზოგი ქილიკობს, ფედერაციის პრეზიდენტი სხვებს აქეთ ეძახის, თავისი ძმა კი ვერ დაუბრუნებიაო...**

— ყველაზე მეტად ზურას უნდა ჩემი დაბრუნება, დღენიადაგ ამას მეუბნება. ვიცი, უხერხულია, საკუთარი ძმა სხვაგან იყოს და სხვებს ამუნათებდე, მიატოვე უცხოეთი და შინ, გაჭირვებაში დაბრუნდიო. ზურას რომ ქართული კრივის ცუდი სტკივა და კარგი ახარებს, მოდი, ამაზე ნუ ვისაუბრებთ, ეს შენც კარგად იცი. ხომ გითხარი, ძალიან სურს ჩემი დაბრუნება, მეც, ვცდილობ, ძმას ანგარიში გავუწიო, მაგრამ მეც გამიგეთ — პატარა ბავშვი არა ვარ, ჩემი ცხოვრება მაქვს, ჩემს პრობლემებს თავად ვწყვეტ და ვაგვარებ. მესმის ზურასი, მაგრამ სადღეისოდ მის თხოვნას აქ დარჩენის თაობაზე ვერ შევასრულებ.

**— ახლა რას საქმიანობ? არც რუსეთში ხარ, არც საქართველოში ვარჯიშობ. ეს შენს სპორტულ ფორმას სასიკეთოდ არ წაადგება.**

— ეს ერთი წელია, მხოლოდ ფიზიკურად ვვარჯიშობ, ძირითადად სვანეთში. ბოლო რამდენიმე თვეა, წელის ტკივილი დამჩემდა და ვმკურნალობ.

**— ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატი უშენოდ ჩაივლის.**

— ასე გამოდის. შანსი კი მაქვს, რუსეთის ნაკრებთან ერთად ვიასპარეზო უნგრეთში, მაგრამ ჩემპიონატზე არ წავალ, მით უმეტეს, ჯერ ტრავმა უნდა მოვიშუშო.

**ლევან ჯავახიშვილი**

ძიუდო

# პარიზი სიდნეის ასლია

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცებს კარსმომდგარი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უამრავი პრობლემა ჰქონდათ გადასაჭრელი. სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ჩვენში ნიჭიერი და მაღალი კლასის ძიუდოისტები არ არიან სანთლით საძებარნი, ამიტომაც, ნაკრების უფროს მწვრთნელს შოთა ხაბარელს არაერთგზის მოუწია ღამის ტეხვა, ვიდრე სამსოფლიოჩემპიონატოდ გუნდის ოპტიმალურ ვარიანტს — სადღეისოდ 8 უძლიერეს ქართველ ძიუდოისტს შეარჩევდა. საუკეთესონი კი გუშინ დაასახელა ხაბარელმა: გიორგი რევაზიშვილი (60 კგ), გიორგი ვაზაგაშვილი (65), ზაზა გულიაშვილი (71), სოსო ლიპარტელიანი (78), გია გუგავა (86), ივერი ჯიქურაული (95), ალექსი დავითაშვილი (მძიმე) და ვალერი დაბრუნდაშვილი (აბსოლუტური). ხაბარელის რჩეულთაგან ბევრის უძლიერესობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ზოგიერთ წონით კატეგორიაში, ალბათ, სხვაგვარი არჩევანის გაკეთებაც შეიძლებოდა. მაინც, რამდენად ოპტიმალური ვარიანტი ირჩია შოთა ხაბარელმა? — ნაკრების უფროს მწვრთნელთან საუბარი სწორედ ამ კითხვით დავიწყე.

— ცოტა არ იყოს, გაგვეჭირდა ზოგიერთ წონაში არჩევანი, მაგალითად, 86 კილოში. ამ წონაში გიორგი წმინდაშვილს გია გუგავა ვარჩიე. წმინდაშვილი უდავოდ ძლიერი ძიუდოისტია, წელს საქართველოს ჩემპიონატი და თბილისის საერთაშორისო ტურნირიც მოიგო, მაგრამ გიორგიმ ბოლოხანს გამართულ დიდ შეჯიბრებებზე თავი ვერ გამოიჩინა, ამიტომ მას შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ პერსპექტიული გუგავა ვამჯობინე. გია იტალიის საერთაშორისო ტურნირზე მესამე იყო, პარიზის ტურნირზე უძლიერეს ძიუდოისტებთან ჭიდილში კი — მეხუთეა, ამიტომაც მივეცით მას თავის გამოჩენის შანსი — იქნებ ბოლოხანს თავისი სტაბილური ასპარეზობა საფრანგეთში დააგვირგვინოს. ისე, რეიტინგული სისტემით თუ მივუდგებით საქმეს, უდავოდ წმინდაშვილს ეკუთვნის საფრანგეთში წასვლა, მაგრამ, ვიმეორებ, დიდ შეჯიბრებებზე, იმავე ატლანტის ოლიმპიადაზე გიორგიმ ვერ გვასახელა და ამან გადამაწყვეტინა გუგავას დაყენება ამ წონაში.

**— რევაზიშვილ — ვაზაგაშვილის პრობლემა, ვხედავ, მოაგვარეთ, მაგრამ რამდენად საიმედოა თქვენი არჩევანი?**

— ვფიქრობ, სადღეისოდ ეს ყველაზე საიმედო ვარიანტია, გიორგი რევაზიშვილს გაუჭირდებოდა 71-ში ჭიდაობა, ამიტომ მისი 60-ში დაყენება ვარჩიეთ. გიორგი ვაზაგაშვილმა კი წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მართალია, 71-ში, მაგრამ ეს უფრო დიდი საქმეა, თანაც, ვაზაგაშვილი წელს სწორედ 65-ში გახდა საქართველოს ჩემპიონი. ამიტომ გიორგი მისთვის სასურველ წონაში დავტოვეთ. ენახოთ, დანარჩენს მსოფლიოს ჩემპიონატი გვიჩვენებს.

**— ნაკრების რომელიმე წევრს ტრავმა ხომ არ აწუხებს?**

— საბედნიეროდ, არა, მცირე ტრავმა ჰქონდა გია გუგავას, მაგრამ უკვე მოიშუშა. ერთ-ორ ძიუდოისტსაც აწუხებს მეტად უმნიშვნელო ტრავმა, მაგრამ არაფერია, ისინიც მალე მომჯობინდებიან. რაც მთავარია, ეს მათ ჭიდაობასა და შედეგებზე არ იმოქმედებს. მით უმეტეს, ჩემპიონატამდე ბიჭები ისვენებენ, მიმდინარეობს აღდგენითი პროცესი და საგანგაშო ნამდვილად არაფერია.

**— ბატონო შოთა, ძნელია მსოფლიოს ჩემპიონატზე ვინმეს მედალი დაუგეგმო, მით უმეტეს, პარიზში მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტები მოიყრიან თავს. მაგრამ, სავარაუდოდ, მაინც ვისი იმედი გაქვთ?**

— მეტად მაღალი დონის ჩემპიონატი იქნება, ყველა ქვეყანა საგანგებოდ და გულმოდგინედ ემზადება საპარიზოდ, ამიტომ ჩემგან არასერიოზულობა იქნება, განვაცხადო — ეს ძიუდოისტი ჩემპიონი გახდება, ეს კი ფინალში იჭიდავებს-მეთქი. ყველას იმედი მაქვს, რვავე ფალავანს აქვს თავის გამოჩენის შანსი. მაგრამ შარშანდელ და წლევანდელ შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, გუნდის ლიდერები გიორგი რევაზიშვილი და გიორგი ვაზაგაშვილი არიან. მათი ბოლოდროინდელი სტაბილურობა იმის საფუძველს იძლევა, რომ პარიზიდან ხელცარიელნი არ ჩამოვლენ.

**— წეღან თქვით, ყველა ქვეყანა საგანგებოდ ემზადება ამ ჩემპიონატისთვისო. რატომ?**

— ამ ჩემპიონატიდან იწყება ძიუდოისტთათვის სიდნეის ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა. ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ზოგმა თავი დაანება ჭიდაობას, ხოლო ვისაც იმთავითვე ჰქონდა განზრახული სიდნეიში ასპარეზობა, პარიზში იჭიდავებს. ამიტომ, ეს ჩემპიონატი იქნება მეტად შორეული, მაგრამ მაინც მიკრო-მოდელი მომავალი ოლიმპიადისა და პარიზში ბევრი რამ ახლებურად გამოჩნდება.

**— ჩემპიონატისთვის მზადებისას ხელი ხომ არაფერში შეგშლიათ?**

— გაჭირვებული ქვეყნის კვალობაზე იყო რაღაც პრობლემები, მაგრამ საკუთარი ძალისხმევით თუ სხვათა თანადგომით ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. შემიძლია ვთქვა, რომ ბიჭებს არაფერი მოჰკლებიათ — ნორმალური შეკრებები, ტურნირები, დასვენება, კვება — ყველა პირობა გვქონდა ხეირიანი მზადებისთვის.

**— მოკლედ, ქომაგებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ და პარიზიდან კარგ ამბებს ელოდნონ...**

— იმედიანად მივდივართ, უბრძოლველად ბიჭები არაფრის დათმობას არ აპირებენ. ახლა ყველაფერი კენჭისყრასა და თავად ჩემპიონატის მსვლელობაზეა დამოკიდებული. იმედია, არც იღბალი შეგვაქცევს ზურგს და პარიზში ხელოვნური ბარიერები და გაუთვალისწინებელი პრობლემები არ დაგვხვდება. ბიჭები კი, გპირდებით, ღირსეულად იასპარეზებენ.

**ლევან ჯავახიშვილი**

# კალათბურთელებმა პრეზიდენტი აირჩიეს

ყრილობა, რომელსაც დიდი ხანია ელოდა საკალათბურთო ლიანგი, შედგა.

ყრილობას უძღვებოდა კალათბურთელთა ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი ალექსანდრე ჩხეიძე, რომელმაც დამსწრეთ აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის ავთანდილ საყვარელიძის წერილი გააცნო. წერილის ავტორი მადლობას უხდიდა ყველას, ვინც მასთან ერთად საქმიანობდა ქართული კალათბურთის საკეთილდღეოდ და საკუთარ უუნარობას, უძლურებას. უფლებამოსილებას იხსნიდა.

ფედერაციის საქმიანობის შეფასების, სარევიზიო კომისიის ანგარიშისა და კამათის შემდეგ საქმე პრეზიდენტის არჩევნებზე მიდგა. კანდიდატი ერთი იყო, ცეკავშირის თავკაცი გიორგი ქათამაძე. დელეგატებმა ქათამაძე ერთხმად აირჩიეს, მან კი ამ თანამდებობაზე თავის პირველ სიტყვაში აღნიშნა, ნურავის ეგონება, ცეკავშირი მთლიანად დააპურებს საკალათბურთო თემს, რა თქმა უნდა, დახმარება ამ ორგანიზაციიდან იქნება, მაგრამ ცეკავშირი სრულ საფინანსო უზრუნველყოფას თავის თავზე ვერ აიღებსო. პრეზიდენტმა ვეტერან კალათბურთელთა დახმარებაზე და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩაბმაზეც ისაუბრა, ბოლოს კი დასძინა, ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა და ყველაფერს გავაკეთებ ქართული კალათბურთის საკეთილდღეოდო. ბატონმა გიორგიმ ფედერაციის პრეზიდიუმის 36-კაციანი სია წარმოადგინა, რომელშიც მინისტრები ბაკურ გულუა და თამაზ კვაჭანტირაძე, დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ იოსელიანი, ქალაქის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, სახელოვანი სპორტსმენები და ბიზნესმენები შევიდნენ.

**ერეკლე კიკილაშვილი**

## ევროლიგა

### A ჯგუფი

ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი), 71:63, ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 69:57, რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) 66:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 3 | 3 | 0 | 225:188 | 6 |
| ეფეს პილზენი | 3 | 2 | 1 | 220:198 | 5 |
| ცსკა | 3 | 2 | 1 | 235:226 | 5 |
| მაკაბი | 3 | 2 | 1 | 225:198 | 5 |
| რეალი | 3 | 0 | 3 | 225:253 | 3 |
| ლიმოჟი | 3 | 0 | 3 | 183:212 | 3 |

### B ჯგუფი

პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) — ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი) 75:76, პორტუ (პორტუგალია) — სპლიტი (ხორვატია) 79:83, ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) — ტელეკომი (ანკარა, თურქეთი) 71:66

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 3 | 3 | 0 | 220:191 | 6 |
| პაოკი | 3 | 2 | 1 | 248:127 | 5 |
| სპლიტი | 3 | 2 | 1 | 220:205 | 5 |
| ესტუდიანტესი | 3 | 2 | 1 | 222:225 | 5 |
| ტელეკომი | 3 | 0 | 3 | 220:231 | 3 |
| პორტუ | 3 | 0 | 3 | 212:235 | 3 |

### C ჯგუფი

პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 79:59, ბარსელონა (ესპანეთი) — კინდერი (ბოლონია, იტალია) 67:84, ულპერი (გენჩლიკი, თურქეთი) — პოორტეზი (საფრანგეთი) 67:64

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 249:249 | 5 |
| კინდერი | 3 | 2 | 1 | 237:214 | 5 |
| პარტიზანი | 3 | 2 | 1 | 250:232 | 5 |
| პოორტეზი | 3 | 1 | 2 | 235:232 | 4 |
| ჰაპოელი | 3 | 1 | 2 | 209:234 | 4 |
| ულპერი | 3 | 1 | 2 | 227:239 | 4 |

### D ჯგუფი

ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) — აეკი (ათენი, საბერძნეთი) 70:67, ალბა (ბერლინი, გერმანია) — ციბონა (ზაგრები, ხორვატია) 74:73, პარიზი (საფრანგეთი) — ოლიმპია )ლიუბლიანა, სლოვანია) 66:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტიმსისტემი | 3 | 3 | 0 | 242:237 | 6 |
| აეკი | 3 | 2 | 1 | 201:190 | 5 |
| ალბა | 3 | 2 | 1 | 226:224 | 5 |
| ოლიმპია | 3 | 1 | 2 | 212:218 | 4 |
| ციბონა | 3 | 1 | 2 | 238:231 | 4 |
| პარიზი | 3 | 0 | 3 | 189:205 | 3 |

## ევროპის თასი

### A ჯგუფი

ოდესა (უკრაინა) — პლუნგე (ლიტვა) 86:61, ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) — ტობასი (ბურსა, თურქეთი) 88:78, რაბოტნიჩი (სკოპიე, მაკედონია) — ტოპო (ჰელსინკი, ფინეთი) 80:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტოპო | 3 | 3 | 0 | 223:210 | 6 |
| ხუვენტუდი | 3 | 3 | 0 | 257:236 | 6 |
| ოდესა | 3 | 2 | 1 | 332:198 | 5 |
| ტობასი | 3 | 1 | 2 | 222:198 | 4 |
| პლუნგე | 3 | 0 | 3 | 218:254 | 3 |
| სკოპიე | 3 | 0 | 3 | 184:211 | 3 |

### B ჯგუფი

ოპავა (ჩეხეთი) — ფენერბაჰჩე (სტამბოლი, თურქეთი) 77:73, ლემანი (საფრანგეთი) — სლასკ ცემპტერი (პოლონეთი) 77:68, პივოვარნა (სლოვაკეთი) — ბროცერნი (რიგა, ლიტვია) 77:93

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 3 | 3 | 0 | 221:214 | 6 |
| სლასკ ცემპტერი | 3 | 2 | 1 | 228:219 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 2 | 220:222 | 4 |
| პივოვარნა | 3 | 1 | 2 | 220:252 | 4 |
| ბროცერნი | 3 | 1 | 2 | 252:230 | 4 |
| ოპავა | 3 | 1 | 2 | 210:229 | 4 |

### C ჯგუფი

პრუსცკოვი (პოლონეთი) — ტალინი (ესტონეთი) 78:76, ზაგრები (ხორვატია) — ვილერბანი (საფრანგეთი) 87:89, მცტ (სკოპიე, მაკედონია) — ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) 93:95.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 3 | 3 | 0 | 251:221 | 6 |
| ვილერბანი | 3 | 3 | 0 | 229:207 | 6 |
| პრუსცკოვი | 3 | 2 | 1 | 253:223 | 5 |
| ზაგრები | 3 | 1 | 2 | 229:210 | 4 |
| ტალინი | 3 | 0 | 3 | 187:232 | 3 |
| მცტ | 3 | 0 | 3 | 209:284 | 3 |

### D ჯგუფი

კასერესი (ესპანეთი) — სამარა 88:67, ოლივეირენსე (პორტუგალია) — კერავნოსი (ნიქოზია, კვიპროსი) 62:63, ჟელეზნიკი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ლულეო (შვედეთი) 62:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კასერესი | 3 | 2 | 1 | 282:244 | 5 |
| სამარა | 3 | 2 | 1 | 230:214 | 5 |
| ჟელეზნიკი | 3 | 2 | 1 | 221:208 | 5 |
| ლულეო | 3 | 1 | 2 | 242:247 | 4 |
| ოლივეირენსე | 3 | 1 | 2 | 203:229 | 4 |
| კერავნოსი | 3 | 1 | 2 | 176:206 | 4 |

### E ჯგუფი

ჰონვედი (უნგრეთი) — ჰაპოელი (ეილატი, ისრაელი) 76:77, ბეობანკა (ბელგრადი, იუგოსლავია) — ლონდონ თაუერსი (ინგლისი) 75:65, ტატამი (რონდო, გერმანია) — სტეფანელი (მილანი, იტალია) 58:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი | 3 | 3 | 0 | 277:218 | 6 |
| სტეფანელი | 3 | 2 | 1 | 210:187 | 5 |
| ბეობანკა | 3 | 2 | 1 | 228:221 | 5 |
| თაუერსი | 3 | 1 | 2 | 211:233 | 4 |
| ტატამი | 3 | 1 | 2 | 185:243 | 4 |
| ჰონვედი | 3 | 0 | 3 | 214:224 | 3 |

### F ჯგუფი

უსკ (პრაღა, ჩეხეთი) — პოლზელა (სლოვაკეთი) 75:79, შარლერუა (ბელგია) — დენ ბოშ ლიბერტელი (ჰოლანდია) 105:54, აპოლონი (საბერძნეთი) — ჟრჟინევაკი (ზაგრები, ხორვატია) 90:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შარლერუა | 3 | 2 | 1 | 275:196 | 5 |
| აპოლონი | 3 | 2 | 1 | 307:204 | 5 |
| პოლზელა | 3 | 2 | 1 | 283:270 | 5 |
| დენ ბოში | 3 | 2 | 1 | 229:277 | 5 |
| ჟრჟინევაკი | 3 | 1 | 2 | 230:245 | 4 |
| უსკ | 3 | 0 | 3 | 227:291 | 3 |

### G ჯგუფი

კიორმენდი (უნგრეთი) — ტელეკომი (პორტუგალია) 87:70, ოსტენდე (ბელგია) — სლობოდა (ტუზლა, ბოსნია) 81:74, კანტუ (იტალია) — ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) 105:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანტუ | 3 | 3 | 0 | 267:218 | 6 |
| ოსტენდე | 3 | 2 | 1 | 249:233 | 5 |
| ბაიერი | 3 | 2 | 1 | 236:263 | 5 |
| კიორმენდი | 3 | 1 | 2 | 244:248 | 4 |
| ტელეკომი | 3 | 1 | 2 | 231:235 | 4 |
| სლობოდა | 3 | 0 | 3 | 228:264 | 3 |

### H ჯგუფი

პეზინოკი (სლოვენია) — მაკაბი (რაპანანა, ისრაელი) 83:72, ბუდიველნიკი (კიევი, უკრაინა) — სტ. პოლტენი (ავსტრია) 61:55, პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) 97:57

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | 266:201 | 6 |
| ბუდიველნიკი | 3 | 2 | 1 | 227:225 | 5 |
| ავტოდორი | 3 | 2 | 1 | 219:244 | 5 |
| რაპანანა | 3 | 1 | 2 | 222:237 | 4 |
| პეზინოკი | 3 | 1 | 2 | 222:253 | 4 |
| სტ. პოლტენი | 3 | 0 | 3 | 202:218 | 3 |



# წყალბურთელებს ეროვნული გუნდი მოენატრათ

## ბიჭებს ოცნებას ნუ წაართმევთ!



ზურაბ ქოიავას და კახა კინწურაშვილს ამ ბიჭების იმედი აქვთ

განათლების სამინისტროს ბავშვთა წყალბურთის სკოლამ თავის დროზე მრავალი სახელოვანი სპორტსმენი გამოუზარდა საქართველოს, ლომის წილი დაიდო ჩვენში წყალბურთის განვითარების საქმეში. კონკრეტული ფაქტების მოხმობა შორს წაგვიყვანს — ვინც მეტნაკლებად ჩახედულია ქართული წყალბურთის საშინაო ამბებში, ყველას კარგად მოეხსენება „საირმის აუზის" (ეს სკოლა საბურთალოზე, საირმის ქუჩაზე მდებარეობს და მას ასე უწოდებენ წყალბურთელები და ქომაგები) ლვაწლის თაობაზე, მაგრამ ბოლოხანს მასაც გაუჭირდა. რა ხანია, სკოლის აუზები უმოქმედოდ, უსიცოცხლოდ გამოიყურება და რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან წყალბურთზე გადაყოლილი ენთუზიაზისტები, რომელთაც შეუძლიათ ამ საქმეში სული და გული ჩადონ. ასეთად გვეგულება საირმის სკოლის მთავარი მწვრთნელი კახა კინწურაშვილი და წარსულში ცნობილი წყალბურთელი ზურაბ ქოიავა, რომელთაც, მიუხედავად გაჭირვებისა, ხელი არ აიღეს ახალგაზრდების გამოზრდაზე. სკა-ს სპორტკომპლექსს შეაფარეს ნორჩი წყალბურთელები და იქაურ აუზზე აგრძელებენ საშურ საქმეს.

სკა-ს აუზზე სტუმრობისას ზურაბ ქოიავა ვერ მოვიხელთე, რადგან ბიჭებს ავარჯიშებდა და მხოლოდ კახა კინწურაშვილთან მოვახერხე საუბარი. რასაც კახა გეტყვის, ჩემი სათქმელიც ის არის, ჩათვალე, რომ ორივეს გვესაუბრეო — დამაიმედა მერე ბატონმა ზურაბმა. კახას კი იცოცხლეთ, სათქმელი და სალაპარაკო ბევრი ჰქონია, სათქმელი საქმიანი და ტკივილიანი.

**— გაჭირვების მიუხედავად, ვხედავ, თქვენსას არ იშლით და შესაძლებლობის კვალობაზე კვლავაც ბავშვთა წყალბურთს ემსახურებით.**

— განათლების სამინისტროს წყალბურთის სკოლამ ძალზე ბევრი გაუკეთა ქართულ წყალბურთს. თბილისის „დინამო" და სკა თავის დროზე შევსებას, უმთავრესად, ჩვენი სკოლისგან იღებდა, მაგრამ ცხოვრება აირია, სკოლაში მუშაობა შეწყდა, ჯერჯერობით მხოლოდ 25-მეტრიანი აუზის ამოქმედება მოხერხდა. სამომავლოდ დიდი აუზებიც ამოქმედდება, მაგრამ სახვალიო სიკეთეს ხომ არ დავუცდიდით, სკოლაში ბევრი ნიჭიერი ბავშვი სწავლობს, ამიტომ ნორჩ და ახალგაზრდა ბიჭებს სკა-ს აუზზე ვავარჯიშებთ. მეტად პერსპექტიული და ნიჭიერი თაობაა, სკოლის ბაზაზე ორი გუნდი ჩამოყალიბდა — უმცროსი ასაკისა — „მართვე" და უფროსთა კლუბი — „ნეპტუნი". ეს უკანასკნელი საქართველოს ჩემპიონატზეც ასპარეზობს. მოკლედ, მომავალს იმედით შევცქერით, ვცდილობთ, პრობლემებს არ შევეპუოთ, ბიჭებს კი საშუალება მივცეთ, დიდი წყალბურთი ითამაშონ. რაც მთავარია, მათი მშობლები ამოგვიდგნენ მხარში, ცდილობენ, ნაკლებად შეგვაწუხოს პრობლემებმა. განათლების სამინისტროც დიდი ყურადღებით გვეპყრობა მისი თანადგომით, ალბათ, მალე საირმის სკოლის ყველა აუზი და საჭყუმპალაოც ამუშავდება.

ისიც სათქმელია, რომ სკა-ს აუზში მარტო ახალგაზრდა წყალბურთელები არ ვარჯიშობენ. აქ 350-ზე მეტი ბავშვი სწავლობს ცურვას და შემდეგ, ტესტირების საფუძველზე, ისინი წყალბურთის სხვადასხვა ჯგუფებში გადაგვყავს.

**— ბოლოხანს შინაურ ან საერთაშორისო ტურნირებზე თუ უასპარეზიათ თქვენი სკოლის აღსაზრდელებს?**

— ჩვენი სპორტსკოლის გუნდი, არ დაგავიწყდეთ, თავის დროზე თანატოლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, ორჯერ კი ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. ბოლოხანს, როგორც ყველას, ჩვენც გვიჭირს საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლა, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა ორჯერ იასპარეზეს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე — ფაქტობრივად ჩვენი სკოლის აღზრდილებით დაკომპლექტებულ გუნდს საქართველოს ნაკრები დაერქვა და ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. წარმატებას ვერც ერთ ჩემპიონატზე ვერ მიაღწიეს, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ჩვენებს თავი არ დაუზოგავთ, თითქმის ყველა შეხვედრას წარმატებით იწყებდნენ, პირველ და მეორე ტაიმს იგებდნენ, მაგრამ ბოლოს თმობდნენ უპირატესობას, რაც მათი არასრულფასოვანი ფიზიკური მომზადებით აიხსნება. არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ზოგიერთ შინაურზე მეტად უცხოელები გვეხმარებიან — ფინეთის წყალბურთის ფედერაციამ, რაკი გაიგო, რომ გვიჭირდა, გუნდის სანტუმროში ცხოვრებისა და კვების ხარჯები ვალად თვითონ აიღო, როცა შეძლებთ, მაშინ გაგვისტუმრეთო. იტალიის წყალბურთის ფედერაციამ კი, ჩვენი გუნდის რამდენიმე მოთამაშეს წყალბურთელის ეკიპირება აჩუქა.

ერთ რამეზე მწყდება გული: როცა წყალბურთის საერთაშორისო ფედერაცია წლევანდელ კალენდარს ადგენდა, მაშინ ჩვენი ფედერაციის თავკაცებს ვუთხარი, რომ საბერძნეთში ჩასვლა იყო საჭირო და საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება, რათა ჩვენთვის სასურველ ტურნირებში მიგველო მონაწილეობა. კერძოდ, რადგან გვიჭირს და შორეულ ქვეყნებში გამგზავრება დიდ ხარჯებს უკავშირდება, შეგვეძლო, შედარებით ახლოს — თურქეთის, ირანის, საბერძნეთისა და რუსეთის ტურნირებზე გვეასპარეზა. ჩვენებურები საბერძნეთში არ წავიდნენ, თბილისიდან ფაქსით დააპირეს საქმის მოგვარება. ახლახან საერთაშორისო ფედერაციის საგაისო კალენდარი მოვიგდე ხელთ — საქართველოს ხსენებაც არ არის იქ არც ერთ ტურნირზე — არც უფროსთა, არც ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების ტურნირებში არ ვართ მიწვეულნი, ამის გამო, ისევ საშინაო ტურნირის ამარა დავრჩით. გეხსომებათ, თბილისში ადრე მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირი იმართებოდა „ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე", მისი აღდგენა გვინდა. საქმე უკვე დაწყებულია, გაისად გაიმართება ეს შეჯიბრება თბილისში, ოღონდ, წინანდელისგან განსხვავებით მას ჭაბუკთა ტურნირი დაერქმევა. „ივერთბანკის" ხელმძღვანელები ოთარ თოხაძე და თამაზ ლობჟანიძე მხარში გვიდგანან და მათი მხარდაჭერა იმედს გვაძლევს, რომ ტურნირი მაღალი დონისა იქნება.

**— დღეს საქართველოს ეროვნული გუნდი არა ჰყავს. ამის თაობაზე რას იტყოდით?**

— საქართველოს წყალბურთის ფედერაციის პოზიცია ასეთია — რაკი ჩვენი ნაკრები დიდ შეჯიბრებებზე უცხოურ გუნდებთან აგებს, ხშირად დიდი ანგარიშითაც, ამიტომ თავის შერცხვენას, ჯობს, არ გვყავდეს ეროვნული გუნდი, ბავშვთა წყალბურთს მივხედოთ და ნაკრები სამომავლოდ შევქმნათო. კი, ბატონო, ბავშვთა წყალბურთის მოვლა-პატრონობა კარგია მაგრამ რა ქნან უნგრელებმა — მსოფლიოს ჩემპიონატზე არც სხვა გუნდებთან დიდი ანგარიშით წაგებაა სასურველი, ფინალში უნგრელებმა იუგოსლავიის გუნდთან 10 ბურთით წააგეს. უნდა ადგნენ უნგრელები, დაშალონ ნაკრები და იმას უცადონ, ვიდრე იუგოსლავთა მძლეველი წყალბურთელები არ ეყოლებათ? სპორტის მრავალ სახეობაში ჩვენი ნაკრებები ათი თავით ჩამორჩებიან უცხოელებს, მაგრამ ეროვნული გუნდის არყოლა არც უფიქრიათ ამ სახეობათა ფედერაციების თავკაცებს. თან, არც ისე უსუსური ნაკრები გვეყოლება, თუკი მისი შექმნა მოვინდომეთ. ჩვენი რეზო ჩომახიძე ჯერ იტალიაში თამაშობდა წარმატებით, ახლა კი მოსკოვის „დინამოსა" და რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. ზვიად დავითიანი წარმატებით თამაშობს იუგოსლავიის ერთ-ერთ კლუბში. მისი მოგვარე გიორგი ამერიკაშია. წელს ფინეთის საუკეთესო მოთამაშე გალაქტიონ ლაითაძე გახდა. იქვე, ფინეთში, თამაშობს გერმანიამოვლილი ნოდარ ჩოლარია. ამ ბიჭების შეკრება და მათზე ზრუნვაა საჭირო და ღირსეული ეროვნული ნაკრები შორეული ოცნება აღარ იქნება. მით უმეტეს, საქართველოშიც არიან ნიჭიერი მოთამაშეები. როგორ შეიძლება, მათ, 20-22 წლის წყალბურთელებს ვუთხრათ, თუ იპოვით თქვენით დაინტერესებულ კლუბებს, უცხოეთში წადით, ჩვენ კი 10-12 წლის ბიჭებს უნდა დაველოდოთ, როდის წამოიზრდებიან, რომ მათ ბაზაზე ნაკრები შევქმნათ, თქვენ კი მაშინ ტრიბუნებიდან უქომაგეთ ამ გუნდსო. იცით, 1994 წელს რეზო ჩომახიძე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები მეთერთმეტე იყო. რეზო ჩომახიძე და ზვიად დავითიანი, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, დღესდღეობით მსოფლიოს 10-15 უძლიერეს წყალბურთელთა შორის არიან. მათ ქვეყანას კი ეროვნული გუნდიც არ ჰყავს. სხვა რომ არ იყოს, ამ ბიჭების გულისთვის ღირს ნაკრების შექმნა. ახალგაზრდებმა ვიღაცას ხომ უნდა მიბაძონ, ელემენტარულად, კერპი ხომ უნდა ჰყავდეთ, რომ მისებრი თამაში ინატრონ. ბიჭებს ის ოცნებაც ძოუსაეს, რომ გაიზრდებიან და ეროვნული გუნდის ღირსებას დაიცავენ.

**— ჩვენს წყალბურთელებს შინაურ ტურნირებზეც არა აქვთ თავის გამოჩენის საშუალება?**

— წელს ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე, მაგრამ ზოგიერთებს რატომღაც არც შინაური ჩემპიონატის გამართვა სურთ. „ნეპტუნში" 38 წლის ვეტერანი წყალბურთელი ასპარეზობდა. ბევრს სალაპარაკო მიეცა — ისეთ ჩემპიონატს რა ვუთხარი, 38 წლის კაცი 20 წლის ბიჭებთან რომ ითამაშებსო. ის არავის გახსენებია, ვეტერანის გვერდით ასპარეზობა რამხელა სტიმულია ახალგაზრდებისთვის. ეს კაცი 12 წლის განმავლობაში თბილისის „დინამოში" თამაშობდა და თავის დროზე ამ ახალგაზრდათა კერპიც იყო. ისიც გავიხსენოთ, რომ ესპანეთის ნაკრებში ახლაც წარმატებით თამაშობს მანუელ ესტეარტე.

**— თქვენი სკოლის გუნდებზე — „მართვესა" და „ნეპტუნზე" რას გვეტყოდით?**

— „მართვე" ჭაბუკთა გუნდია, მეტად პერსპექტიული და საიმედო ბიჭებით დაკომპლექტებული, თუ ყურადღება არ მოაკლდებათ, ისინი აუცილებლად ითამაშებენ დიდ წყალბურთს. სადღეისოდ ასეა. აი, „ნეპტუნი" კი საქართველოს ჩემპიონატზეც ასპარეზობს და პირველი წრის შემდეგ მეორე ადგილზეა. „ნეპტუნშიც" შესანიშნავი ბიჭები თამაშობენ, მაგრამ ეს გუნდი უფრო ძლიერი იქნებოდა, ერთი პრობლემა რომ არა: როცა ბიჭები ჩვენს სკოლას ამთავრებენ და უმაღლეს სასწავლებლებში აბარებენ, ამ ინსტიტუტთა თუ უნივერსიტეტთა მესვეურნი თავიანთ წყალბურთელთა კლუბებში ასპარეზობას სთავაზობენ, არადა, ან არ მიიღებენ სასწავლებელში, ან კიდევ უკვე ჩარიცხულს პრობლემებს უქმნიან და გარიცხვითაც ემუქრებიან. სწავლას მოწყურებულ ბიჭებსაც სხვა რა გზა აქვთ — ეთანხმებიან ამ კაბალურ წინადადებას და ჩვენთან გაზრდილნი სხვა გუნდებში ასპარეზობენ. სხვა გზა აღარ დაგვრჩენია — საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეში „ნეპტუნმა" შეიძლება პროტესტის ნიშნად აღარ იასპარეზოს, თუ სხვადასხვა გუნდებში ასე ზეწოლით წასული წყალბურთელები არ დაგვიბრუნდებიან.

**ლევან ჯავახიშვილი**

# ლეილა მესხი მიდის და რჩება



გია ახალაიას ფოტო

**ლეილა მესხი**

დაიბადა 1968 წლის 5 იანვარს.

გაუმარჯვია ნეშვილის (1989), მოსკოვის (1990), ოკლენდის (1990), ველინგტონის (1992), ჰობარტის (1995) ტურნირების ერთეულთა შეჯიბრში.

მოუგია ბერეზდის (1986), ტორონტოს (1987), ოკლენდის (1990), ველინგტონის (1990), ლინცის (1993, 1994), ამელია — აილენდის (1993) ტურნირები წყვილთა თანრიგში.

ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი წყვილებში.

1976 წლის „როლან გაროსის" გამარჯვებული და უიმბლდონის ფინალისტი იუნიორებში.

7 წლის განმავლობაში იყო მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ოცეულში, საუკეთესო შედეგი — მე-12.

მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი.

ჩვენს დროში სპორტის ნებისმიერ სახეობაში წარმატება უდიდესი გარჯის საფასურად მიიღწევა და მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა შორის მოხვედრაც რჩეულთა ხვედრია. მაგრამ, დამეთანხმებით, ჩოგბურთი სპორტის განსაკუთრებული სახეობაა. იგი მსოფლიოს ყველა კონტინენტზეა პოპულარული და განსაკუთრებით იმ ფენაში, შეძლებულს რომ უწოდებენ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, მაძღარ ქვეყანაში მცხოვრები რომელი შეძლებული მშობელი დაიშურებს რამეს საიმისოდ, რომ მისი შვილი, თუ მას ჩოგბურთის ნიჭი აღმოაჩნდა, მსოფლიოში საუკეთესო გახდეს? და როცა ასეთი კატეგორიის ხალხში, მსოფლიოს ჩოგბურთის ელიტაში მოხვდება კომუნისტურ სივრცეში აღზრდილი სპორტსმენი, რომელსაც კორტზე ვარჯიშისას განსაზღვრული დრო აქვს და უამრავი ბავშვია მის მდგომარეობაში, უკვე დიდი საქმეა. ლეილა მესხმა ეს შეძლო, კარგა ხნით დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოში უძლიერესთა შორის. ამისთვის კი დიდი ჯაფა და ხასიათის სიმტკიცეა საჭირო.

ლეილა მესხი 8 წლისა მიიყვანეს მწვრთნელ გურამ თოხაძესთან და ასე დაიწყო მისი ძნელი გზა ბავშვობიდან სახელოვან ჩოგბურთელობამდე.

*„მამაჩემი, პროფესიით ინჟინერი გიორგი მესხი თვითონაც სპორტსმენი იყო, ფეხბურთელი და უნდოდა, შვილებიც სპორტს გაჰყოლოდნენ — თუ ვაჟიშვილები იქნებოდნენ, სურდა, ფეხბურთელები ყოფილიყვნენ, თუ გოგონები — ჩოგბურთელები. ამიტომ ჩემი ჩოგბურთში მოსვლა სულაც არ იყო შემთხვევითი"*

ლეილამ თავიდანვე წარმატებებით დაიწყო. იმთავითვე გამოჩნდა მისი ნიჭი და ხასიათის სიმტკიცე. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ლეილამ სამივე თანრიგში მოიპოვა პირველობა და სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღებაც მიიპყრო. მახსოვს მაშინდელი საკავშირო პრესა. მიუხედავად იმისა, რომ ლეილა აბსოლუტური ჩემპიონი გახდა და ბევრი ქებაც ხვდა წილად, აქცენტს მაინც ვიქტორია მილვიდსკაიაზე აკეთებდნენ. მისგან უფრო მოელოდნენ დიდ წარმატებებს. გასაგებია, ეს უფრო მათი სურვილი იყო, ვიდრე რეალური ვითარების შეფასება. ლეილამ მალე კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უპირატესობა: საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე კვლავ სამივე თანრიგში გაიმარჯვა. ამას მოჰყვა წარმატებები საერთაშორისო სარბიელზეც — გამარჯვება პარიზში „როლან გაროსის" კორტებზე და ფინალი უიმბლდონზე თავისი ასაკის მოთამაშეთა შორის.

*„ბევრ ქალაქში ვყოფილვარ, მაგრამ თბილისის მერე განსაკუთრებულად პარიზი მიყვარს. ეტყობა, იმიტომაც, რომ პირველი დიდი წარმატება ამ ქალაქში მხვდა წილად. სხვათა შორის, საფრანგეთში ყოველთვის წარმატებით გამოვდიოდი. „როლან გაროსის" მოზრდილთა შეჯიბრებებში საუკეთესო რვაშიც მოვხვედრილვარ".*

შემდეგ ლეილამ დიდ ჩოგბურთში ფეხი და ბოლომდე ღირსეული იყო ღირსეულთა შორის: შვიდი წლის განმავლობაში იყო ოცეულში, ორი წელი რეიტინგში მეთორმეტე გახლდათ მსოფლიოს უძლიერესებში. ეს, რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს. მისი სატურნირო გამარჯვებებიც შთამბეჭდავია, თუმცა, მარტო პირველ ადგილებს არ მოუტანია მორალური კმაყოფილება.

*„ჩემი ყველაზე წარმატებული ტურნირი 1991 წელს ამერიკაში, სამხრეთ კაროლინის ქალაქ ჰილტონჰედში ჩატარდა. საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდი ჰქონდა — 400 000 და შემადგენლობაც შესაბამისი. მაშინ პირველად ათეულის სამი ჩოგბურთელი დავამარცხე მერვედფინალში. ამერიკელთა იმედს — ჯენიფერ კაპრიატის მოვუგე მეოთხედფინალში — შეუდარებელ მარტინა ნავრატილოვას, ნახევარფინალში — ნატაშა ზვერევას. ფინალში იმ წელს ფანტასტიკურად მოთამაშე საბატინისთან დავმარცხდი.*

*რა თქმა უნდა, ნავრატილოვასთან მატჩი ყველაზე სამახსოვრო იყო. პირველი სეტი მე მოვიგე, მეორე მარტინამ, მესამე ხელში, როცა ანგარიში 5:4 იყო ჩემს სასარგებლოდ და მე ვაწვებოდი, რაღაც საშინელი წვიმა წამოვიდა, ტროპიკულს რომ ეძახიან, ისეთი და მატჩი გადაიდო. მოგეხსენებათ, რა ძნელია, თამაში რომ წავიდა და ამ დროს შეგაწყვეტინებენ. მეორე დღეს განვაგრძეთ. ძალზე დაძაბულად წარიმართა მატჩის დასასრული. ერთი გეიმის გათამაშება 17 წუთს გაგრძელდა. მოკლედ, მატჩი მივიყვანე გამარჯვებამდე, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მთელი შეხვედრა იმ დღეს ვითამაშე. ცოტა ხანში ზვერევასთან მიწევდა თამაში, მაგრამ უკვე, ასე ვთქვათ, აღებული მქონდა ტემპი და ზვერევაც დავამარცხე".*

მარტინა ნავრატილოვა, გაბრიელა საბატინი, პემ შრაივერი, მანუელა მალეევა, ჰელენა სუკოვა, ნატალია ზვერევა, ანკე ჰუბერი, ირინა სპირლეა, ჯენიფერ კაპრიატი... მართლაც, შთამბეჭდავი სიაა, თითოეულ მათგანთან გაუმარჯვია ლეილა მესხს, სხვა უამრავი ძლიერი ჩოგბურთელი რომ აღარ ჩამოვთვალოთ.

დიდი სლემის ტურნირებიდან „როლან გაროსზეც" და ამერიკის ღია პირველობაზე 8 საუკეთესოს შორის იყო. ეს თავისთავად მშვენიერი შედეგია, მაგრამ, როგორც ლეილა ამბობს, მეტიც შეეძლო. ყველაზე გულდასაწყვეტი მისთვის 1991 წლის ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალი იყო. გამარჯვება და, ოთხ საუკეთესოში ხვდებოდა. მისი მეტოქე არგენტინელი გაბრიელა საბატინი იყო, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, იმ წელს ჩინებული შედეგები ჰქონდა.

*„თამაში ძალიან დაძაბული იყო. თითქმის სამი საათი გაგრძელდა. ჩემს კარიერაში მსაჯებისგან მსგავს უსამართლობას არ შევხვედრივარ. ისინი ხუთი-ათი სანტიმეტრით აცდენილ ბურთებს უთვლიდნენ მეტოქეს. ტელერეპორტაჟი გამოჩენილ ამერიკელებს ბილი-ჯინ კინგს და კრის ევერტს მიჰყავდათ და წამდაუწუმ ვაიძახოდნენ, ეს რა ხდება... მოკლედ, საბატინის აშკარად მოავებინეს და ოთხეულის მიღმა დავრჩი. საღამოს ნიუ იორკში სასეირნოდ გამოვედი და ქუჩაში მაჩერებდნენ, ყველა თანაგრძნობას მიცხადებდა. ერთი ჯარისკაცი შემხვდა, ყვავილები მომართვა, და შენ უფრო ძლიერი იყავიო, მითხრა".*

ლეილა მესხს რევანში, საშუალება მალევე მიეცა და მანაც საფუძვლიანად გამოიყენა.

*„სან დიეგოს ტურნირის ნახევარფინალში შევხვდი — ჰყვება ლეილა — პირველი ხელი 6:0 მოვუგე და მეორეს, 2:0-ზე რომ ვუგებდი, გამეცინა".*

*„საბატინის მწვრთნელ კარლოს კურმაგოლთან ერთად ვიჯექი, — საუბარში ჩაგვერთო პავლე ნადიბაიძე, ლეილას მეუღლე, — ლეილამ გამომხედა, თვალები უციმციმებდა. მივხვდი, რასაც ნიშნავდა ეს, საბატინის ბავშვივით უგებდა. არ მოდუნდემეთქი, დავუძახე".*

ლეილამ ის მეორე ხელიც ადვილად მიიყვანა გამარჯვებამდე — 6:2 და ფინალში, დაძაბულ სამსეტიან მატჩში დამარცხდა კონჩიტა მარტინესთან.

ლეილას წყვილთა თანრიგშიც დიდი წარმატებები ჰქონდა. თუმცა, მისი აზრით, დიდ ტურნირზე ერთეულებში მეოთხედფინალში მოხვედრაც კი უფრო პრესტიჟულია, ვიდრე წყვილებში გამარჯვება. თუმცა, ლეილას აქაც დიდი წარმატებები ხვდა წილად. დუეტში მისი მეწყვილეები იყვნენ — მანუელა მალეევა, ნატალია ზვერევა, ევგენია მანიუკოვა. ლეილა ელოდა კიდეც ზვერევას და უნდოდა, გამოსათხოვარი მატჩიც ემათაშა, მაგრამ ნატაშა თბილისში საპატიო მიზეზის გამო ვერ ჩამოვიდა. აი, ევგენია მანიუკოვა კი თბილისშია და ლეილას საზეიმო გაცილებასაც დაესწრება.

ჩოგბურთელები დიდხანს არიან ერთად — ტურნირიდან ტურნირზე გადადიან და მათ შორის მეგობრობაც იბადება.

*„მე უფრო ვმეგობრობდი არანჩა სანჩესთან, კონჩიტა მარტინესთან, გაბრიელა საბატინისთან, დებ მალეევებთან. ისინიც ჩემსავით სამხრეთელები არიან და უფრო გახსნილები. თუმა, განსაკუთრებით ახლობელი ჩემთვის იანა ნოვოტნაა. აი, შტეფი გრაფი კი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, უფრო ჩაკეტილია".*

ამდენი მოგზაურობიდან, ალბათ, ბევრია სამახსოვრო ჩოგბურთის გარდა...

*„თითქმის არა. როცა პროფესიულ სპორტში ხარ, სხვა რამისთვის არანაირი დრო არ გრჩება. მით უმეტეს, მე ძალზე სტაბილურად ვთამაშობდი და ორ-სამ წრეს ყოველთვის გავდიოდი. ამიტომ ტურნირისგან თავისუფალი დრო არც მრჩებოდა".*

მართალია, ისე არა, როგორც ადრე, მაგრამ უიმბლდონი მაინც ყველაზე პრესტიჟულ ტურნირად ითვლება. ამიტომ ლეილას ყოველთვის განსაკუთრებულად ვგულშემატკივრობდით ლონდონში. მისი იქ გამოსვლები კი ვერ იყო ისე წარმატებული, როგორიც სხვაგან.

*„რატომღაც ასეთი აზრი გავრცელდა, რომ მე უიმბლდონზე თამაში არ მიყვარდა. მსგავსი არაფერი ყოფილა. ბოლოს და ბოლოს, ჩემი კარიერის დასაწყისში სწორედ უიმბლდონის ფინალში გავედი 18 წლამდე მოთამაშეთა შორის. უბრალოდ, უიმბლდონზე ბედი არ მწყალობდა. თავად განსაჯეთ, ერთ წელს, როდესაც მეთორმეტე ვიყავი, ვერ წავედი. მეორე წელს პირველივე შეხვედრაში სანჩესთან მოვხვდი, შემდეგ წელს მალეევასთან, კიდევ ერთი წლის შემდეგ სუკოვასთან, რომელიც ბალახზე თამაშის დიდი ოსტატია. უიმბლდონზე ჩემი ბოლო მეტოქე კი ჰოლანდიელი ბრენდა შულცი იყო, რომელიც ასევე კარგად თამაშობს ბალახზე. მოკლედ, უიმბლდონზე არ გამიმართლა."*

ლეილამ ახლა ცხოვრების წესი უნდა შეიცვალოს. დამთავრდა მომთაბარე ცხოვრება, როცა ყოველ კვირა ქალაქს ქალაქი ცვლიდა, ქვეყანას — ქვეყანა. მაგრამ ყოველგვარ ცხოვრებას ხომ თავისი ხიბლი აქვს.

*„მართალი გითხრათ, გული არ მწყდება. დავიღალე კიდეც ამდენი მოგზაურობით, შინ და ჩემს ქალაქში მომენატრა ჩვეულებრივი ცხოვრება. თან ჩოგბურთთან გამოთხოვებას უკვე კარგა ხანია, შევეგუე. არ ვაპირებდი, მაგრამ მერე ფეხმა შემაწუხა. მეგონა, მალე მოვმუშავდებოდი, მაგრამ ტკივილმა არა და არ გამიარა. სხვათა შორის, მაშინ ძალიან მტკივნეულად განვიცადე ის ამბავი, რომ არც ერთი ჟურნალისტი არ მოსულა ჩემთან, არავის უკითხავს, ლეილა, რატომ არ თამაშობო. ასე რომ, უკვე ერთი წელია, რაც დიდი ჩოგბურთის გარეშე ვცხოვრობ. ახლა მხოლოდ ოფიციალურად გამოვემშვიდობები".*

*— ლეილამ დიდი გზა განვლო სპორტში, — ამბობს მეუღლე, მისი ყველა წამოწყების თანამოზიარე და აღმსრულებელი, — ზოგჯერ მეცოდებოდა კიდეც იმის გამო, რომ ვხედავდი, რამდენი ჯაფა და გარჯა სჭირდება მსოფლიოს საუკეთესოთა შორის ყოფნას. დაუფასდა კიდეც, საკმაოდ ბევრს მიაღწია. ახლა ჩვენ უკვე სხვა საქმიანობით ვართ დაკავებული — გვინდა, საქართველო სრულად ჩავრთოთ მსოფლიო საჩოგბურთო ცხოვრებაში და ჩვენს ახალ თაობასაც შევუქმნათ საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელი პირობები.*

მართლაც, ლეილა მხოლოდ აქტიურ ჩოგბურთს ჩამოშორდა, თუმცა, ამ ხნის განმავლობაში უსაქმოდ არ ყოფილა. მესამე წელია, რაც მან მარჯანიშვილზე მდებარე ჩოგბურთის კორტი შეიძინა და თითქმის დანგრევამდე მისული შენობა მშვენიერ, თანამედროვე საჩოგბურთო ცენტრად აქცია. აქ ერთობ დიდია პავლეს ღვაწლი. იგი ფიზიკურ სამუშაოსაც არ თაკილობს, არ ერიდება, საკუთარი ხელითაც აკეთებს ბევრ რამეს, რათა კორტები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გამოიყურებოდეს. საქართველოს მასშტაბით ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე მრავალი ტურნირი ჩატარდა. წელს კი დევისის თასის შეხვედრებიც გამართა ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა სლოვენიის და ნიგერიის გუნდებთან. უცხოელი სტუმრები და სპეციალისტები აღფრთოვანებულნი დარჩნენ ამ მატჩების ორგანიზაციით. ახლა ლეილამ ახალ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი — თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირს, რომელიც, მისი აზრით, ტრადიციული უნდა გახდეს და ღირსეული ადგილიც დაიმკვიდროს მსოფლიო ჩოგბურთის კალენდარში. ასეთ ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ ეტაპზე მარტო სპორტული მნიშვნელობა არა აქვს — ქალაქს სიცოცხლე ემატება, სხვაგვარად უცქერიან მას საერთაშორისო დონეზე და ჩვენც თანდათან ვიკავებთ ჩვენს კუთვნილ ადგილს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს შორის. ამავე დროს ლეილას ნაბიჯს ბევრი სასიკეთო მოჰყვა — მრავალი ადამიანი დასაქმდა, ზოგი ნიჭიერი სპორტსმენი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პერსპექტივას ვერ ხედავდა დაოსტატებისთვის, [illegible] ჩოგბურთისკენ [illegible]რუნდა. თბილისელებისთვის კი გამოჩნდა ადგილი, სადაც შეიძლება დასვენება და სპორტული სანახაობით ტკბობა.

*— ეს ზღვაში წვეთია, — მეუბნება პავლე, — იმ გეგმებთან, რომლებიც დავისახეთ. გვინდა, ავაშენოთ სასტუმრო ჩოგბურთელებისთვის, დავაარსოთ სკოლა-ინტერნატი და აკადემია გადავაქციოთ ნიკი ბოლეტიერის დონის საჩოგბურთო ცენტრად, სადაც უცხოელი სპორტსმენებიც ინატრებენ მოხვედრას. ჩვენ გვჯერა, რომ ამას გავაკეთებთ, რადგან, რასაც ხელი მოვკიდეთ, ჯერჯერობით ყველაფერს მივაღწიეთ.*

ამაში მათ, რა თქმა უნდა, დახმარებაც სჭირდებათ. ლეილა და პავლე ძალიან მადლობელნი არიან იმ ხალხის, ვინც ხედავს, რა საქმეს არიან შეჭიდებულნი და მხარში უდგანან.

*„თბილისში ქალთა საერთაშორისო ტურნირის ჩატარება სწორედ მათი შემწეობით გახდა შესაძლებელი. უპირველესად მადლობა მინდა გადავუხადო ძირითად სპონსორს, „ქართუს" და თითოეულ მათგანს, ვინც დაგვეხმარა, გაგვიგო. ესენია: „სტიმოროლი", „ბრიტიშ ეირვეიზი", „კასტროლი", „ვენვეს-სთაილი", JWS, თბილისის „დინამოს" კლუბი, „აიეტი TV", „უნივერსალი", „მეტეხი", რესტორანი „ბერიკონი", და ჩვენი ერთგული პარტნიორები — „მეგაკომი", "მილაინი" და „BMV-ასტრა-დილომი".*

მართლაც, რა სჯობია იმას, როცა კარგი საქმისთვის თანამოაზრეებიც გაგიჩნდება. არადა, რამდენმა შეძლებულმა ადამიანმა არ იცის, რაში დააბანდოს კაპიტალი. ლეილა მესხმა თავისი ნიჭით და შრომისმოყვარეობით საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლებისას მილიონი დოლარი მიიღო და ამ თანხას ისეთ საქმეს ახმარს, რომელიც ქვეყანასაც წაადგება, ხალხსაც და საკუთარ სულიერ და მატერიალურ სურვილებსაც დაიკმაყოფილებს.

და კიდევ ერთი, ყველაზე მთავარი. ლეილას და პავლეს ოჯახში წელიწადი და ოთხი თვეა, ახალი წევრია — პატარა ლიზიკო. მან ჯერ არ იცის, რა სახელოვანი დედა ჰყავს, არ იცის, როგორ წარიმართება მისი ცხოვრების გზა, მაგრამ მშობლებს დიდ იმედებს უსახავს.

*— შეიძლება გვეგონოთ, რომ ვაჭარბებ, — ამბობს პავლე — მაგრამ ისეთ მოქნილობას ამჟღავნებს მის ასაკში, ყველა განცვიფრებულია.*

მშობლებს პატარა ლიზიკო უკვე სახელოვან ჩოგბურთელად წარმოუდგენიათ და მის ამგვარ კარიერაში თითქმის ეჭვიც არ ეპარებათ. ამას, ალბათ, რეალური საფუძველი აქვს — იმ საჩოგბურთო ატმოსფეროში, რომელშიც ლიზიკო იქნება, რა თქმა უნდა, ძალზე ადვილი მოსალოდნელია, მან ჩოგბურთელის გზა აირჩიოს.

... ლეილა მესხი ამთავრება თავის საჩოგბურთო კარიერას, მაგრამ არა თავის გზას დიდ ჩოგბურთში.. თავისი ახალი საქმიანობით, ეჭვი არ არის, შეიძენს იმ მასშტაბებს, რომლითაც სპორტის ამ სახეობის მომავალ ვარსკვლავთათვის მისი სახელი ისეთივე ახლობელი იქნება, როგორიც მისი თაობის ჩოგბურთელთათვის იყო მთელს მსოფლიოში.



[illegible] ფოტო

ლეილა მესხი და მისი მეუღლე პაველ ნადიბაიძე

**ილია მხეიძე**

# ტაშს მარტო გრძელ ფეხებს არ უკრავენ
## წაგებულები ზღვაზე მიდიან


მაკა ჩახნაშვილი

„ქართუ" თბილისის ღია პირველობა ქალთა შორის

**ერთეულები. მერვედფინალი. ვერა ჟუკოვეცი (ბელარუსი) — ლილია ბიქტიაკოვა (უზბეკეთი) 6:3, 6:3, ოლგა ტეპლინსკაია (უკრაინა) — ირინა კომაროვა (რუსეთი) 6:3, 6:3, სოფიკო მანაგაძე (საქართველო) — მარია ბობოედოვა (რუსეთი) 6:3, 6:3, ნადია პეტროვა (რუსეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 7;6, 4:6, 7:5, მარგალიტა ჩახნაშვილი (საქართველო) — იულია კრიუკოვა (რუსეთი) 6:4, 6:1, სილვია რინარჟევსკა (პოლონეთი) — თინათინ თურმანიძე (საქართველო) 6:1, 6:2, ანასტასია მისკინა (რუსეთი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:3, 6:3, ანა ზაპოროჟანოვა (უკრაინა) — ალა გონჩარენკო (უკრაინა) 6:0, 6:1.**

**მეოთხედფინალი. ჟუკოვეცი — ტეპლინსკაია 6:2, 3:6, 6:4. პეტროვა — მანაგაძე 6:1, 6:0, ჩახნაშვილი — რინარჟევსკა 6:2, 6:0, ზაპოროჟანოვა — მისკინა 7:6, 6:4.**

**წყვილები. მერვედფინალი. სონა სარინგულიანი (სომხეთი), ოლგა ტეპლინსკაია — ალა გონჩარენკო, ქსენია ორეხოვა (უკრაინა) 7:5, 6:0, მანაგაძე, კრიუკოვა — ოქსანა მელნიჩენკო, ნატალია რომანინა (ორივე რუსეთი) 6:4, 4:6, 7:5. ჟუკოვეცი, ზაპოროჟანოვასა და პეტროვა — კომაროვას დუეტი მეოთხედფინალში უბრძოლველად გავიდნენ.**

**მეოთხედფინალი. ზაპოროჟანოვა, ჟუკოვეცი — კომაროვა, პეტროვა 6:4, 7:5, მანაგაძე, კრიუკოვა — თუხარელი, ჟვანია 6:2, 5:7, 6:2, დემენტიევა, მისკინა — სარინგულიანი, ტეპლინსკაია. 5:7, 6:0, 6:1, კაკულია, ბობოედოვა — დოლიძე, ნოსენკო 3:6, 7:6, 7:5.**

ერთეულთა მერვედფინალური შეხვედრების უმეტესობა ორ ხელში დამთავრდა. წარმატებით გაიარეს ეს ეტაპი ჩვენმა ჩოგბურთელებმა — სოფიკო მანაგაძემ და მაკა ჩახნაშვილმა. მანაგაძეს ბობოედოვასთან ძნელ მატჩს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სოფიკომ მეტოქეს ორ ხელში მალევე გადაუწურა იმედი. არც მაკამ დაუტოვა შანსი რუს კრიუკოვას.

ერთადერთი მატჩი, რომელსაც სამი სეტი დასჭირდა, პეტროვასა და დემენტიევას შორის გაიმართა. რუსი ჩოგბურთის ეს ორი იმედი (როგორც მათმა მწვრთნელებმა გვითხრეს) შეუპოვრად შეება ერთმანეთს. ერთიც და მეორეც 180 სმ-ზე მაღალია, თუ დემენტიევა უფრო მრავალფეროვან ჩოგბურთს თამაშობს, პეტროვას სისწრაფეში აქვს უპირატესობა. პირველი სეტი დემენტიევამ ტაი-ბრეიკზე დათმო, მეორეში კი სწრაფად მოიგო მეტოქის მოწოდება და შემდეგ აღარც გაუშვა ინიციატივა. მესამე ხელი უაღრესად დაძაბული იყო. წინ დემენტიევა იყო — 5:3, მაგრამ 40:15-ზე პეტროვამ ყველა ბურთისთვის თავდაუზოგავად იბრძოლა, გეიმი გადაარჩინა და მატჩიც მოიგო . ამ შეხვედრამ ოთხსაათნახევარს (!) გასტანა. ამიტომ გასაკვირი იყო, რომ მეორე დღეს, პეტროვა — მანაგაძის შეხვედრაში რუსს არც კი ეტყობოდა დაღლა. სოფიკომ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს, ორ ხელში მხოლოდ ერთი გეიმი მოიგო და დამარცხდა.

მანაგაძის დამარცხების შემდეგ ჩვენს იმედად ერთეულებში მხოლოდ მაკა ჩახნაშვილი დარჩა და მანაც არ გააწბილა ქომაგები. პოლონელ რინარჟევსკასთან ჩახნაშვილმა ჩინებული ჩოგბურთი აჩვენა, ძლიერი და მოჭრილი დარტყმებითა და შესანიშნავი კომბინაციებით მოხიბლა მაყურებელი და ძალზე ლამაზად, ორ სეტში გაიმარჯვა.

ძალზე საინტერესოდ იპაექრეს ზაპოროჟანოვამ და მისკინამ. პირველ ხელში მისკინა რამდენჯერმე დაწინაურდა, მაგრამ უკრაინელმა შეძლო, ტაი-ბრეიკამდე მიეყვანა სეტი და შემდეგ გაიმარჯვა კიდეც. მეორეში კი თავიდანვე მოიპოვა ინიციატივა და თუმცა მისკინა ყოველ გეიმში დიდ ბრძოლას უმართავდა, ეს ხელიც მოიგო.

ჟუკოვეცისა და ტეპლინსკაის მატჩში ფავორიტად ჟუკოვეცი ითვლებოდა, მაგრამ იგი ისე ღელავდა, მატჩის ბედი ბეწვზე ეკიდა. მხოლოდ მესამე სეტის ბოლოს შეძლო მობილიზება და ნახევარფინალში გავიდა.

ძალზე დაძაბული იყო წყვილთა მეოთხედფინალები. მხიარულმა დუეტმა ნატო დოლიძისა და ირინა ნოსენკოს შემადგენლობით დიდი ჯაფა დააყენა ირინა კაკულიასა და მარია ბობოედოვას. პირველი ხელი დოლიძემ და ნოსენკომ 6:3 მოიგეს. მეორე სეტში ბობოედოვამ და კაკულიამ 5:3-ზე ორი მატჩბოლი გაუშვეს ხელიდან და ახლა უკვე ქართულ-უკრაინული დუეტი დაწინაურდა. მაგრამ ბობოედოვამ და კაკულიამ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ, ტაი-ბრეიკზე გაიმარჯვეს კიდეც. ასევე უშელავათო იყო მესამე სეტი და მხოლოდ ძალების უკიდურესი დაძაბვით გამოგლიჯეს მეტოქეებს გამარჯვება ბობოედოვამ და კაკულიამ.

მანაგაძე -კრიუკოვას წყვილი ფავორიტი იყო თუხარელი — ჟვანიასთან შეხვედრაში. პირველი სეტი მათ ადვილად მოიგეს, მაგრამ მეორეში ვერიკომ და ეკამ ჩინებულად ითამაშეს და მატჩის ბოლოს თუხარელის მშვენიერმა გასვლებმა ბადესთან სეტი მათ სასარგებლოდ დაამთავრა. თუმცა, მანაგაძე და კრიუკოვა მალე მოეგნენ გონს და ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვეს.

სარინგულიანი — ტეპლინსკაის მატჩში დემენტიევა — მისკინასთან რუსების ადვილი გამარჯვება იყო მოსალოდნელი, მაგრამ პირველ სეტში სომეხის და უკრაინელის დუეტმა ჩინებულად ითამაშა, ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ ბობოედოვას მოწოდებაზე და გამარჯვებამდე მიიყვანეს ხელი. ამან რუსები გააღიზიანა, მათ ზედიზედ 9 გეიმი მოიგეს მშრალად და მაყურებელთა ტაშიც დამსახურებულად ირგუნეს. „გრძელ ფეხებს უკრავენ ტაშსო" — სინანულით თქვა სარინგულიანმა, მაგრამ ასე არ იყო — მისკინამ და დემენტიევამ მართლაც შესანიშნავი თამაში აჩვენეს. საბოლოოდ ანგარიში — 5:7, 6:0, 6:1 ამის დასტურია.

ზაპოროჟანოვა — ჟუკოვეცის დუეტი პეტროვა — კომაროვას შეხვდა. ამ ოთხი მოთამაშიდან მხოლოდ კომაროვა ვერ მოხვდა ერთეულთა ნახევარფინალში. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ძალთა თანაფარდობაზე. პეტროვა ბევრს ეცადა, მაგრამ ზაპოროჟანოვასა და ჟუკოვეცის წყვილი უფრო მაღალი კლასისა იყო და მართალია, ძნელად, მაგრამ მაინც, ორ ხელში გაიმარჯვა.

თბილისის ღია ტურნირი დასასრულს უახლოვდება. დამარცხებული ჩოგბურთელები უკვე აიბარგნენ და ბათუმში გაემგზავრნენ, სადაც კიდევ ერთ სატელიტურ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ნახევარფინალში გასულები კი მათ გვიან შეუერთდებიან.

დღეს, 4 ოქტომბერს ერთეულთა თანრიგში ერთმანეთს შეხვდებიან: ვერა ჟუკოვეცი (ბელარუსი) — ნადია პეტროვა (რუსეთი), მარგალიტა ჩახნაშვილი (საქართველო) — ანა ზაპოროჟანოვა (უკრაინა).

**წყვილთა ნახევარფინალები: ზაპოროჟანოვა (უკრაინა), ჟუკოვეცი (ბელარუსი) — მანაგაძე (საქართველო), კრიუკოვა (რუსეთი), დემენტიევა, მისკინა (ორივე რუსეთი) — ბობოედოვა (რუსეთი), კაკულია (საქართველო).**

**კოტე მგალობლიშვილი**

# რუზედსკი ტყავს იცვლის

ბაზელი. შვეიცარია. „დავიდოვის" ღია პირველობა. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარი.

პირველი წრის ყველაზე დაძაბული შეხვედრა ინგლისელი გრეგ რუზედსკისა და გერმანელი დევიდ პრინოშილის მატჩი გამოდგა. რუზედსკი ოქტომბრის დამდეგს დაშორდა თავის ძველ მწვრთნელს


გრეგ რუზედსკი

ბრაიან თიჩერს, რომელმაც გრეგი მსოფლიოში 84-დან აღაზევა საუკეთესოთა ათეულში. მათი სიტყვიერი შეთანხმება ძალაში სექტემბრის ბოლომდე რჩებოდა და რუზედსკიმ მისი გაგრძელება აღარ ისურვა. მისი ახალი მწვრთნელი ინგლისის დევისის თასის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, დიდი სლემის ტურნირებზე სტეფან ედბერგის ექვსი გამარჯვების სულისჩამდგმელი ტონი პიკარდი იქნება. მსოფლიოში უძლიერესი მოწოდების პატრონმა რუზედსკიმ თუ ბადესთან და უკანა ხაზზე ედბერგისთანა თამაში ისწავლა, მტრისას... ჯერჯერობით კი გრეგი ფონს მაინც მოწოდებებით გადის, თუმცა, ხშირი ორმაგი შეცდომებისა და პირველი მოწოდების დაბალი პროცენტის გამო არაფრით გამორჩეულ გერმანელს პირველი სეტიც გადაულოცა და მეორეშიც გვარიანად გამწარდა. მესამე ხელში კი 4:4-ზე პრინოშილს ბოძებული ბრეიკ-პოინტებიდან ერთიც რომ გამოეყენებინა, ბაზელს კიდევ ერთი ფავორიტი გამოაკლდებოდა. თუმცა, რუზედსკი ამჯერად გადარჩა — 4:6, 6:4, 7:5. ესპანელი ალბერტ კოსტა წლის დასაწყისში საუკეთესოთა ათეულში შედიოდა, ბაზელშიც მერვედ იყო განთესილი, მაგრამ ამ დონის ჩოგბურთელისთვის ერთი სამარცხვინო ლაქა კვლავ შერჩა — დარბაზში არც ერთი მატჩი არა აქვს მოგებული. ესპანელს შვეიცარიაში წილისყრაშიც არ გაუმართლა — კომპლექსების დასაძლევად პირველი წრის მეტოქე, მარკ ფილიპუსისი ნამდვილად არ იყო საუკეთესო კანდიდატი. პირველ სეტში კოსტამ მაინც რიგიანად ითამაშა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე „სკადმა" რამდენიმე შესანიშნავი ბექჰენდი ჩააგდო, მეორე სეტში კი მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა — 7:6, (7:3), 6:3. ამერიკელმა ჯეფ ტარანგომ ბაზელში ჩასვლაზე მას მერე განაცხადა თანხმობა, რაც მთავარი მსაჯის — ბრუნო რებიუს გაწვევას დაჰპირდნენ. ორი წლის წინ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ტარანგო უიმბლდონის მესამე წრეში ამ მსაჯს მივარდა, ლანძღა-გინება არ დააკლო და მოსყიდული ღორი უწოდა, რისთვისაც შარშანდელ უიმბლდონში გამოსვლას ვერ ეღირსა, თან გვარიანი ჯარიმაც გადაიხადა. ამ ორს შორის უთანხმოება ჯერაც არ მოგვარებულა, ამიტომ მსაჯის სამსახურს ტურნირის ორგანიზატორებმა შერეკილი ამერიკელის ყოფნა არჩიეს. პირველ წრეში ტარანგომ ყოველგვარი აყალ-მაყალის გარეშე სძლია საკმაოდ ძლიერ ჰოლანდიელ იან სიმერინკს — 7:6 (7:4), 6:2.

**პირველი წრე: იონას ბიორკმანი (5, შვედეთი) — არნო ბიოჩი (საფრანგეთი) 6:2, 6:3; ტომას ენკვისტი (6, შვედეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3, 3:6, 6:1; პეტერ კორდა (7, ჩეხეთი) — ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) 6:1, 6:4; ივო იუბერგერი (შვეიცარია) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (7:4), 7:5.**

მეორე წრის ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი ტურნირზე პიტ სამპრასის ნაცვლად დაშვებული ლიონელ რუ გახდა, რომელმაც მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი, ესპანელი კარლოს მოია დაამარცხა — 6:3, 3:6, 7:6 (7:4). მატჩის შემდეგ კლასიფიკაციაში 75-ე ფრანგმა თქვა, მოიას შიში სულაც არ მქონდა, რადგან დარბაზში კარგად ვთამაშობ, თანაც სამპრასის ტრავმამ რომ ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობა მომცა, ძალზე გახარებული ვიყავიო. გრეგ რუზედსკიმ ბაზელს ერთადერთი შემორჩენილი ყოფილი ჩემპიონი — სამხრეთაფრიკელი ვეინ ფერერა მოაკლო 6:3, 7:6 (7:2). ინგლისელს მეტოქესთან ძველი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი: წლეულს უიმბლდონის წინ ფერერას უთქვამს, რუზედსკიმ იცის მოწოდება, მაგრამ მეტი არაფერიო. უკანასკნელ ხანებში სუსტად მოასპარეზე სამხრეთაფრიკელს ამ დღეს ის ერთადერთი მოწოდებაც კი არ უვარგოდა, თამაშის სხვა კომპონენტებზე რომ არაფერი ვთქვათ. მაგრამ მეორე სეტში ტაი-ბრეიკამდე [illegible] იცნ მოახერხა. ტურნირის პირველ განთესილს, რუს ევგენია კაფელნიკოვს მსოფლიოს 198-ე ჩოგან, შვეიცარიელ ივო იუბერგერთან თამაში საკმაოდ გაუჭირდა. 21 წლის შვეიცარიელი მთელი მატჩის განმავლობაში კარგად აწოდებდა და რუსისავე თქმით, ერთ ხანს ჟენია ძალზე ანერვიულა. მესამე სეტში ჟენიამ ერთ-ერთ გვერდითა მსაჯს ქუდი თვალებამდე ჩამოაფხატა, აუტებს ჩავარდნილად რაზე თვლიო, თუმცა, ბოლო ხელში მაინც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა — 6:3, 4:6, 6:3. სამაგიეროდ, მეორე 21 წლის ჩოგბურთელმა, ნიჭიერმა შვედმა მაგნუს ნორმანმა მეხუთედ განთესილ თანამემამულე იონას ბიორკმანს შავი დღე აყარა — 6:1, 6:4.

**მეორე წრე: ტომას ენკვისტი — ჯეფ ტარანგო 7:5, 7:5; პეტერ კორდა — კრის ვუდრაფი (აშშ) 7:5, 6:4; ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:4, 6:1; მარკ ფილიპუსისი — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:3.**

* * *

ამ უქმეებზე ქალები დევისის თასის თავიანთი ვარიანტის — ფედერაციის თასის ფინალში გაარკვევენ მსოფლიოს უძლიერესი ნაკრების ვინაობას. ერთმანეთს ჰოლანდიისა და საფრანგეთის გუნდები


ლიონელ რუ

ხვდებიან. მასპინძლები — ჰოლანდიელები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებენ — ერთეულებში ბრენდა შულც-მაკარტი და მირიამ ორემანსი, წყვილებში ორემანს — მანონ ბოლეგრაფი. ფრანგები ერთეულებში სავარაუდოდ მარი პირსსა და სანდრინ ტესტიუს ათამაშებენ. მათ კაპიტან იანიკ ნოას გუნდში ასევე ჰყავს ნატალი ტოზია და ალესანდრა ფუზაი.

# ბუტე, ბუტე...



ბოლო ათწლეულის ორ საუკეთესო გერმანელ ჩოგბურთელს — ბორის ბეკერსა და მიხაელ შტიხს ერთმანეთი გულზე არასდროს ეხატებოდათ და ამის მიჩქმალვას მაინცდამაინც არც ცდილობდნენ. სპორტულ პაექრობაში შტიხი ბეკერს ყოველთვის ჩამორჩებოდა, თანამემამულენიც ამ უკანასკნელს აფასებდნენ უფრო მეტად, თუმცა, სახელოვანი კოლეგისთვის დღის ჩამწარება რამდენჯერმე მიხაელსაც მოუხერხებია, ერთხელ — 1991 წელს — უიმბლდონის ფინალშიც კი. წლევანდელი უიმბლდონის ტურნირის მერე შტიხმა ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა, მაგრამ ბეკერთან დაპირისპირებას ვერც კორტს გარეთ ასცდა. საქმე ისაა, რომ მიხაელმა გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციას დევისის თასის გუნდის კაპიტნობაზე საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა, მათ კი ახლანდელი კაპიტნის — ნიკი პილიჩის შემცვლელად ბორის ბეკერი ესახებათ და შტიხს განუცხადეს, რომ ამ მომენტისთვის მასთან თანამშრომლობა მიზანშეუწონლად მიაჩნიათ. განაწყენებულ მიხაელის თქმით, იგი აღარასოდეს დაიჭერს საქმეს ფედერაციასთან, მუდმივ მეტოქესთან ანგარიშის გასწორებას კი სხვა ფრონტზე შეეცდება. მიუნხენში „დიდი სლემის თასის" გათამაშების წინ გერმანიაში ბორის ბეკერის შესახებ წიგნი გამოვიდა, სახელწოდებით — „ბეკერი. უპირატესობა", რომელშიც ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად მის შესახებ მეტოქეების შეხედულებებიც შევიდა. „ტკბილი სიტყვა" წიგნის გმირისთვის შტიხმაც არ დაინანა: „ბორისს არასოდეს შეეძლო ღირსეული მეტოქის ატანა თავის გვერდით, იგი სხვა გერმანელ ჩოგბურთელებს არად აგდებდა. როცა 1991 წლის უიმბლდონის ფინალში მოვუგე, პრესკონფერენციაზე ისე იქცეოდა, თითქოს ეს მისთვის არაფერს ნიშნავდა, არადა, ის მარცხი მის კარიერაში, შეიძლება, ყველაზე მტკივნეულიც იყო — ჟურნალისტებს სასმელებს სთავაზობდა, ბევრს ლაყბობდა, ეტყობა, უნდოდა, მთელი ყურადღება თვითონ მიეპყრო. მაშინ არაფერი მითქვამს, ახლა კი, ასე რომ მოიქცეს, ოთახიდან გავაგდებ". ბეკერმა და შტიხმა 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადაზე წყვილებში ოქროს მედალი მოიგეს, მაგრამ ამ უკანასკნელს მაშინდელი წყენაც ახსოვს: „ოლიმპიურ სოფელში ვცხოვრობდით, მეგონა, ბორისთან ნორმალურ ურთიერთობას დავამყარებდი, ის კი ორი დღის შემდეგ სასტუმროში გადავიდა. ამით იმის ხაზგასმა სურდა, რომ ის განსაკუთრებულია და სხვას არ ჰგავს. ტურნირის დამთავრებამდე ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ კორტსგარეთ ორი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის".

თავად ბეკერმა მორიგი დაპირისპირებისთვის თავის არიდება და მეტოქის შურნარევ გამოთქმებზე მოკლე კომენტარი გააკეთა, ყველა ადამიანს აქვს უფლება, არ მოვწონდეო. რაც შეეხება თავად წიგნს, იგი დაწერილია გერმანელი ჟურნალისტის მიერ და იგი რობერტ ლოიბენოფის ბეკერს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად მიიჩნევს. თავად ბეკერმა ამ ტიტულზე უარი განაცხადა: „ზოგჯერ კარგად გამომდიოდა თამაში და საუკეთესოებსაც ვუგებდი ხოლმე, მაგრამ ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად მე პიტ სამპრასს დავასახელებდი".

* * *

წმინდა ეროვნული შუღლის გარდა ამ ბოლო ხანებში ვაჟთა ჩოგბურთში ინტერნაციონალური უბრობაც შეინიშნება. ავსტრალიელ პატრიკ რაფტერს თავისი მთავარი მეტოქე — პიტ სამპრასი თურმე მაინცდამაინც არ ეპიტნავება, რაც გასაკვირი სულაც არ არის — მარტო წლეულს პიტთან ოთხი შეხვედრა წააგო. „ჩვენ ნამდვილად არა ვართ საუკეთესო მეგობრები. მე მასთან ლუდის დასალევად არ წავიდოდი". რაფტერი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რატომ მაინცდამაინც ლუდს არ დალევდა მეტოქესთან ერთად, თუმცა, ის მაინც გაუმხილა ჟურნალისტებს, რომ დაძაბულობა მათ შორის წლეულს „ქვინზის" ტურნირის მერე შეიმჩნევა, მას შემდეგ კი, რაც მსოფლიოს მესამე ჩოგანი გახდა და პირველობაზე პრეტენზიები გამოთქვა, ეს დაძაბულობა კიდევ უფრო გაღრმავდა. „როცა ვუყურებ, როგორ მოძრაობს კორტზე, როგორ ურტყამს ბურთს, კიდევ უფრო დიდი სურვილი მიჩნდება, მოვუგო. თუმცა, ახლა იგი აშკარად მსოფლიოს პირველი ჩოგანია და ყველას ერთი თავით გვჯობს" — თქვა რაფტერმა. თავად სამპრასმა მეტოქის გამონათქვამზე კომენტარს თავი აარიდა, თუმცა, ის კი აღიარა, რომ რაც რაფტერმა ამერიკის ღია პირველობა მოიგო და ტიტული წაართვა, მის წინააღმდეგ წარმატებით თამაშს განსაკუთრებით ცდილობს.

**ავთანდილ სვანიძე**

ჰოკეი

# 81-ე უსენსაციოდ დაიწყო

**1 ოქტომბერი. პიტსბურგი — ლოს ანჯელესი 3:3, მონრეალი — ოტავა 2:2, ფილადელფია — ფლორიდა 3:1, ტამპა — კაროლინა 4:2, ტორონტო — ვაშინგტონი 1:4, სენტ ლუისი — ბუფალო 1:3, კოლორადო — დალასი 2:2, კალგარი — დეტროიტი 1:3, ფინიქსი — ჩიკაგო 6:2, სან ხოსე — ედმონტონი 3:5.**

**2 ოქტომბერი. ბოსტონი — ლოს ანჯელესი 6:5**

ოთხშაბათს გამართულ ათი მატჩით დაიწყო ნჰლ-ის მორიგი, 81-ე რეგულარული ჩემპიონატი.

სტენლის თასის მფლობელმა დეტროიტმა მოგებით დაიწყო სეზონი. რიცხვმრავლობაში კარგი თამაშის წყალობით პირველ ორ პერიოდში ბრაუნმა და შენაჰანმა თითოჯერ იხეირეს, მაგრამ შარშანდელ ჩემპიონთა გამარჯვება გოლკიპერ ოზგუდის დამსახურებაც იყო (25 მოგერიება). ოზგუდისთვის, რომელიც წელს, ალბათ, კლუბის პირველი გოლკიპერის ადგილს დაიჭერს, ეს გამარჯვება მე-100 იყო ნჰლ-ში. რაც შეეხება დეტროიტის ლიდერ ფიოდოროვს, მას არ უთამაშია.

დღის ცენტრალურ ორთაბრძოლაში კი დასავლეთის შარშანდელი პირველი და მეორეადგილოსანი კოლორადო და დალასი შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი მეტად ლამაზი და უშელავათო იყო, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს. პირველ პერიოდში დალასი დაწინაურდა — კლუბის საუკეთესო სნაიპერ მოდანოს კარგად გადასცა ჩინებულ ფორმაში მყოფმა ნუინდაიკმა. აღნიშვნის ღირსია, რომ ეს უკანასკნელი 10 (5+5) ქულით „საგამოფენო“ მატჩების საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მეორე პერიოდის 26-ე წამზე კამენსკიმ თავისი მუდმივი პარტნიორების — ფორსბერგის და კლოდ ლემიეს შეტევა დაასრულა, შემდეგ კი გუნდებმა გოლები გაცვალეს. თანაც დალასელმა ადამსმა მასპინძელთა კაპიტნის ჯო საკიკის შეცდომა გამოიყენა.

ფილადელფიისა და ფლორიდის ბოლოდროინდელმა ქიშპობამ ამ მატჩშიც იჩინა თავი. ამჯერად ყურადღება არა კლუბის მესვეურებთან მოკამათე ლინდროსმა და ლეკლერმა მიიპყრეს, არამედ ფილადელფიის ახალმა იმედმა, ტამპადან გადასულმა კრის გრეტონმა. იგი მწვრთნელებმა მეორე სამეულში დააყენეს ჩეხ პროსპალთან და ფალუნთან ერთად და სწორედ ამ ტრიომ გადაწყვიტა მატჩის ბედი. მე-11 წუთზე გრეტონმა გახსნა ანგარიში, ხოლო მას შემდეგ, რაც ფლორიდელმა ნიდერმაიერმა გაათანაბრა, სამეულის ბრწყინვალე კომბინაცია ფალუნმა დაასრულა.

საკმაოდ აქტიურად დაიწყეს სეზონი კლუბგამოცვლილმა ჰოკეისტებმა. მცველმა კრავჩუკმა, რომელიც ოტავაში სენტ ლუისიდან დიუშენის ნაცვლად გადავიდა, „სენატორთა“ ორივე საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა, თანაც უმცირესობაში გაიტანა გოლი, რომელმაც ანგარიში საბოლოოდ გაათანაბრა. მონრეალელთაგან ორივე შაიბა სტეფან რიშემ შეაგდო.

არც შვედმა მიქაელმ რენბერგმა შეირცხვინა თავი ახალ კლუბ ტამპაში. მან პირველსავე მატჩში დუბლი გააკეთა და დაამტკიცა, რომ ფილადელფიის ცნობილ „დუმის“ ლეგიონში თამაშს მისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. სხვათა შორის, რენბერგი საკონტროლო მატჩებშიც კარგად გამოიყურებოდა და „რეინჯერ“ მარკ სავართან ერთად 6 შაიბით საუკეთესო სნაიპერიც გახდა.

სენტ ლუისის ახალმოსახლე დიუშენმაც ერთი შედეგიანი პასი მიითვალა, მაგრამ „ბლუზმენებმა“ ვერაფერი მოუხერხეს ბუფალოს ორგანიზებულ დაცვას, რომელსაც ბრწყინვალედ გაუძღვა შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორი მეკარე ჰაშეკი (33 მოგერიება). დიუშენის პარტნიორმა, სლოვაკმა შატანმა 2 (1+1) ქულა დააგროვა.

ვაშინგტონის ლიდერმა ბონდრამ, როგორც იქნა, მოძებნა საერთო ენა კლუბის მესვეურებთან და მომდევნო მატჩშივე შეუერთდება გუნდს. ამასობაში პარტნიორებმა სლოვაკი გაამხნევეს და პირველსავე პერიოდში 4 შაიბა შეუგდეს შარშანდელ აუტსაიდერ ტორონტოს. გამოირჩა ვაშინგტონის ცენტრი ჯო ჟუნო (1+1), რომელმაც კომპაქტ-დისკის გამოშვებით დაასრულა თავისი მუსიკალური ექსპერიმენტები და კვლავ მიუბრუნდა ჰოკეის. ტორონტოს ერთადერთი გოლი ახალწვეულმა კოროლიოვმა გაიტანა, რომლის ახალი ნომერი 66-ია. საქმე ისაა, რომ ლემიეს წასვლის შემდეგ ვერც ერთ ჰოკეისტს ვერ გაებედა მისი დასაკუთრება.

კიდევ ერთმა შარშანდელმა აუტსაიდერმა დაიწყო სეზონი უმძიმესი 5-მატჩიანი საგარეო სერიით. პირველი შეხვედრა „მეფეებმა“ პიტსბურგში ფრედ დაამთავრეს. მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ „პინგვინების“ წამყვანმა მცველმა კევინ ჰეჩერმა რიცხვმრავლობაში გატანილი შაიბით გაათანაბრა ანგარიში. ერთ ახალბედა პიტსბურგელს, რუს ალექსეი მოროზოვს კი ნამდვილად გაუღიმა ბედმა: მას პატივი ერგო, იაგრთან და ფრენსიზთან ერთად ეთამაშა სამეულში და გოლიც გაეტანა. განთქმულმა ჩეხმა კი პირველსავე მატჩში სამი პასი გააკეთა. ლოსანჯელესელთაგან სამივე შაიბა უკვე სახელიანმა დებიუტანტებმა — გერი გელიმ (2+1) და ლუკ რობიტაილმა გაიტანეს. სხვათა შორის, ორივემ კალიფორნიულ კლუბში დაიწყო კარიერა და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქს.

მეორე შეხვედრაში კი „მეფეებს“ იღბალმა უმტყუნა. ბოსტონთან თანაბარ ბრძოლაში მათ გადამწყვეტი გოლი გაუშვეს. აქაც ახალწვეულებმა, ერთმანეთში გაცვლილმა ბოსტონელმა ხრისტიჩმა (1 გოლი) და ლოსანჯელესელმა შტუმპელმა (1+1) იხეირეს.

ედმონტონმა სამჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა, ამას არნოტის 2 გოლიც დაემატა და სან ხოსე შინ დამარცხდა. მასპინძელმა კოზლოვმა დუბლი გააკეთა. ყველაზე დამაჯერებლად ფინიქსმა იმარჯვა — მან ჩიკაგოს მოუგო, თანაც ბრწყინვალედ ითამაშა გუნდის ლიდერმა ჯერემი რენიკმა (1+2), რომელიც ჯერ კიდევ ორი წლის წინ სწორედ ჩიკაგოს ღირსებას იცავდა. ამ მატჩში მან 350-ე პასი მიითვალა, ფინიქსისა და შარშანდელი სეზონის საუკეთესო სნაიპერმა კეიტ ტკაჩუკმა (52 შაიბა) კი ვერაფრით გამოიჩინა თავი: ვერც ერთ საგოლე კომბინაციაში ვერ მიიღო მონაწილეობა და 4 საჯარიმო წუთიც დააგროვა.

**BOSTON BRUINS** (დათვები)

დაარსდა 1924 წელს. თასის 4-გზის მფლობელი (1929, 1939, 1970, 1972) და 12-გზის ფინალისტი.

შარშანდელი სეზონი ყველაზე უარესი იყო ოდესღაც ლიგის ერთ-ერთი ტიტულოვანი გუნდის ისტორიაში. „დათვები“ 25 წლის განმავლობაში პირველად დარჩნენ ფლეი-ოფის მიღმა და ჩემპიონატში უკანასკნელი, 26-ე ადგილი დაიჭირეს. თუმცა, სეზონის ბოლოს გუნდში სასიკეთო ცვლილებები მოხდა. ბოსტონი გაახალგაზრდავდა და თამაშის მანერაც შეიცვალა. თავიდან „დათვებმა“ მობერებული ვეტერანები ადამ ოუთსი, რიკ ტოკეტი და გოლკიპერი ბილ რენფორდი გაუცვალეს ვაშინგტონს და მათ ნაცვლად სამი იმედისმომცემი ჰოკეისტი მიიწვიეს, რომელთაგან ყველაზე ძვირფასი შენაძენი 1995 წლის საუკეთესო მეკარე ჯიმ კერი იყო. შემდეგ კლუბმა დრაფტზე იყოჩაღა და პერსპექტიული ახალბედები — ჯო ტორნტონი და სერგეი სამსონოვი იგდო ხელთ, რასაც სლოვაკი შტუმპელის ლოსანჯელესელ დმიტრი ხრისტიჩში გაცვლა მოჰყვა. როგორც „საგამოფენო“ მატჩებმა გვიჩვენა, ეს ჰოკეისტები კარგად მოერგნენ გუნდს და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოსტონმა მთავარი საყრდენი ძალა, მცველი რეი ბურკი შეინარჩუნა, ადვილი შესაძლებელია, წლევანდელ სეზონში „დათვები“ მაჩანჩალად აღარავინ მოიხსენიოს. საინტერესოა, როგორ იმოქმედებს გუნდზე ჯო ტორნტონის ტრავმა, მაგრამ ფაქტი ერთია: ბოსტონის ერთ-ერთი ლიდერი ჩემპიონატის დასაწყისს გამოტოვებს.

როგორც ჩანს, ბოსტონი გაცილებით აგრესიულ, ორგანიზებულ და მოწესრიგებულ გუნდად მოგვევლინება. საამისო საფუძველს ისიც იძლევა, რომ „დათვებს“ თავისი საქმის ჩინებული მცოდნე პეტ ბერნსი ჩაუდგა სათავეში. ბერნსი ორჯერ (1989 და 1993 წლებში) დაასახელეს ლიგის საუკეთესო მწვრთნელად. სწორედ მან აქცია 90-იანების დასაწყისში ტორონტო ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად.

**BUFFALO SABRES** (ხმლები)

დაარსდა 1970 წელს. 1975-ში თასის ფინალში გავიდა.

ახალი სეზონის დაწყებამდე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია კლუბში მომხდარმა სკანდალმა. ბუფალოს რამდენიმე ჰოკეისტმა გოლკიპერი ჰაშეკი დაადანაშაულა იმაში, თითქოსდა ჩემპიონატის უძვირფასესმა მოთამაშემ შეგნებულად გამოტოვა ფლეი-ოფის გადამწყვეტი მატჩები ოტავასთან. მანამდე კი თავად ჰაშეკმა კლუბის ხელმძღვანელი, შარშანდელი სეზონის საუკეთესო მწვრთნელი ტედ ნოლანი გააკრიტიკა. საბოლოოდ ეს შინაგანი კონფლიქტი ნოლანის დათხოვნით დამთავრდა. წელს ბუფალო კვლავ იქნება მკაცრი და აგრესიული სტილის ერთგული, მით უმეტეს, რომ კლუბი დატოვა კომბინაციური ყაიდის მცველმა გერი გელიმ, „ხმლების“ დიდი ხნის ლიდერმა პეტ ლაფონტენმა კი რეინჯერზში გადასვლა ამჯობინა, რაკი ტრავმის გამო წინა სეზონი გამოტოვა და შემდეგ გუნდის ტაქტიკურ სქემას ველარ მოერგო. ჯერჯერობით ვერ მოაწერა კონტრაქტს ხელი კიდევ ერთმა შემტევმა მცველმა, რუსმა ჟიტნიკმა.

ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ ზაფხულში ბუფალომ ვერც ერთი ძვირფასი მოთამაშე ვერ შეიძინა და, როგორც შარშან, „მესამე სამეულების“ გუნდად დარჩება, ესე იგი, ისეთი ჰოკეისტები იქნებიან წამყვანნი, რომლებსაც უფრო მდიდარ და სახელიან კლუბებში ადგილი არ მოეძებნათ. ალბათ, ბუფალო ვერ გაიმეორებს შარშანდელ წარმატებას — დივიზიონში პირველი ადგილი და ფლეი-ოფის მეორე ეტაპზე გასვლა ბრწყინვალედ მოთამაშე ჰაშეკის დამსახურება იყო, ახლა კი უფერული გუნდის გახალისება გოლკიპერს ერთობ გაუჭირდება. თანაც ვინ იცის, როგორ გაუძღვება „ხმლებს“ ახალი თავკაცი ლინდი რაფი, რომლისთვისაც ეს სეზონი დებიუტი იქნება.

უნდა ითქვას, რომ ბუფალომ ძალზე უხეიროდ ჩაატარა „საგამოფენო“ მატჩები: 8 შეხვედრიდან 6 წააგო და 2 ფრედ დაასრულა.

**CAROLINA HURRICANES** (ქარიშხლები)

დაარსდა 1979 წელს. საუკეთესო მიღწევა — თასის მეორე რაუნდში გასვლა.

ახლახან კლუბის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: მან ადგილსამყოფელი და სახელწოდება (აქამდე გუნდი „ჰართფორდ უეილერზის“ სახელით გამოდიოდა) შეიცვალა. კლუბის მეპატრონემ, წარმოშობით ბერძენმა პიტერ კარმანოსმა ამისთვის ფულები არ დაზოგა, მით უმეტეს, რომ კაროლინაში ჰოკეისადმი ინტერესი ერთობ დიდია. ბოლო წლებში კლუბმა თამაშს უმატა, შარშან ფლეი-ოფში გასვლის შანსიც კი ჰქონდა. ახლახან ამას რამდენიმე იღბლიანი გაცვლაც დაემატა: ძალისმიერი თამაშის მოყვარული თავდამსხმელ-სნაიპერი გერი რობერტსი და მეკარე ტრევორ კიდი უთუოდ გააძლიერებენ „ქარიშხლებს“. კლუბს პოლიციელებიც არ აკლია, ასე რომ, კაროლინა საკმაოდ დაბალანსებული გუნდია, თუმცა, ენდრიუ კესელზის წასვლამ, შესაძლოა, ცენტრფორვარდის პრობლემა შეუქმნას.

საინტერესოა, რომ როცა არჩევანზე მიდგება საქმე, ჰართფორდი მუდამ ამერიკელ ჰოკეისტებს ამჯობინებს. ევროპელებს ყოველთვის უჭირთ ადგილის მოძებნა. გამონაკლისი არც წლევანდელი შემადგენლობაა, რომელშიც ჯერჯერობით მხოლოდ ჩეხმა რობერტ კრონმა მოიკიდა ფეხი.

**MONTREAL CANADIENS** (კანადელები)

დაარსდა 1917 წელს. თასის 23-გზის მფლობელი (ბოლოს 1993 წელს მოიგო) და 8-გზის ფინალისტი.

სახელოვანი კლუბის კრიზისი ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ დაიწყო, როდესაც მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ იგი წამყვანი მოთამაშეების მთელმა რიგმა დატოვა. ისინი ფილადელფიელ მარკ რექიში გაცვალეს. რექი, უდავოდ, ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ დეჟარდენის, ლეკლერისა და სხვა საიმედო ჰოკეისტების დაკარგვა ერთობ დაეტყო გუნდს, ხოლო როცა დეტროიტთან 1:11 გამანადგურებელი მარცხის შემდეგ მონრეალი განაწყენებულმა გოლკიპერმა რუამაც დატოვა, „კანადელებს“ მძიმე დღეები დაუდგათ. უპირველესად დაცვას გაუჭირდა, რომელიც აგერ უკვე რამდენი ხანია, ერთ-ერთი ყველაზე უდისციპლინო და ქაოსურია ლიგაში. ვერ შველიან გუნდს პერსპექტიული გოლკიპერები, 20 წლის თეოდორი და ცოტათი უფროსი ტიბო. ამიტომაც გასაკვირი იყო, რომ წლეულს მონრეალმა მხოლოდ 37 წლის მეკარე ენდი მუგი შეიძინა, დაცვა კი ხელუხლებლად დატოვა.

კლუბის გულშემატკივრებს ახალი მწვრთნელის — ალან ვინიოს იმედიღა აქვთ. მარიო ტრამბლეს შემცვლელმა დაცვის მოწესრიგება დაისახა მიზნად. რაც შეეხება თავდასხმას, იგი საკმაოდ მრისხანეა, გუნდის პირველი ორი სამეული: რექი — კოივუ — სავაჟი და ბურე — დამფუსი — რუჩინსკი ნებისმიერ მეტოქეს შეუქმნის ხიფათს. მონრეალი დიდ იმედს ამყარებს ახალგაზრდა ფინელ საკუ კოივუზე, რომელმაც უკვე მოიშუშა ტრავმა და, ფორმა თუ დაიბრუნა, ლიგის ელიტაშიც შეაბიჯებს.

კლუბის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ შარშან უფრო შემტევი და კომბინაციური ჰოკეის მიმდევრებმა იმარჯვეს. მონრეალისთვის უთუოდ უკეთესი იქნება, თუ ეს ტენდენცია ახალ ჩემპიონატშიც გაგრძელდება.

**PITTSBURGH PENGUINS** (პინგვინები)

დაარსდა 1967 წელს. სტენლის თასის 2-გზის (1991, 1992) მფლობელი.

წლეულს პიტსბურგი სრულიად სახეცვლილი მოგვევლინება: მარიო ლემიე წავიდა, კლუბს სათავეში სან ხოსეს ყოფილი თავკაცი კევინ კონსტანტინი ჩაუდგა. ახალმა მწვრთნელმა გუნდის სათამაშო მანერა სრულიად შეცვალა — დაცვაში სიფხიზლე და კონტრშეტევები ამჯობინა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ კლუბში იმატა ჩეხ მოთამაშეთა რაოდენობამ. სამწუხაროდ „პინგვინებმა“ ვერ გადაჭრეს მთავარი პრობლემა — ძლიერი გოლკიპერის მოძებნა ვერ მოახერხეს და კვლავ ვეტერან ბარასოს და რეგეტის იმედად დარჩნენ. ისიც ნათელია, რომ პიტსბურგს ძლიერი გამთამაშებელი დასჭირდება, თუმცა, სრულიად შესაძლებელია, ფრენსიზმა და ჩეხმა ნედვედმა მეტი თავისუფლება მოიპოვონ და მათი ნაყოფიერებაც გაიზარდოს.

პიტსბურგს, ალბათ, ძალზე გაუჭირდება ხუთი წლის წინანდელი დონის დაბრუნება და წამყვან გუნდთა ჯგუფში მოხვედრა, რადგან ახალი კოლექტივის ჩამოყალიბებას საკმაო დრო სჭირდება. კლუბის მესვეურნი ბევრს ელიან იარომირ იაგრისგან, რომელსაც მუდამ ჩრდილავდა ლემიე, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხი მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა. ახლა კი იგი „პინგვინთა“ ლიდერად უნდა იქცეს. ახლახან პიტსბურგმა რეინჯერზიდან ორი ტყუპი ძმა — კრის და პიტერ ფერარები მიიწვია. ძმებს თავის დროზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ისინი ნიუ იორკის გუნდში ვერ დამკვიდრდნენ.

**OTTAWA SENATORS** (სენატორები)

დაარსდა 1991 წელს. უმაღლესი მიღწევა — ფლეი-ოფის პირველ რაუნდში გასვლა (1997).

შარშანდელი სეზონი „სენატორთა“ ხანმოკლე ისტორიაში უეჭველად საუკეთესო იყო. აქ საუბარი სულაც არ არის შედეგზე, რომელსაც მიაღწიეს ოტაველებმა, საქმე ისაა, რომ ისინი ძალზე მომხიბლავ — კომბინაციურ, ტექნიკურ, წმინდა ევროპულ ჰოკეის თამაშობენ. ისიც სათქმელია, რომ კანადის გუნდს რამდენიმე დრაფტზე პირველი ნომრის არჩევის უფლება ჰქონდა, ჰოდა, კანადელებმაც ისარგებლეს ამით და ოტავაში არაერთ პერსპექტიულ მოთამაშეს მოუყარეს თავი.

წლეულს „სენატორებს“ კიდევ რამდენიმე ჭაბუკი მოთამაშე შეემატათ. მათგან გამოსარჩევი შარშანდელი დრაფტის პირველი ნომერი კრის ფილიპსია, ასე რომ, გუნდის ქომაგებს შეუძლიათ იმედიანად იყვნენ.

თუმცა, ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ სეზონში „სენატორებს“ დიდი ბრძოლა ელით, რადგან მეტოქეები მათ უკვე ანგარიშგასაწევ ძალად თვლიან. ოტაველებს, შესაძლოა, ევროპელთა დიდმა რაოდენობამაც შეუშალოს ხელი (დღეისთვის კლუბის ძირითად შემადგენლობაში ათი ევროპელია) — ნჰლ-ში წარმატებისთვის ხომ სწორედ ევროპული და ამერიკული სათამაშო სტილის შერწყმაა საჭირო.

საინტერესოა, რომ ოტავამ ნაკლებად იაქტიურა თავისუფალი აგენტების ბაზარზე, მხოლოდ რუსი იგორ კრავჩუკი გაცვალა სენტლუისელ სტივ დიუშენში.

**სამველ ლარიბიანი**

კრივი

# ანჯეი — ლენოქსის ჯახის მოლოდინში

დღევანდელ ღამე [illegible] სარინგო, [illegible] ატლანტიკ სიტიში [illegible] ხია საბჭოს (ვბკ) ჩემპიონ ბრიტანელ-კანადელ-იამაიკელ ლენოქს ლუისსა და მის მოცილე პოლონელ-ამერიკელ ენდრიუ (ანჯეი) გოლოტას შორის.

ლენოქსი ტექნიკური და, ასე ვთქვათ, კარგი მოკრივე და ადამიანია, ჯანიანმა შლიახტიჩმა კი სახელი თავისი ორი წაგებით გაითქვა. გოლოტა ორჯერ შეხვდა იმ დარდუბალა რიდიკ ბოუს, ორჯერვე გაასილაქა, მაგრამ ორჯერვე აკრძალული, ქამარსქვემოთა დარტყმების გამო ჩაეთვალა წაგება.

დონ კინგის საუფლოს ამბავი მოგეხსენებათ: შერკინების წინ მოკრივეთა ბანაკები ერთმანეთს ლანძღავენ. ამჯერად გოლოტას ჰამქარმა გამოიდო თავი და გალმა შედავების უნამუსო პრინციპს დაადგა, ლუისი უწესო და აკრძალული დარტყმების პირშავი ოსტატიაო.

ვინ ვინ და, აცუნდრუკდა მხცოვანი, დამსახურებული და ლეგენდარული კაცი, ლუ დუვა, რომელიც ორი წელიწადია, რაც გოლოტას ავარჯიშებს. დუვამ გამოაცხადა, ნევადის შტატის ათლეტთა კონტროლის კომიტეტს ის ვიდეოკასეტები გადავეცი, სადაც ლუისის აკრძალული დარტყმებია ჩაჭერილი და მხილებულიო.

ლუისს 32 ბრძოლიდან 31 აქვს მოგებული, აქედან 25 ახლო ჭიდილში და მისთვის არასდროს მიუციათ დისკვალიფიკაცია რინგზე ეშმაკობისა და ულირსი ქცევისთვის. ლუისის პრომოუტერმა პანოს ელიადისმა დუვას განცხადებას უნამუსობა უწოდა, მენეჯერმა ფრენკ მელონიმ კი თავისი ბიჭი „ყველაზე ღირსეულ“ მძიმეწონოსნად შერაცხა.

თუმცა ამ გაწევ-გამოწევამ მომავალი ორთაბრძოლის სალაღობო განწყობა ვერ შეანელა. ლუ დუვამ ამერიკულად მობურთალის ნიკაპის დამცველი უსახსოვრა ლუისს, აქაოდა, ანჯეისგან ამით თუ დაიცავ შენს ნიკაპსო, ლუისმა კი, ოხუნჯობა ასე არ უნდაო და, ეს დამცველი ქამარსქვემოთ მიიდო, გოლოტა მხოლოდ აქ ურტყამს კაცს და ნიკაპის სულაც არ მეშინიაო.

**რობერტ ჯანიანი**


სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარაცხელია, გურამ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29